ი. ა ვ ა ზ ა შ ვ ი ლ ი

ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ი ს
რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ი რ ი
ფ ო ჯ რ ა ტ ო ბ ი ს
ი ს ტ ო რ ი ი ლ ა ნ

გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა
„ს ა ბ ჭ ო თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო"
თ ბ ი ლ ი ს ი — 1 9 6 3

9(C41)
9(47.922)
ა 295

ბროშურა მიძღვნილია 1905—1907 წლების რევოლუციის 60 წლისთავისადმი.

მასში გაშუქებულია საკითხები: სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში 1905 წლის რევოლუციის წინ; სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების აღმოცენება და განვითარება; რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა და მისი მოღვაწეობა; ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი როლი 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მუშათა კლასისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ერთიანობისათვის ბრძოლაში, 1905 წლის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა.

შესავალი

1965 წელს სრულდება რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის 60 წლისთავი. ამ რევოლუციას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო რუსეთის იმპერიის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჩაგრულთა განთავისუფლების ბრძოლის ისტორიაში. რაც უფრო ვშორდებით ამ რევოლუციას, მით უფრო მეტად ნათელი ხდება მისი დიდი საერთაშორისო ისტორიული მნიშვნელობა.

ეს რევოლუცია იმპერიალიზმის ეპოქაში პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იყო. ვ. ი. ლენინი წერდა: „1905 წლის „გენერალური რეპეტიცია“ რომ არა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა“.[1]

1905 წლის რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობაზე დასავლეთსა და აღმოსავლეთში. ამ რევოლუციაში რუსეთის პროლეტარიატმა და გლეხობამ აჩვენეს ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ მამაცური ბრძოლის საუკეთესო ნიმუშები.

ბოლშევიკურმა პარტიამ შეიმუშავა რევოლუციური სტრატეგია და ტაქტიკა, რომელიც სამაგალითო გახდა მსოფლიოს ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის.

რუსეთის 1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დიდ ისტორიულ მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდის ის გარემოება, რომ რევოლუციის პერიოდში

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 13.

ფართოდ გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც შეუერთდა რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხობის კლასობრივი ბრძოლის ნაკადს ცარიზმის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ. ამ საერთო ბრძოლაში დიდი წვლილი შეიტანეს ამიერკავკასიის მუშებმა და მშრომელმა გლეხობამ.

წინამდებარე ნაშრომში ავტორს სურს პოპულარული სახით გააშუქოს ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის ზოგიერთი საკითხი.

სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება 1905—1907 წლების რევოლუციის წინა პერიოდში

მეფის რუსეთი წარმოადგენდა კლასობრივი, ეროვნული და კოლონიური ჩაგვრის კერას. ცარიზმი ავიწროებდა რუს მშრომელებს და ბარბაროსულად ეპყრობოდა იმ ერებს, რომელნიც შედიოდნენ რუსეთის იმპერიაში. მეფურ რუსეთს ვ. ი. ლენინი ხალხთა საპყრობილეს უწოდებდა.

ამიერკავკასია მეფის რუსეთის ტიპიური კოლონია იყო. იგი ცარიზმის მხეცური ძარცვისა და ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკის ობიექტი იყო. ამიერკავკასიაში მეფეს დაყენებული ჰყავდა მეფის ნაცვალი, გენერალ-გუბერნატორი. რომელიც ახორციელებდა ცარიზმის პოლიტიკას. მეფის მთავრობა მფარველობდა იმ ქართველ თავადებს, თათარ ბეგებსა და სომეხ კაპიტალისტებს, რომლებიც ეხმარებოდნენ მას ამიერკავკასიის ხალხების დამონებაში. მათი დახმარებით მეფის მთავრობა მიზნად ისახავდა ამიერკავკასიის ხალხთა იძულებით ასიმილაციას, აჩაღებდა ეროვნულ მტრობას და შუღლს. შეგნებულად აფერხებდა ამ მხარის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას.

ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა უკმაყოფილებას იწვევდა როგორც რუს ხალხში, ისე ეროვნულ უმცირესობათა შორისაც. მწვავდებოდა კლასობრივი და ჩაღდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელიც მიმართული იყო რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

გლეხური რევოლუციის შიშმა აიძულა მეფის მთავრობა დაეჩქარებინა საგლეხო რეფორმის მომზადება, რომელიც გატარდა 1861 წლის 19 თებერვალს მემამულეთა ხელით და მათ სასარგებლოდ გლეხობის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით

ვ. ი.ლენინი წერდა: „რუსეთში გლეხებს „ათავისუფლებდნენ“ თვით მემამულეები, თვითმპყრობელი მეფის მემამულური მთავრობა და მისი მოხელეები. და ამ „განმათავისუფლებლებმა“ ისე წაიყვანეს საქმე, რომ გლეხები „განთავისუფლდნენ“ გაძარცულ-გაღატაკებულნი, გამოვიდნენ მემამულეთა მონობიდან და იმავე მემამულეთა და მათი დამქაშების კაბალაში მოექცნენ“.[1]

საქართველოსა და ამიერკავკასიაში გლეხთა რეფორმა გატარდა უფრო გვიან, სახელდობრ, თბილისის გუბერნიის გლეხების ბატონყმობიდან განთავისუფლების შესახებ იმპერატორმა ალექსანდრე II ხელი მოაწერა ბრძანებულებას მხოლოდ 1864 წლის 13 ოქტომბერს.

რეფორმის შემდეგ საქართველოში შეიქმნა დროებითვალდებულ გლეხთა კატეგორია. გლეხებს შეეძლოთ მემამულისგან მიწის გამოსყიდვა, მაგრამ ამ მიწაზე მაღალი ფასები იყო დაწესებული, რისი სახსრებიც მათ არ გააჩნდათ. ამიტომ, თუმცა ისინი ფორმალურად ბატონყმობისაგან განთავისუფლდნენ, ღებულობდნენ რა ახლა პირად თავისუფლებას, ფაქტიურად რჩებოდნენ მემამულეებისაგან ეკონომიურ დამოკიდებულებაში. გლეხები ვალდებული იყვნენ კვირაში რამდენიმე დღე ემუშავნათ მემამულის სასარგებლოდ და გარდა ამისა, მისთვის მიეცათ თავიანთი ისედაც მცირედი მოსავლის ნაწილი.

რუსეთში დროებითვალდებული გლეხების კატეგორია კანონით გაუქმდა 1861 წლის 8 დეკემბერს. მაგრამ საქართველოზე ეს კანონი არ გავრცელებულა. დროებითვალდებულ გლეხთა კატეგორია საქართველოში ლიკვიდირებულ იქნა მხოლოდ 1912 წლის დეკემბრის კანონით.

საქართველოში გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი იწოდებოდა ხიზნებად. ხიზნები წარმოადგენდნენ ისეთ გლეხებს, რომელთაც მიწა არ ჰქონდათ და იძულებული იყვნენ იჯარით აეღოთ ის მემამულეთაგან. ეს უკანასკნელნი კი კაბალურ მოთხოვნებს უყენებდნენ მათ. ჩვეულებრივ ხიზნები მემამულის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 87.

შიმართ სხვადასხვა სამუშაოების შესრულების ვალდებულებას კისრულობდნენ.

გლეხობის თვალსაჩინო ნაწილს საქართველოში შეადგენდნენ სახელმწიფო გლეხები. ეს ის გლეხები იყვნენ, რომელნიც რუსული მმართველობის დამყარებამდე ქართულ სამეფო ანდა საეკლესიო, ე. ი. სამონასტრო ყმებს შეადგენდნენ. გლეხობის ამ კატეგორიას ეკუთვნოდნენ აგრეთვე გერმანელი კოლონისტები, რუსი სექტანტები, აგრეთვე ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომხები. ამ კატეგორიის გლეხობის სოციალური მდგომარეობა არ იყო ერთნაირი. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს გლეხებს საერთოდ მიწა მცირე ჰქონდა. გლეხთა ოჯახების თითქმის ნახევარს დაახლოებით ერთი დესეტინა მიწა ჰქონდა, მაშინ როდესაც გერმანელ კოლონისტებს ცარიზმი თითო ოჯახზე აძლევდა 26 დესეტინა მიწას.[1]

ქართველი მემამულეები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ გლეხობასთან ფეოდალური ურთიერთობა, ესარგებლათ გლეხების უფასო პრომით, მიეღოთ მათგან პროდუქტები ნატურით და აგრეთვე ფულადი გადასახადებიც. ამიერკავკასიის თავადაზნაურობამ საგლეხო რეფორმის შემდეგ მიწების საკმაოდ დიდი ნაკვეთები შეინარჩუნა. მაგალითად: ლეჩხუმის მაზრაში თავად გრ. დადიანს ჰქონდა 22 600 დესეტინა მიწა. თავად ნ. მინგრელსკის — 85 030 დესეტინა, ოზურგეთის მაზრაში თავად გურიელს ჰქონდა 3037 დესეტინა, ზუგდიდის მაზრაში თავ. გ. დადიანის ხელში იყო — 9.988 დესეტინა მიწა.

საქართველოში დიდძალი მამულები ეკუთვნოდათ რომანოვებს და მასთან დაახლოებულ დიდგვაროვან პირებს. იმპერატორ ნიკოლოზ II და დიდ მთავრებს ე. წ. საუფლისწულო უფლების სახით ეკუთვნოდათ საუკეთესო მამულები აბასთუმანში, ბორჯომში, გაგრაში, კახეთში — სოფელ წინანდალსა და ნაფარეულში და სხვ. მარტო ბორჯომის მამული, რომელიც დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვის საკუთრებას შეადგენდა, მოიცავდა 69 881 დესეტინა მიწას, ხოლო პრინც ოლდენბურგის მამული გაგრაში 15 000 დესეტინას.

---

[1] იხ. ა. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1954, გვ. 286.

მემამულეთა მხრივ ძლიერ ჩაგვრას განიცდიდნენ აზერბაიჯანელი გლეხები, თუმცა ისინი მემამულეთაგან პიროვნულად დამოუკიდებელნი იყვნენ. გლეხობის მღელვარების შიშით მეფის მთავრობა იძულებული გახდა 1870 წელს საგლეხო რეფორმა გაეტარებინა აზერბაიჯანშიც. ამ რეფორმის შედეგად აზერბაიჯანელ გლეხებს მათი რუსი და ქართველი თანამემამულეების მსგავსად მემამულეებმა მიწის დიდი ფართობები ჩამოაჭრეს.

1870 წლის დებულებით აზერბაიჯანელ გლეხებს შეეძლოთ მათზე დამტკიცებული ნადელები გამოესყიდათ. მაგრამ მაღალი გამოსასყიდი ფასების გამო როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანსა და სომხეთში გლეხებს ფაქტიურად არ ჰქონდათ მათი გამოსყიდვის შესაძლებლობა.

ამგვარად, ამიერკავკასიის მემამულეებმა, ისე როგორც რუსეთში, მეფის მთავრობის დახმარებით შეძლეს თავიანთ ხელში შეენარჩუნებინათ სახნავი მიწების უზარმაზარი ფართობები, ტყეები, სათიბები და საძოვრები.

ამიერკავკასიაში საერობო და სასამართლო რეფორმა არ გატარდა იმ სახით, როგორც ეს რუსეთში განახორციელეს საგლეხო რეფორმის შემდეგ, 1864 წელს. თუმცა რუსეთში ამ საერობო დაწესებულებებს მეფის ხელისუფლება მეურვეობდა, ამიერკავკასიაში სოფლის მოსახლეობას არც ეს შეზღუდული თვითმმართველობა გაანდა, სოფლებში საქმეებს განაგებდა მეფისა და მემამულეთა სასამართლო. „უბადაღებული „განთავისუფლება", — წერდა ვ. ი. ლენინი, — იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას".[1] „60-იანი წლების რეფორმების მთელი ეპოქა საერთოდ ტოვებდა გლეხებს დაბეჩავებულ მდგომარეობასა და ბატონყმობის მომხრე მემამულეთა მორჩილებაში როგორც სასამართლოსა და მმართველობაში, ისე სკოლასა და ერობაში. ე. წ. „დიდი რეფორმა" ბატონყმური რეფორმა იყო და არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, ვინაიდან მას ახორციელებდნენ მებატონეები"[2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 126.

[2] იქვე, გვ. 127.

ხშირი მოუსავლიანობა და შიმშილობა, უმიწოდ დარჩენა და სიღატაკე აიძულებდა ამიერკავკასიის გლეხებს ქალაქებში წასულიყვნენ ფულის საშოვნელად.

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის სოფლებში უხვად იყო შემორჩენილი ბატონყმობის ნაშთები, იქ მაინც ადგილი ჰქონდა სასაქონლო ფულადი ურთიერთობის ზრდას, ვითარდებოდა შინაგანი ბაზარი. ეს იწვევდა გლეხობის დაშლას ფენებად. გლეხობისგან გამოყოფას იწყებს, ერთი მხრივ, სოფლის ბურჟუაზია, ბობოლების ფენა (აზერბაიჯანში მათ უწოდებდნენ კოლჩამაკებს), მეორე მხრივ მოჯამაგირეთა მასა—სოფლის პროლეტარები, რომელნიც იძულებული იყვნენ ეცხოვრათ თავიანთი სამუშაო ძალის გაყიდვით.

ამიერკავკასიის გლეხობა რუსეთის გლეხების მსგავსად გამოდიოდა ამ მძიმე ექსპლოატაციის წინააღმდეგ და ებრძოდა თავის მჩაგვრელთ. იყო შემთხვევები, როდესაც გლეხები ანადგურებდნენ მემამულეთა სახლებს და კარმიდამოს, ერთმევდნენ მათ მიწებს, უარს ამბობდნენ გადასახადების მიცემაზე და ნახევრად ბატონყმურ ვალდებულებათა შესრულებაზე. ამიერკავკასიის გლეხობა ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა: მემამულეების მხრივ—ეკონომიურ ექსპლოატაციას, რუსეთის თვითმპყრობელობის მხრივ —ეროვნულ ჩაგვრას. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის, რომ ამიერკავკასიის გლეხობაში ძლიერი იყო პატრიარქალური გადმონაშთები, განსაკუთრებით რელიგიური ცრურწმენანი, რასაც მეფის ხელისუფლება და მემამულეები იყენებდნენ გაღატაკებული გლეხობის კიდევ უფრო დასაბეჩავებლად.

1861 წლის საგლეხო რეფორმა მართალია, ბატონყმობის მომხრე მემამულეებმა განახორციელეს, მაგრამ მან მაინც ვერ შეაჩერა რუსეთის კაპიტალისტური განვითარება.

ვ. ი. ლენინი ამის შესახებ წერდა: „...61 წლის შემდეგ კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში ისეთი სისწრაფით წარიმართა, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ხდებოდა

ცელილებანი, რომლებსაც ევროპის ზოგიერთ ძველ ქვეყანაში მთელი საუკუნეები მოუნდა".[1]

რუსეთში 1861 წლის შემდეგაც დარჩა ბატონყმობის ნაშთები, ამიტომ დღის წესრიგში იდგა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომელიც ბოლოს მოუღებდა საშუალო საუკუნეობრივ ურთიერთობას სოფლად.

სახალხო მეურნეობის ეკონომიური აღმავლობა, რომელიც ამიერკავკასიას ითრევდა კაპიტალისტური განვითარებისაკენ, იძლეოდა ამ ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა წინსვლის შესაძლებლობას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

კაპიტალიზმის განვითარებამ რუსეთში კიდევ უფრო მძლავრად ჩაითრია თავის ორბიტში რუსეთის იმპერიის პერიფერიები. ამან განსაზღვრა ის, რომ ამიერკავკასია კიდევ უფრო დაუახლოვდა რუსეთს და მისი მეშვეობით მსოფლიო ბაზარს. როგორც რუსეთში ისე ამიერკავკასიაში ვითარდებოდა მრეწველობა და ყალიბდებოდა თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატი.

1866 წელს თბილისის გუბერნიაში ირიცხებოდა 3800 სამრეწველო მუშა, მათგან ნახევარზე მეტი მუშაობდა წვრილ საწარმოებში.

მრეწველობის განვითარების კვალდაკვალ ვითარდებოდა სარკინიგზო ტრანსპორტი. 1872 წელს დამთავრდა რკინიგზის გაყვანა თბილისსა და ფოთს შორის. 1883 წელს რკინიგზის ხაზმა გადაჭრა ბაქოსა და ელიზავეტპოლის (განჯის) გუბერნიები. ამავე წელს დამთავრდა ბათუმ-თბილისი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობა, რაც ერთმანეთთან აერთიანებდა შავი და კასპიის ზღვების ნავსადგურებს, აგრეთვე ამიერკავკასიის ძირითად სამრეწველო ობიექტებს. 1889 წელს ექსპლოატაციაში შევიდა თბილისი-ყარსის რკინიგზის ხაზი. ამავე წელს ამიერკავკასიის რკინიგზა ბაქო-როსტოვის ხაზის დამთავრებით დაუკავშირდა საერთო რუსეთის რკინიგზის ქსელს. 1900 წელს რკინიგზის შტოებით მთავარ ხაზს შეუერთდნენ ქუთაისი, ჭიათურა, ტყიბული და ბორჯომი. 1901 წელს გაყვანილ იქნა ალექსანდრო-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 128.

პოლ-ერევნის რკინიგზა, ხოლო 1905 წელს — ერევან-ჯულფის რკინიგზის ხაზი.

რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით თბილისში გაიხსნა მთავარი სახელოსნოები და დეპო ამიერკავკასიის რკინიგზისათვის. თბილის-ფოთის რკინიგზის მშენებლობის, აგრეთვე თბილის-ბაქოს მთავარი მაგისტრალის გახსნამდე თბილისის რკინიგზის სახელოსნოები მოთავსებული იყო მიხაილოვოში (ხაშურში), შემდეგ კი 1883 წლის პირველ მაისს ამ სახელოსნოების ზოგიერთი განყოფილება, სახელდობრ საორთქლმავლო, შეკრებითი, სახარატო, სამჭედლო და ჩამომსხმელი გადაიტანეს თბილისში, ხოლო სავაგონო-სამღებრო და სადურგლო სახელოსნოები დარჩა ხაშურში 1895 წლამდე.

ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოები ყველაზე დიდი საწარმო იყო საქართველოში, სადაც 1890 წელს მუშაობდა 1068 კაცი, ხოლო 1902 წელს 3072 კაცი. ამგვარად, შეიქმნა პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის მსხვილი კერა საქართველოში. სამგზავრო და სასაქონლო გადაზიდვათა შემდგომმა ზრდამ გამოიწვია თბილისის მთავარი სახელოსნოების და დეპოს გაფართოების აუცილებლობა. ამ სახელოსნოებში, სარემონტო სამუშაოთა გარდა, მზადდებოდა ორთქლმავლებისა და ვაგონების ზოგიერთი ნაწილები.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ევროპის ქვეყნებში მეტალურგიული მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან ერთად იზრდებოდა მოთხოვნილება შავ ქვაზე ანუ მარგანეცზე. ჭიათურის შავი ქვის მადნებმა, რომელიც მდიდარი იყო მაღალხარისხოვანი ფოლადის მისაღებად საჭირო მანგანუმით, მიიპყრო უცხოელი კაპიტალისტების ყურადღება. მალე მათ იწყეს კაპიტალის დაბანდება ამიერკავკასიაში, რომელიც საზღვარგარეთულ მრეწველებს დიდ მოგებას უქადდა.

ჭიათურის შავი ქვის მადნის მომხმარებლები იყვნენ პირველ რიგში, ინგლისელი კაპიტალისტები, რომლებსაც მარგანეცის ექსპორტიორთა შორის პირველი ადგილი ეჭირათ. მათ მოსდევდნენ გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის და ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტები. რუსეთის მრე-

წველობა თავისი საჭიროებისათვის ჭიათურის მარგანეცის მხოლოდ 12 პროცენტს ხარჯავდა. მაგრამ 1900—1903 წწ. მსოფლიო ეკონომიური კრიზისის დროს, მარგანეცის მოპოვება და გატანა ჭიათურიდან მკვეთრად შემცირდა.

კაპიტალიზმი რუსეთსა და ამიერკავკასიაში სწრაფად ვითარდებოდა, ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ამიერკავკასიის ქალაქების ზრდაში. მაგალითად, 1865 წელს თბილისში ცხოვრობდა 67.700 კაცი, ხოლო 1896 წელს თბილისის მცხოვრებთა რიცხვი გადიდდა 160 ათასამდე. ამგვარად, საქართველოში, ისე როგორც მთელს ამიერკავკასიაში, ხდებოდა კაპიტალისტურ ურთიერთობათა სწრაფი განვითარება. ამ ცვლილების ღრმა შეფასება მოგვცა ვ. ი. ლენინმა თავის წიგნში — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“.

„რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰ ქ მ ნ ი დ ა ბ ა ზ ა რ ს თავისი ფაბრიკებისათვის. ქვეყანა, რეფორმისშემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყნად იქცეოდა, და ბატონი კუპონი დაუნდობლად ჩდიდა ამაყ მთიელს პოეტურ ეროვნულ კოსტუმს და ევროპული ლაქიის კოსტუმით მოსავდა მას კავკასიის გაძლიერებული კოლონიზაციისა და მისი მიწათმოქმედი მოსახლეობის გაძლიერებული ზრდის პროცესთან ერთად სწარმოებდა აგრეთვე (ამ ზრდით მიჩქმალული) პროცესი მოსახლეობის მიზიდვისა მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ“.[1]

კიდევ უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა კაპიტალისტური მრეწველობა აზერბაიჯანში. ამას ხელი შეუწყო რკინიგზების გაყვანამ.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან აფშერონის ნახევარკუნძულზე დაიწყო ნავთობის მრეწველობის სწრაფი ზრდა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

პირველად ნავთობს იღებდნენ პრიმიტიული წესით, ხოლო 1873 წელს ნავთობის სარეწებზე პირველად გამოიყენეს ორთქლის მანქანა. 1901 წელს იქ უკვე იყო 276 ძრავი, რომელთა სიმძლავრე 70 ათას ცხენისძალას აღემატებოდა. ნავთობის ძირითად რაიონებს წარმოადგენდნენ: ბალახანი, საბუჩანი, სურახანი, რამანი, ბიბი-ეიბათი.

ადგილობრივი კაპიტალისტების — ტაგიევის, ნაგიევის, ასადულაევის, მანთაშევის და სხვათა გარდა, ბაქოს ნავთობის მრეწველობა ხელში ჩაიგდეს უცხოეთის მსხვილმა კაპიტალისტებმა — ნობელის საააქციო საზოგადოებამ, როტშილდის სინდიკატმა, ინგლისურ-ჰოლანდურმა ტრესტმა — „შელმა“.

ბაქოს ნავთობის სიახლოვე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბაზრებთან უფრო მიმზიდველს ხდიდა მას უცხოეთის კაპიტალისტებისათვის.

ბაქოს ნავთობის მრეწველობის სწრაფი განვითარების შესახებ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ნავთობის მოპოვება, რაც 60-იან წლებში მილიონ ფუთსაც კი არ აღწევდა (557 ათასი 1865 წ.), 1870 წ. უდრიდა 1,7 მილიონ ფუთს, 1875 წ. — 5,2 მილიონ ფუთს, 1880 წ.—21,5 მილიონ ფუთს, 1885 წ. — 116 მილიონ ფუთს, 1880 წ. — 242,9 მილიონ ფუთს, 1895 წ. 384,0 მილიონ ფუთს, 1902 წ. — 637,7 მილიონ ფუთს“ [1].

1901 წელს მთელი მსოფლიოს ნავთობის ნახევარზე მეტი ბაქოდან გადიოდა მსოფლიო ბაზარზე. XIX საუკუნის 80—90-იან წლებში ბაქოს ნავთობით დაინტერესდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტებიც. განსაკუთრებით დიდი ინტერესი ამ მხრივ გამოიჩინა უდიდესმა მონოპოლისტურმა გაერთიანება „სტანდარტ ოილ“-მა. 1896 წლიდან 1901 წლამდე უცხოელმა კაპიტალისტებმა ბაქოს ნავთობის მრეწველობაში დააბანდეს იმ დროისათვის უზარმაზარი კაპიტალი — 97,6 მილიონი მანეთი“.[2]

XIX საუკუნის ბოლოს ბაქოში გაჩნდა ათეულობით მექანიკური ქარხანა და სახელოსნო. აშენდა ელექტროსადგურები,

---

1 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 581.

2 იხ С. М. Л и с я ч к и н. Очерки по истории развития отечественной нефтяной промышленности, 1954, გვ. 373.

გემების სარემონტო ქარხნები, გაფართოვდა რკინიგზის სახელოსნოები, დეპო და სხვ.

მრეწველობის ზრდასთან ერთად სწრაფად იზრდებოდა აზერბაიჯანის ქალაქების მოსახლეობა. XIX ს. 60-იანი წლების დასაწყისიდან 90-იანი წლების დასასრულამდე ქალაქის მოსახლეობა 8-ჯერ გაიზარდა. ვ. ლენინი იძლეოდა აზერბაიჯანის დედაქალაქის ბაქოს შემდეგ დახასიათებას: ბაქო „უმნიშვნელო ქალაქიდან გადაიქცა რუსეთის პირველხარისხოვან სამრეწველო ცენტრად, სადაც 112 ათასი მცხოვრებია".[1]

სწრაფი ტემპით იზრდება ამიერკავკასიის სამთამადნო მრეწველობაში ჩაბმული მუშების რაოდენობაც. სახელდობრ „3 431-დან 1877 წ. ავიდა 17 603-მდე 1890 წ., ე. ი. გაიზარდა ხუთჯერ".[2] 1903 წელს ბაქოს მცხოვრებთა რიცხვი გადიდდა 213 ათას კაცამდე. ბაქოს მრავალეროვან პროლეტარიატში შედიოდა 30-მდე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი, მათ შორის აზერბაიჯანელი იყო 44 პროც., რუსი — 29,4 პროც., სომეხი — 18,6 პროც.

ბაქოს ნავთობის მრეწველობის განვითარებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბათუმის მრეწველობის წინსვლა. 1900 წელს დამთავრდა ბაქო-ბათუმის ნავთსადენი მილების გაყვანა. კაპიტალისტებმა: როტშილდმა, ნობელმა, რიხტერმა, მანთაშევმა და სხვ. ბათუმში ააგეს ნავთობის უზარმაზარი საცავები, ააშენეს ბიდონების დასამზადებელი ქარხნები და მექანიკური საწარმოები. ქალაქში იყო ტყავის და ლურსმნის ქარხნები, თამბაქოს გადამამუშავებელი ფაბრიკა და სხვა. ბათუმი საქართველოს მეორე სამრეწველო ცენტრი გახდა.

კაპიტალიზმის განვითარების პარალელურად ამიერკავკასიაში იზრდებოდა მუშათა რიცხვიც. ერთ მთლიან მეგობრულ მუშა-კოლექტივებს შეადგენდნენ ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები და სხვ. ინტერნაციონალური სულისკვეთება განსაკუთრებით იგრძნობოდა ბაქოსა და ბათუმში.

ამიერკავკასიაში სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 581.

[2] იქვე, გვ. 581-582.

ლიბებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური მოძრაობის გაცვითარებისათვის. ბაქოს სახელგანთქმული პროლეტარიატი რუსეთის მუშათა კლასის ერთ-ერთი ავანგარდული შემჭიდროებული მებრძოლი რაზმი იყო. მუშების კონცენტრაცია ბაქოს მსხვილ საწარმოებში, ისე როგორც რუსეთის დიდ სამრეწველო ცენტრებში, ხელს უწყობდა მუშათა კლასის ორგანიზებული მოძრაობის გაძლიერებას, პროლეტარიატის გავლენის ზრდას გლეხობაზე. 1901 წელს ბაქოს ნავთობის 6 უდიდეს კომპანიაში ჩაბმული იყო მუშათა საერთო რაოდენობის 40% [1]. ვ. ი. ლენინი სტატიაში „კრიზისის გაკვეთილები" მიუთითებდა, რომ სამრეწველო აღმავლობის რამდენიმე წლის შემდეგ მთელს ევროპასა და რუსეთში დაიწყო მრეწველობის კრიზისი. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „უკანასკნელ დროს კრიზისი ნავთის მრეწველობაზეც გავრცელდა. ამ მრეწველობაში კი საქმეებს ატრიალებენ ისეთი საწარმოები, როგორიც არის, მაგალითად „ნავთის წარმოების ამხანაგობა ძმათა ნობელებისა... ასეთი „ერთი საწარმო" დამყარებულია ათეული და ასეული ათასი მუშის გაერთიანებულ შრომაზე; ეს მუშები ეწევიან ნავთის ამოღებას, მის გადამუშავებას, გადაზიდვას ნავთსადენებით, რკინიგზებით, ზღვებითა და მდინარეებით, აშენებენ ყოველივე ამისათვის საჭირო მანქანებს, საწყობებს, მასალებს, კარჭაპებს, გემებს და სხვ. ყველა ეს ათეული ათასი მუშა მუშაობს მთელი საზოგადოებისათვის, ხოლო მათს შრომას განაგებენ ერთი მუჭა მილიონერები, რომლებიც ითვისებენ მთელ მოგებას, რაც მასების ამ ორგანიზებულ შრომას მოაქვს".[2]

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ბაქოს მუშების მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო. მაშინ სამუშაო დღის ხანგრძლიობა ნავთობის წარმოებებში 14—18 საათს აღწევდა. უბედურ შემთხვევათა რიცხვი ორჯერ მეტი იყო, ვიდრე საერთოდ რუსეთის სამთო მრეწველობაში. ცუდი მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გამო მუშე-

---

[1] К. А. Пожитнов. Очерки по истории бакинской нефтедобывающей промышленности, 1940, стр. 73.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 103.

ბის სიკვდილიანობის პროცენტი მაღალი იყო, ხელფასი კი მეტისმეტად მცირე.

ბაქოს მუშები ბინძურ, ვიწრო ქოხმახებსა და მიწურებში ცხოვრობდნენ. სანიტარიის ელემენტარულ პირობებზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. უფრო მძიმე იყო ოჯახიანი მუშების მდგომარეობა. ხშირად ერთ ქოხში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა.

ნავთობის მაგნატები დაინტერესებული იყვნენ იმით, რომ მუშები სიბნელეში ჰყოლოდათ, წერა-კითხვის უცოდინარი, რათა ამ გზით მიეღწიათ მათ მუდმივ მორჩილებასა და ექსპლოატაციას, მაღალი მოგების მიღებას, კლასობრივი ბრძოლის შენელებას.

საქართველოში მუშათა კლასის ფორმირება ხდებოდა გაღატაკებული გლეხებისა და შინახელოსნების ხარჯზე. საქართველოსა და ამიერკავკასიაში რკინიგზების მშენებლობის შედეგად გახშირდა სოფლებიდან გლეხების საშოვარზე წასვლა. ჭიათურის მარგანეცის, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები და სხვა სამრეწველო ობიექტები მნიშვნელოვნად კომპლექტდებოდა ახლომახლო სოფლებში მობინადრე გაღატაკებული გლეხობისაგან.

ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ მუშას სამუშაოზე მიღების წინ იძულებული იყო ერთგვარი გამოცდა ჩაებარებინა სალაპარაკო რუსულ ენაში, რომელიც მან თითქმის არ იცოდა. რუსული ენის უცოდინარი არარუსისათვის განსაკუთრებით ძნელი იყო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში მოწყობა.

ამ სახელოსნოს მუშების მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებისა და ექსპლოატაციის შესახებ ს. ალილუევი თავის მოგონებაში წერდა: „სახარატო საამქრო მოთავსებული იყო ძველს, დაბალ და ვიწრო შენობაში. საამქროს არასოდეს არ ათბობდნენ. ზამთარში იქ სიცივე იყო და ყველგან ქროდა გამკრავი ქარი. საამქროს ანათებდნენ ჩამოკიდებული ნავთის ლამფებით. ქარი იჭრებოდა სათავსოში და ლამფებს აბოლებდა. ჭვარტლი ავსებდა საამქროს მხრჩოლავი მყრალი სუნით.

სამუშაო დღე გრძელდებოდა ათნახევარ საათს. ჩვეულებრივ, როგორც წესი, ორი-სამი საათი ზედმეტი სამუშაო იყო".[1]

ასეთი აუტანელი მდგომარეობის საპასუხოდ მუშები აწყობდნენ გაფიცვებს. მაგალითად, პირველი ასეთი გაფიცვა ამიერკავკასიაში მოხდა თბილისში, ზეიცერის ფაბრიკაში. 1878 წ. მ. ჩოდრიშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავდა, რომ მუშები მოითხოვდნენ 16—17 საათიან სამუშაო დღის შემცირებას 14 საათამდე. გაფიცვას თან ახლდა მუშების შეტაკება პოლიციასთან.[2] 80-იანი წლების დასაწყისში გაიფიცნენ მირზოევის ფაბრიკის მუშები. 1889 წელს თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშებმა მოაწყვეს დიდი გაფიცვა",[3] ხოლო 1894—1897 წლებში გაფიცვები მოედო თბილისის თამბაქოსა და ტყავის ქარხნების მუშებს.

ამიერკავკასიის მუშათა კლასის რიგების შემჭიდროებისა და მათი შეგნების დონის ამაღლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მოწინავე მუშების გამოცდილების გამოყენებასა და დახმარებას.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ამიერკავკასიაში. რსდმ პარტიის კავკასიის კავშირი

რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლები მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დიდ გავლენას ახდენდა ამიერკავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე. ცნობილია, რომ რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან ამიერკავკასიაში გადმოსახლებული რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატები მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ ამიერკავკასიის მუშებს თავიანთ განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

1892 წელს თბილისში გადმოსახლეს მუშა-მექანიკოსი თ. აფანასიევი, რომელიც წინათ პეტერბურგის ბრუსნევის სო-

---

[1] С. Я. Алилуев. Пройденный путь, М., 1941, გვ. 30—31.

[2] ვ. ჩოდრიშვილი, ავტობიოგრაფია, თბილისი, 1927 წ., გვ. 82.

[3] Н. А. Чахвашвили. Рабочее движение в Грузии (1870—1904 гг.), Тбилиси, 1958, გვ. 100.

ციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი იყო. იგი სამუშაოდ მოეწყო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში. იქვე მუშაობდნენ პეტერბურგის მუშათა რევოლუციური გამოსვლების აქტიური მონაწილე ს. ი. ალილუევი და ა. პეშკოვი (მ. გორკი).

XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბათუმში ცხოვრობდნენ რუსი სოციალ-დემოკრატები ი. ლუზინი და გ. ფრანჩესკი, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ მარქსისტული იდეების გავრცელების საქმეში. 1896 წელს ბათუმში მოაწყეს პირველი არალეგალური მარქსისტული წრე, სადაც გაერთიანდნენ მოწინავე მუშები. წრემ შეიმუშავა წესდება, რომელშიც მთავარ ამოცანად იყო დაყენებული მუშებს შორის სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის გაშლა. 1897 წლის ბოლოს ი. ლუზინი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად და აქტიურად ჩაება არალეგალური მარქსისტული წრის მუშაობაში.

ამიერკავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებმა, რომლებმაც ხმა აღიმაღლეს სემინარიაში გაბატონებული სულის შემხუთველი რეჟიმის წინააღმდეგ. მოსწავლეთა არალეგალური წრეების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: მ. დავითაშვილი, ლ. კეცხოველი, ფ. მახარაძე, ი. სტალინი, მ. ცხაკაია და სხვები.

1893 წლის 29—30 ნოემბერს თბილისის სასულიერო სემინარიაში მომხდარი მოსწავლეთა გამოსვლების გამო სასულიერო სინოდმა 1894 წლის 19(31) იანვარს სემინარიიდან გარიცხა 87 მოსწავლე, რომლებსაც უფლება არ ჰქონდათ სწავლის შემდგომი გაგრძელებისა. მათ შორის იყო III კლასის მოსწავლე ლადო კეცხოველი [1].

„მესამე დასმა" დიდი როლი შეასრულა საქართველოში მარქსიზმის გავრცელებაში. ეს დასი, რომელიც დაარსდა 1892 წლის დეკემბერში, დაკავშირებული არ იყო მუშათა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობასთან. საქართველოს საზოგადოებრივ

---

1 საქ. სსრ ცსია, ფ. 39-ს, საქმე 430, ფურც. 37-43.

ცხოვრებაში ახალი დასი თავის თავს უპირისპირებდა თავადაზნაურულ-ნაციონალისტურ მიმდინარეობასა და ხალხოსნებს.

მესამე დასი შემადგენლობით არ იყო მონოლითური. მასში შეიქმნა მარქსისტული რევოლუციური ბირთვი ლ. კეცხოველის, ფ. მახარაძის, ი. სტალინის, მ. ცხაკაიას, ა. წულუკიძის შემადგენლობით, რომლებიც იბრძოდნენ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ამასთანავე „მესამე დასში" იყო მემარჯვენე ოპორტუნისტული ფრთა, რომელიც იხრებოდა ლეგალური მარქსიზმისაკენ (ნ. ჟორდანია, ნ. ჩხეიძე, ი. რამიშვილი და სხვ.).

„მესამე დასის" რევოლუციურ-მარქსისტული ბირთვის წევრები პროპაგანდას ეწეოდნენ მუშათა წრეებში და პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" მსგავსად იბრძოდნენ მუშათა მოძრაობის დაკავშირებისათვის მეცნიერულ სოციალიზმთან. ჯერ კიდევ 1894 წლის ბოლოს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში მოწყობილი იყო მუშათა წრეები, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ სოციალ-დემოკრატები ზ. ჩოდრიშვილი, მ. ბოჭორიძე და სხვები. 1896 წლის ბოლოს, მათთან კავშირი დაამყარა სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო ვარშავიდან სამშობლოში გადმოსახლებულმა ფ. მახარაძემ, ხოლო 1897 წლიდან თბილისის მუშათა მარქსისტულ წრეებს უკავშირდება ლ. კეცხოველი, რომელიც ამ დროს კიევის ჟანდარმერიამ დააპატიმრა სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის და საქართველოში გადმოასახლა.

„მესამე დასის" რევოლუციურმა ფრთამ თბილისში ჩამოაყალიბა საერთო საქალაქო ხელმძღვანელი ცენტრი, რომელშიც შედიოდნენ ყველა მნიშვნელოვანი სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენლები. 90-იან წლების დასასრულიდან მუშათა მოძრაობას საქართველოში ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია თავის თავს თვლიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის განუყოფელ, შემადგენელ ნაწილად. „თბილისის კომიტეტი, — წერდა ლენინური „ისკ-

ჩა“, — თავისი დაარსებიდან (1897 წელს), აგრეთვე ბაქოს... ბათუმის კომიტეტები ყოველთვის თვლიდნენ თავიანთ თავს რსდმ პარტიის კომიტეტებად, ეწეოდნენ მუშაობას, გამოდიოდნენ დემონსტრაციებსა და გაფიცვებში, როგორც რუსეთის პარტიის ორგანიზაციები“.[1]

1900 წლის მეორე ნახევარში თბილისში ჩამოვიდა გაბედული რევოლუციონერ-ლენინელი ვიქტორ კონსტანტინეს ძე კურნატოვსკი. იგი ვ. ი. ლენინთან ერთად იყო ციმბირის გადასახლებაში, სადაც მან 17 პატიმარ მარქსისტთა შორის ხელი მოაწერა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ ცნობილ „რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტს“ ეკონომისტების „კრედოს“ წინააღმდეგ.

„თბილისის ჟანდარმთა სამმართველო კურნატოვსკის თვლიდა მეტად ენერგიულ ინტელიგენტ სოციალ-დემოკრატად; მას მიაკუთვნებდა ქართველთა და რუს სოციალ-დემოკრატთა იმ ჯგუფს, რომელიც მიზნად ისახავდა სისტემატური პროპაგანდით ადგილობრივ მუშებში უკმაყოფილება გამოეწვია მათი მდგომარეობით, შთაენერგა მათთვის რევოლუციური იდეები და მით ხელი შეეწყო მუშათა კლასის საერთო რევოლუციური მოძრაობის მომზადებისათვის“[2].

ვ. კ. კურნატოვსკიმ დიდი დახმარება გაუწია ქართველ რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატებს ლენინურ-ისკრული იდეების დამკვიდრების საქმეში.

ამიერკავკასიაში მარქსიზმის გავრცელებაში დიდი როლი შეასრულა მ. ი. კალინინმა, რომელიც რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის გადმოასახლეს პეტერბურგიდან კავკასიაში. იგი თბილისში ჩამოვიდა 1900 წლის გაზაფხულზე და მუშად მოეწყო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, სადაც რსდმპ-ის თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით ამ დროს მზადდებოდა გაფიცვა.

---

[1] გაზ. „ისკრა“, № 50, 1903.

[2] იხ. ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1956, გვ. 237.

1901 წლის 22 აპრილს (1 მაისს), თბილისში, სალდათის ბაზრის რაიონში, თბილისის მუშებმა გამართეს დემონსტრაცია, რომელიც აშკარა პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. ამ საპირველმაისო მასობრივ დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა თბილისის ფაბრიკების, ქარხნებისა და სახელოსნოების ორი ათასი მუშა.

ლენინური „ისკრა" მხურვალედ მიესალმა თბილისის მუშათა მასობრივ გამოსვლასა და აღნიშნა მისი უდიდესი მნიშვნელობა კავკასიისათვის. ამასთან დაკავშირებით გაზეთი წერდა:

„ამბავი, რომელიც კვირას, 22 აპრილს (ძვ. სტილით) თბილისში მოხდა, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის: ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა. უკვე 3—4 წელია, რაც თბილისის შეგნებულმა მუშებმა დაიწყეს შემჭიდროება საერთო მუშური დროშის ქვეშ და შეერთებული ძალით აწარმოებენ ბრძოლას გაბატონებული კლასებისა და არსებული სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ".[1]

საპირველმაისო დემონსტრაციის შემდეგ თბილისის სოციალ-დემოკრატებმა კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი კავშირი მუშებთან.

1901 წლის 11 ნოემბერს (ძვ. სტილით) მოწვეულ იქნა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პირველი არალეგალური კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა 25 დელეგატი. კონფერენციამ განიხილა რიგი მნიშვნელოვანი საკითხები: რსდმპ-ის ლენინურ-ისკრული მიმართულების თბილისის კომიტეტის შექმნის, მუშების რიგებიდან ხელმძღვანელი კადრების მომზადების, არალეგალური ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების, არალეგალური სტამბის მოწყობის შესახებ თბილისში და სხვ. კონფერენციამ აირჩია რსდმპ-ის ლენინურ-ისკრული მიმართულების თბილისის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ა. ოქუაშვილი, ი. სტალინი, ზ. ჩოდრიშვილი, ს. ჯიბლაძე და სხვ.

---

1 გაზ. „ისკრა", № 6, 1901.

რსდმპ-ის თბილისის კომიტეტმა დიდი სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა გაშალა თბილისის მუშებს შორის. კომიტეტმა მოაწყო არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ბროშურები, პროკლამაციები რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. შემდეგში კომიტეტმა მოაგვარა ბაქოს არალეგალურ სტამბაში ადგილობრივი არალეგალური ბეჭდვითი ორგანოს „ბრძოლას" გამოცემა. თბილისის ლენინურ-ისკრული პარტიული კომიტეტი ხელმძღვანელობდა პარტიის მშენებლობას ლენინური ორგანიზაციული გეგმით.

ასეთივე მდგომარეობა იყო ბაქოში. პროლეტარიატის მარქსისტული წრეების გაფართოებისა და გაერთიანებისათვის დიდ საორგანიზაციო მუშაობას ეწეოდნენ რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატები: ს. ი. ალილუევი, ბ. ა. დადაშევი, ი. ვაცეკი, მ. კასუმოვი, ლ. კეცხოველი, ბ. კნუნიანცი, ნ. კოზერენკო, ლ. კრასინი, მ. მამედიაროვი, ვ. სტურუა, ვ. შელგუნოვი, და სხვ.

1901 წელს ჩამოყალიბდა რსდმპ-ის ლენინურ-ისკრული მიმართულების ბაქოს კომიტეტი. კომიტეტში შედიოდნენ ლ. კეცხოველი, ბ. კნუნიანცი და სხვ. თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე რსდმპ-ის ბაქოს ორგანიზაცია ამიერკავკასიაში გახდა ლენინური „ისკრის" საიმედო დასაყრდენი.

რსდმპ-ის ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიქმნა ბაქოს ლენინურ-ისკრული ორგანიზაციის 5 რაიონული კომიტეტი: ქალაქის რაიონში, შავ ქალაქში, თეთრ ქალაქში, ბიბიეიბათში და ბალახანაში. რაიონულ კომიტეტებს ემორჩილებოდა მუშათა რამდენიმე სოციალ-დემოკრატიული წრე. მათგან თითოეული ორგანიზაცია რაიკომის შემადგენლობაში ირჩევდა სამ წარმომადგენელს. რაიონული პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობას ხელმძღვანელობდა რსდმპ-ის ბაქოს კომიტეტი.

ლენინურ-ისკრული მიმართულების ბაქოს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ, ასრულებდა რა ვ. ი. ლენინის საბრძოლო მითითებებს, 1901 წელს მოაწყო გაზეთ „ისკრის" გადაბეჭდვა არალეგალურ სტამბაში, რომელიც ორგანიზებუ-

ლი იყო ა. ენუქიძის, ლ. კეცხოველის, ლ. კრასინის და სხვათა მიერ.

სომხეთში პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია შეიქმნა 1899 წელს ჯალალ-ოღლში, ეხლანდელ სტეფანავანში. ამ ჯგუფის დამაარსებელი იყო რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ს. გ. შაუმიანი. ჯგუფმა დიდი მუშაობა ჩაატარა მარქსიზმის პროპაგანდისათვის სომხეთში, მას ჰქონდა თავისი საბეჭდი დაზგა, სადაც იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა მარქსისტული ლიტერატურა;

1902 წელს თბილისში ბ. კნუნიანცისა და ს. შაუმიანის ხელმძღვანელობით შეიქმნა ლენინურ-ისკრული ორგანიზაცია — სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირი.[1]

გაზეთ „ბრძოლასთან" ერთად 1902 წლიდან ბაქოს სტამბაში სომხურ ენაზე იბეჭდებოდა სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „პროლეტარიატი". ამ გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნდა ს. გ. შაუმიანის მიერ დაწერილი „სომეხ სოციალ-დემოკრატების კავშირის" მანიფესტი. ამ დოკუმენტის გამოშვებას ვ. ი. ლენინი მიესალმა გაზ. „ისკრაში". იგი წერდა: „კავკასიაში გაჩნდა ახალი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია: „ს ო მ ე ხ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ თ ა კ ა ვ შ ი რ ი". ჩვენ სულითა და გულით მივესალმებით „სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის" მანიფესტს და განსაკუთრებით მის შესანიშნავ ცდას — სწორად დააყენოს ნაციონალური საკითხი".[2]

ჟანდარმერიამ, რომელიც კარგად ხედავდა რევოლუციური მუშაობის გააქტიურებას, მიზნად დაისახა მიეგნო გაზეთ „ისკრის" ბაქოში გადაბეჭდვის ორგანიზატორების კვალისათვის და ამ მიმართულებით მიიღეს საგანგებო ზომები. 1902 წლის გაზაფხულის ბოლოს მიაგნეს ლ. კეცხოველის კვალს და იმავე წლის 2 სექტემბერს ბაქოში დააპატიმრეს. იგი მოათავსეს ბაქოს ციხეში, შემდეგ გადაიყვანეს თბილისში, მეტეხის ციხეში. იქ, 1903 წლის 17 აგვისტოს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე, ლადო კეცხოველი მეფის ჟანდარმებმა ვერაგულად მოკლეს.

---

[1] А. Б. Арутюнян. Народы Закавказья в борьбе против царизма в годы первой русской революции. Ереван, 1957, გვ. 19—20.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 400, 402.

ამიერკავკასიის ,ლენინურ-ისკრული ორგანიზაციის ერთ-ერთ შესანიშნავ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა ა. წულუკიძე.

ა. წულუკიძე მარქსისტულ წრეში ჩაება 1896 წელს. 1897 წელს ის თავისუფალ მსმენელად შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იქ მან კავშირი დაამყარა სოციალ-დემოკრატებთან და შეუდგა მარქსიზმის საფუძვლიან შესწავლას. 1899 წელს იგი დაბრუნდა საქართველოში და გახდა მარქსიზმის თვალსაჩინო პროპაგანდისტი ამიერკავკასიაში. ა. წულუკიძე ებრძოდა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და ოპორტუნისტებს. მან პირველმა გააშუქა ქართულ ენაზე პოპულარული წერილების სახით მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი საკითხები. წულუკიძე იცავდა ლენინურ მოძღვრებას და პარტიის ორგანიზაციის ისკრულ პრინციპებს.

1900—1903 წლების ეკონომიურმა კრიზისმა, რომელიც დაიწყო რუსეთის სამრეწველო რაიონებში, იმპერიის თითქმის ყველა რაიონი და მხარე მოიცვა.

კრიზისმა კიდევ უფრო მეტად გააუარესა მუშების ისედაც მძიმე მდგომარეობა. ის დათმობები, რომელნიც მრეწველობის აღმავლობის წლებში, 1890-იანი წლების მეორე ნახევარში, მუშებმა გამოგლიჯეს კაპიტალისტებს, ახლა მათ უკან წაიღეს. ასე მოხდა ამიერკავკასიაშიც. თბილისის გუბერნიის სხვადასხვა საწარმოებიდან ქუჩაში გარეკეს 3700-ზე მეტი მუშა, რომლებმაც შეავსეს უმუშევართა რიგები.

ლენინურმა „ისკრამ" გამოაქვეყნა ბათუმის მუშების მდგომარეობის ამსახველი წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ძნელია ასე ცხოვრება და ძალაუნებურად იბადება კითხვა. რატომ ვიტანჯებით ასე. ჩვენი ცხოვრება მოკლებულია ყოველგვარ სიხარულს. ის წარმოადგენს ეკლიან გზას მხოლოდ საფლავისაკენ. ამიტომ განა უკეთესი არ არის, რომ ჩვენ ვკვდებოდეთ არა დაზგებთან და არა მონებად, არამედ ვკვდებოდეთ და ვიბრძოდეთ თავისუფლებისათვის, უკეთესი მომავლისათვის".[1]

[1] გაზ. „ისკრა, № 16, 1902.

კრიზისის, მასობრივი უმუშევრობისა და მუშათა ცხოვრების სულ უფრო გაუარესების პირობებში იზრდებოდა მუშათა კლასის პოლიტიკური აქტივობა. პეტერბურგელ და მოსკოველ მუშათა კვალდაკვალ პოლიტიკური გაფიცვები იწყებოდა რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთში, მათ შორის ამიერკავკასიაშიც.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის წლები

ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციები დასაწყისიდანვე ორგანიზებული იყვნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მტკიცე საფუძველზე. ისინი თავიანთ რიგებში აერთიანებდნენ სხვადასხვა ეროვნების — აზერბაიჯანელ, ქართველ, სომეხ, რუს მოწინავე მუშებს, რომლებიც ერთობლივად აწარმოებდნენ ბრძოლას თვითმპყრობელობის, მემამულეთა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

1903 წლის იანვარში შეიქმნა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობის მოწვევის მომწყობი ბიურო, რომელმაც უდიდესი მუშაობა ჩაატარა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობის მოსაწვევად.

ყრილობა შედგა თბილისში 1903 წლის მარტში. მას დაესწრო 15 დელეგატი: თბილისის, ბაქოს, ბათუმის კომიტეტებისა და ქუთაისის, ჭიათურის, ოზურგეთის, გორის, მიხაილოვოს (ხაშურის) ჯგუფების წარმომადგენლები.

ყრილობის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება ლენინური „ისკრის“ პლატფორმაზე და რსდმპ-ის კავკასიის კავშირის შექმნა. ამ საკითხის შესახებ მსჯელობის დროს წარმოიშვა აზრთა სერიოზული სხვადასხვაობა და კამათი. ყრილობის მონაწილე ნ. ჟორდანია და მისი მომხრეები ცენტრალიზებული პარტიის შექმნის წინააღმდეგი იყვნენ. ისინი გამოვიდნენ

რსდმპ-ის კავკასიის კავშირის შექმნის წინაალმდეგ და მოითხოვეს რათა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები არსებულიყვნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. არსებითად იცავდნენ გაზეთ „ისკრის“ მიერ უკვე დაგმობილ რუსულ-ბერნშტეინიანელობას — „ეკონომიზმს“, რომელიც მხარს უჭერდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დაქსაქსულობას, კუსტარულობას. რსდმპ-ის კავკასიის კავშირის შექმნის საკითხში გამარჯვება მოიპოვეს ლენინური „ისკრის“ მომხრეებმა. დღის წესრიგის ამ ცენტრალური საკითხის გამო ხმის მიცემის დროს თოთხმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება რსდმპ-ის კავკასიის კავშირის შექმნის შესახებ.

კავკასიის კავშირმა რსდმპ-ის II ყრილობაზე დელეგატებად გაგზავნა თბილისის კომიტეტიდან დ. თოფურიძე, ბაქოს კომიტეტიდან — ბ. კნუნიანცი და ბათუმის კომიტეტიდან — ა. ზურაბოვი. კავკასიის ყრილობამ თავის დელეგატებს დაავალა რსდმპ-ის II ყრილობაზე დაეცვათ და მხარი დაეჭირათ „ისკრის“ პროგრამულ ორგანიზაციული და პრაქტიკული პრინციპებისათვის.

ყრილობამ აირჩია ხელმძღვანელი ორგანო — რსდმპ-ის კავკასიის კავშირის კომიტეტი 9 კაცის შემადგენლობით: მ. გ. ბოჭორიძე, ფ. ი. მახარაძე, ზ. ლ. კნუნიანცი, ი. ბ. სტალინი, მ. გ. ცხაკაია, ა. გ. წულუკიძე და სხვ.

რსდმპ-ის კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ ნ. ნ. ალაჯალოვა, ბ. ო. ბობროვსკი, მ. ნ. დავითაშვილი, ს. გ. შაუმიანი, პ. ა. ჯაფარიძე.[1]

1903 წლის აპრილ-მაისში გამოვიდა „პროლეტარიატის ბრძოლის“ პირველი ნომერი ქართულ და სომხურ ენებზე, ხოლო იმავე წლის ნოემბერში გამოვიდა ამ გაზეთის დამატება — „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“.

---

1 იხ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი 1, თბილისი, 1957 წ. გვ. 78-79.

გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ იყო რსდმპ-ის კავკასიის კავშირის ორგანო. იგი დახურეს 12 ნომრის გამოსვლის შემდეგ. გაზეთი 1905 წლის ივლისიდან იბეჭდებოდა რუსულ („ბორბა პროლეტარიატა“), ქართულ („პროლეტარიატის ბრძოლა“) და სომხურ („პროლეტარიატი კრივ“) ენებზე. გაზეთის შინაარსი სამივე ენაზე იდენტური იყო. „პროლეტარიატის ბრძოლა“ წარმოადგენდა რევოლუციური მარქსიზმის ტრიბუნას ამიერკავკასიაში.

რსდმპ კავკასიის კავშირმა, 26 აპრილს, გამოსცა პროკლამაცია, რომელიც მუშებსა და გლეხებს აღაფრთოვანებდა შემდეგი ბრძოლისათვის — „დაირაზმეთ, ამხანაგებო! შემოიერთეთ ჯერ კიდევ შეუგნებელი მუშები და მით უძლეველჰყავით თქვენი ძალა, შეიტანეთ სინათლე თბილისის ბინძურ სახელოსნოებში, ბალახნის სანავთეებში და კავკასიის სულშემხუთავ მაღაროებში...

თქვენ კი, ამიერკავკასიის გლეხებო, შემოგვიერთდით ჩვენ! იბრძოლეთ ჩვენთან ერთად! ნუთუ არ გეყოთ ამდენი ხნის მწუხარება, სიღატაკე და მონური მორჩილება!... თქვენი შველა მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია“.[1]

გარდა ამისა, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, ბაქოს, ბათუმის, თბილისისა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტები სხვადასხვა ენაზე დიდი რაოდენობით უშვებდნენ ფურცლებსა და პროკლამაციებს.[2]

რსდმპ-ის კავკასიის კავშირის ხელმძღვანელობით 1903 წელს შედგა გრანდიოზული საპირველმაისო დემონსტრაციები ბაქოსა და თბილისში.

რსდმპ-ის ბაქოს კომიტეტმა მოაწყო რევოლუციური მასობრივი გამოსვლები ბაქოში, 1903 წლის 2 მარტსა და 27 აპრილს პოლიტიკური დემონსტრაციები და ივლისის საყოველთაო გაფიცვა, რომელიც სამხრეთ რუსეთის მუშების საყოველთაო გაფიცვის წინამორბედი იყო.

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), თბილისი, 1955, გვ. 3.

[2] Г. Жвания. Большевистская печать Закавказья накануне и в период первой русской революции, Тбилиси, 1958, გვ. 197.

გაფიცვის ხელმძღვანელად შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ი. ვაცეკი, მ. კასუმოვი, ბ. კნუნიანცი, ბ. მამედიაროვი, მ. მელიკიანცი, პ. მონტინი, ი. ფიოლეტოვი და სხვ.

რსდმპ-ის კავკასიის კავშირის კომიტეტმა დიდი მუშაობა გაშალა, რათა ბაქოს გაფიცვა გადაექცია ამიერკავკასიის მუშების საყოველთაო გაფიცვად. მუშებმა წამოაყენეს ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები და გაფიცვა მართლა გადაიქცა მსხვილ პოლიტიკურ მოვლენად სამხრეთ რუსეთში.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით 1903 წლის ივლისის გაფიცვამ თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში გაიყოლია მრავალრიცხოვანი მუშათა მასები — ქართველები, სომხები, სპარსელები, უკრაინელები და სხვ.

1903 წლის ზაფხულში თითქმის ერთსა და იმავე დროს ამიერკავკასიასა და უკრაინაში გაიფიცა 200-ათასამდე მუშა. ლენინური „ისკრა" სამხრეთ რუსეთის პროლეტარიატის ამ მძლავრი რევოლუციური გამოსვლების შესახებ წერდა: „ბაქოს თბილისი მოჰყვა, თბილისს—კიევი, კიევს ელიზავეტგრადი, და ბოლოს ოდესა. სამხრეთის მუშების გრანდიოზული გაფიცვა არის ამბავი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება მთელ შემდგომ განმათავისუფლებელ მოძრაობაში".[1]

1903 წლის ზაფხულის საერთო პოლიტიკური გაფიცვები სამხრეთ რუსეთში წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეტაპს რუსეთის პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ავანგარდად გადაქცევის გზაზე.

1903 წლის გაზაფხულის გაფიცვის დროს მიღებული რევოლუციური გამოცდილების შემდეგ ამიერკავკასიის, განსაკუთრებით ბაქოს და სამხრეთ რუსეთის პროლეტარიატი იწყებს მზადებას ახალი, კიდევ უფრო გადამწყვეტი კლასობრივი ბრძოლისათვის. ასეთ ვითარებაში 1903 წლის 17 (30) ივლისი-

---

[1] გაზ. „ისკრა", 1903 წლის აგვისტო, № 45.

დან 10 აგვისტომდე ჯერ ბრიუსელში, შემდეგ ლონდონში მიმდინარეობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობა. ამ ისტორიულ ყრილობაზე საფუძველი ჩაეყარა ახალი ტიპის მებრძოლ, მარქსისტულ-რევოლუციურ პარტიას. „ბოლშევიზმი,—წერდა ვ. ი. ლენინი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს“.[1]

ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დელეგატად რსდმ პარტიის II ყრილობაზე გაგზავნილი იყო ბ. კნუნიანცი (რუსოვი), რომელიც მტკიცედ იცავდა ლენინურ ჩაზს. თავის მხრივ ვ. ი. ლენინი ჯეროვნად აფასებდა ბ. კნუნიანცის ნიჭს, განათლებასა და წინადადებას იძლეოდა, რომ რევოლუციურ მარქსისტებს საფუძვლიანად წაეკითხათ რუსოვის სიტყვა.[2]

მიუხედავად უთანხმოებისა მთელ რიგ ძირითად პროგრამულ და ორგანიზაციულ საკითხებში, რსდმპ II ყრილობამ შეძლო ახალი ტიპის რევოლუციური პარტიის შექმნა.

რსდმპ II ყრილობიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ დ. თოფურიძემ და ნ. ჟორდანიამ ფართო კამპანია გააჩაღეს ამ ყრილობის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. ისინი შეეცადნენ დეზორგანიზაცია შეეტანათ რსდმპ-ის კავკასიის კავშირის მუშაობაში, რსდმ პარტიის კავკასიის კავშირი დაეპირისპირებინათ პარტიის II ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტისათვის.

1903 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში თბილისში შეიკრიბა რსდმპ კავკასიის კავშირის მორიგი II ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის, ბაქოს, ბათუმის და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების წარმომადგენლები. ყრილობის დღის წესრიგის მთავარ საკითხად დაყენებული იყო რსდმ პარტიის II ყრილობის შედეგების განხილვა და შემდგომი მუშაობის გეგმის გამომუშავება.

რსდმ პარტიის კავკასიის კავშირის II ყრილობაზე მ. ცხაკაიამ, ა. წულუკიძემ, ა. ზურაბოვმა, მკაცრად გააკრიტიკეს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31 გვ. 9.
[2] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 7, გვ. 385.

დ. თოფურიძის ანტიპარტიული მოქმედება და განაცხადეს, რომ მისი ყოფნა კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში შეუთავსებელია. თბილისის კომიტეტმა დ. თოფურიძე ჩამოაშორა პარტიულ მუშაობას. ამის შესახებ მათ აცნობეს ვ. ი. ლენინს, რომელმაც მოიწონა ამიერკავკასიის ბოლშევიკების გადაწყვეტილება.

„ძვირფასო ამხანაგებო!—წერდა ვ. ი. ლენინი,—ჩვენ მივიღეთ ცნობა თქვენი საქმეების შესახებ. პირადად რუბენისგანაც და წერილობით რაშიდ-ბეგისგანაც. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ თქვენს გადაწყვეტილებას—დროებით, ცენტრალური კომიტეტის მიერ საქმის გარჩევამდე, ჩამოიშოროთ ისარი,[1] მთელი მონაცემები ყრილობაზე მისი ქცევის შესახებ უთუოდ მის წინააღმდეგ მეტყველებენ"[2].

რსდმ პარტიის კავკასიის კავშირის II ყრილობამ განიხილა რსდმპ კავკასიის კავშირის წესდების პროექტი, რომელიც შემუშავებული იყო პარტიის II ყრილობის მიერ მიღებული რსდმ პარტიის ლენინური წესდების საფუძველზე.

რსდმპ კავკასიის კავშირის წესდებაში ნათქვამი იყო, რომ კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები წარმოადგენდნენ რსდმ პარტიის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს. ხაზგასმული იყო აგრეთვე ის, რომ კავკასიის კავშირის კომიტეტი სავსებით იზიარებდა იმ პროგრამასა და წესდებას, რომელიც შემუშავებული იყო პარტიის II ყრილობის მიერ და თავის მოქმედებაში ემორჩილებოდა პარტიის უზენაეს ორგანოებს, ე. ი. რსდმ პარტიის ყრილობას და მის მიერ არჩეულ ცენტრალურ კომიტეტს.

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ცხოვრებაში ახორციელებენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. ქართველების, რუსების, სომხების, აზერბაიჯანელებისა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთაგან შექმნილმა ერთიანმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ნაციონალიზმს.

---

[1] ისარი დ. თოფურიძის ფსევდონიმია.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 34, გვ. 195.

ვ. ი. ლენინი უფრო გვიან, მიუთითებდა რა ამიერკავკასიის ბოლშევიკების ინტერნაციონალურ ხასიათზე, წერდა: „ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები+სომხები+თათრები+რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტა“.[1]

ამიერკავკასიის ბოლშევიკები შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკებისა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ.

დაშნაკების პარტია სომეხ მშრომელთა უბოროტესი მტერი იყო. სტ. შაუმიანი ამ პარტიის შესახებ წერდა, რომ კავკასიის სომხური ბურჟუაზია, ბუნებრივია ამ პარტიაში ხედავს თავის ღვიძლ შვილს, თავის საუკეთესო მოკავშირეს, თავისი ინტერესების საუკეთესო გამომხატველსა და დამცველს. და ამიტომ ყოველი ღონისძიებით და სულიერადაც ეხმარება ამ პარტიას.[2]

ასეთივე შეფასება მისცა ამ პარტიას ბოლშევიკური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწემ ს. სპანდარიანმა. ბოლშევიკებმა ამხილეს დაშნაკები, როგორც სომეხ, ამიერკავკასიისა და სხვა ეროვნების მშრომელთა მტერი.

მუშათა მოძრაობას ბაქოში დიდი ზიანი მიაყენა შენდრიკოველობამ, რომლებმაც ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენეს ზუბატოვისებური მეთოდები.

1904 წლის ბოლოს ნავთობის მეწარმეებმა ახალი შეტევა განახორციელეს მუშების წინააღმდეგ. მათ იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ საწყობებში დაგროვდა ნავთობის პროდუქტების უზარმაზარი რაოდენობა (15 მილიონი მანეთის), გადაწყვიტეს თავიანთი საქმე გამოესწორებინათ მუშების ხარჯზე. მეწარმენი პროვოკაციულად იწვევდნენ მუშების გაფიცვებს. ამ გზით ცდილობდნენ შეეწყვიტათ ნავთობის შემდგომი დაგროვება, გაედიდებინათ ფასები და ეკონომია გაეწიათ მუშების ხელფასის ხარჯზე.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 76.

[2] С. Г. Шаумян. Избранные произведения в 2 томах, т. 1, М., 1957, გვ. 214.

ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტს სრულიად სამართლიანად მიაჩნდა, რომ 1904 წლის შემოდგომაა და ზამთარში გაფიცვის ჩატარება არახელსაყრელი იყო მუშებისათვის. შენდრიკოველები კი პროვოკაციულად მოქმედებდნენ. ისინი წყალს ასხამდნენ ნავთობის მეწარმეთა წისქვილზე და ფაქტიურად მათთვის აკეთებდნენ სასარგებლო საქმეს, როცა გამოდიოდნენ დემაგოგიური სიტყვებით და მოითხოვდნენ გაფიცვის დაუყოვნებლივ გამოცხადებას, აყენებდნენ რა მეორეხარისხოვანი ეკონომიური ხასიათის მოთხოვნებს—მუშებისათვის წინსაფრების, სახელურების და სხვა მსგავსის მიცემას. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის დემაგოგიურ გამოსვლებს გასაგალი ჰქონდა მუშების მხოლოდ შეუგნებელ ნაწილში.

ბოლშევიკებს გაფიცვის ორგანიზაციის ხელსაყრელ მომენტად 1905 წლის იანვარი მიაჩნდათ, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა მთელი რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან. ამ თვეში მეფის ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა კავკასიაში გაეტარებინა არმიის მობილიზაცია. ეს მომენტი ხელს შეუწყობდა საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაგრამ შენდრიკოველებმა მიაღწიეს საწადელს. მათი დემაგოგიით წაქეზებული მუშების შეჩერება შეუძლებელი შეიქნა. 1904 წლის შემოდგომაზე მუშათა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი მოითხოვდა გაფიცვას. რადგან გაფიცვის თავიდან აცილება აღარ შეიძლებოდა, ბაქოს კომიტეტმა გადაწყვიტა სათავეში ჩადგომოდა მას, მიეცა გაფიცვისათვის ორგანიზებული პოლიტიკური ხასიათი, რსდმპ ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი.

გაფიცვის წინადღეს, 1904 წლის 12 დეკემბერს, საგაფიცვო კომიტეტი (რომელშიც ბოლშევიკებიდან შედიოდნენ ა. სტეპანიანი, ი. ფიოლეტოვი და პ. ჯაფარიძე) შეიკრიბა რსდმ პარტიის ბაქოს კომიტეტთან ერთად, რათა შეემუშავებინა ნავთობის მეწარმეთათვის წარმოსადგენი მოთხოვნები. გაფიცვის ხელმძღვანელობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ვ. ბობროვსკი, პ. მონტინი და სხვა ბოლშევიკები.

1904 წლის 13 დეკემბერს, დილით, დაიწყო ბაქოს მუშების

საყოველთაო გაფიცვა. გაფიცვამ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თავიდანვე ორგანიზებული ხასიათი მიიღო და 18 დღეს გაგრძელდა.[1] გაფიცვის მიზანდასახულად წარმართვაში დადებითი როლი შეასრულა აგრეთვე სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა „გუმეთმა" (ენერგია), რომელიც 1904 წლის შემოდგომაზე შეიქმნა ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტის გადაწყვეტილებით. „გუმეთი" შედიოდა ბაქოს ბოლშევიკების ორგანიზაციაში და რსდმპ პარტიის ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით მუშაობდა. 1905 წლის დასაწყისიდან „გუმეთის" ჯგუფს სათავეში ედგა გამოჩენილი რევოლუციონერი მეშადი აზიზბეკოვი.

„გუმეთის" ჯგუფის სხდომებზე მუდმივად იმყოფებოდა ბოლშევიკების ბაქოს კომიტეტის წარმომადგენელი. ჩვეულებრივ ამ დავალებას ასრულებდა პ. ჯაფარიძე. თავის მხრივ „გუმეთის" წარმომადგენელი მონაწილეობას იღებდა რსდმპ ბაქოს კომიტეტის მუშაობაში, როგორც ამ კომიტეტის წევრი. „გუმეთი" მნიშვნელოვან რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა აზერბაიჯანელ მშრომელთა შორის, აზერბაიჯანულ ენაზე ბეჭდავდა პროკლამაციებს, ფურცლებს, არალეგალურ გაზეთ „გუმეთს" (სულ გამოვიდა ამ გაზეთის 5—6 ნომერი), რომლებიც ვრცელდებოდა არა მარტო ბაქოელ მუშებს შორის, არამედ აზერბაიჯანის რიგ მაზრებშიც.

საყოველთაო გაფიცვის დღეებში „გუმეთმა" აზერბაიჯანულ ენაზე გამოუშვა ფურცელი, რომელიც მუშებს მოუწოდებდა ორგანიზაციული ბრძოლისაკენ ნავთობის მეწარმეთა წინააღმდეგ.

ბაქოს მუშების გაფიცვა საყოველთაო გაფიცვაში გადაიზარდა. მეფის ხელისუფლება და ბურჟუაზია შეშინდნენ. ფინანსთა მინისტრმა საქმის ვითარება აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრ სვიატოპოლკ-მირსკის, რომელმაც წინადადება მისცა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველს გენერალ მალამას დაუყოვნებლივ გაეგზავნა ჯარები ბაქოში. ხელისუფლებამ ქალაქში სამხედრო წესები გამოაცხადა. სამხედრო უწ-

[1] Н. А. Чахвашвили. Рабочее движение в Грузии (1870—1904 гг.), Тбилиси, 1958, გვ. 337.

ყებამ სამხედრო დაცვა დააყენა ვაგზალში, ფოსტაში, ხაზინაში და სხვ. ქალაქში პატრულირებას ეწეოდნენ პოლიციელები და კაზაკები. მათ დასახმარებლად ჩამოვიდა ორი ათასამდე ჯარისკაცი. მიუხედავად ამისა გაფიცვა გრძელდებოდა.

პარტიის ბაქოს კომიტეტმა 17 დეკემბერს პროკლამაციით მიმართა ჯარისკაცებს, რომელშიც მოუწოდებდა, რათა ისინი ბაქოს მუშებთან ერთად გამოსულიყვნენ ცარიზმის წინააღმდეგ. ბოლშევიკები ჯარისკაცებს განუმარტავდნენ მუშათა მოთხოვნებს.

18 დეკემბერს დაიწყო მოლაპარაკება მეწარმეთა და მუშების წარმომადგენელთა შორის, მაგრამ 22 დეკემბერს მეწარმეებმა ისარგებლეს იმით, რომ თბილისიდან ჩამოვიდა ჯარის ნაწილები, აგრეთვე შენდრიკოველების გამთიშველი მოქმედებით და შეწყვიტეს მოლაპარაკება. მათ ქალაქში გამოაკრეს განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ თანახმა იყვნენ უმნიშვნელო დათმობებზე და მოითხოვდნენ გაფიცვის შეწყვეტას 23 დეკემბრიდან. მეწარმენი მზადყოფნას გამოთქვამდნენ სამუშაო დღე განესაზღვრათ 9,5 საათით, მუშებისათვის მიეცათ კვირაში ერთი დასვენების დღე და წასულიყვნენ სხვა უმნიშვნელო დათმობებზე. უარის შემთხვევაში ისინი იმუქრებოდნენ ლოკაუტის გამოცხადებით. მაგრამ ამან ვერ გატეხა მუშების სიმტკიცე. გაფიცვა გრძელდებოდა, მუშების რევოლუციური ნებისყოფა არ სუსტდებოდა. გაფიცვის კომიტეტმა უარყო ნავთობის მრეწველთა წინადადებანი.

22 დეკემბერს მოხდა მუშების შეტაკება პოლიციელებთან და კაზაკებთან. უიარაღო მუშებმა კაზაკებსა და პოლიციელებს ჯოხები და ქვები დაუშინეს. ჯარმა ატეხა სროლა, რის შედეგად მოკლეს 5 და დაჭრეს 40 მუშაზე მეტი.

დახვრეტამ ვერ შეაშინა გაფიცულნი. მან კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ გამოავლინა თვითმპყრობელური რეჟიმის თვითნებობა და მუშათა უუფლებობა. ცარიზმის მხეცურმა მოქმედებამ შურისძიების ცეცხლით აღაგზნო ბაქოს პროლეტარიატი.

25 დეკემბერს ბოლშევიკებმა მოაწყვეს კაზაკების მიერ დახოცილი მუშების დასაფლავება, რომელიც მძლავრ, ხალხ-

მრავალ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა. შენდრიკოველებს მონაწილეობა არ მიუღიათ ამ პროცესიაში. სიტყვებით გამოსული ორატორები მოუწოდებდნენ რევოლუციური ბრძოლის გაძლიერებისაკენ, შურისძიებისაკენ. გვირგვინებზე გაჩნდა წარწერები — „ძირს თვითმპყრობელობა“! გავრცელდა პროკლამაციები, სასაფლაოზე აფრიალდა წითელი დროშა.

სიმტკიცისა და თავდაჭერის მაგალითები უჩვენეს იმ მუშებმა, რომლებსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. კაპიტალისტები დარწმუნდნენ, რომ მცირე დათმობებით და პროვოკაციებით მუშებს უკან ვერ დაახევინებდნენ. ნავთობის მრეწველთა საბჭო იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და სამუშაოზე გამოცხადების უკანასკნელ დღედ მუშებისათვის დანიშნა 28 დეკემბერი. მხოლოდ 31 დეკემბერს, საგაფიცვო კომიტეტთან ხელახალი მოლაპარაკების და კაპიტალისტების მხრივ სერიოზულ დათმობათა შედეგად საბოლოოდ იქნა მიღწეული შეთანხმება. 1905 წლის 2 იანვარს მუშებმა განაახლეს მუშაობა.

ბაქოს მუშების საყოველთაო გაფიცვის ზეგავლენით აზერბაიჯანის სხვა ქალაქებშიც მოხდა რევოლუციური გამოსვლები.

ამიერკავკასიის მძლავრი რევოლუციური მოძრაობა, პირველ რიგში ბაქოს ნავთობის მრეწველობის პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლები ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მოწმობდა, რომ თვითმპყრობელობას რუსეთის იმპერიის ამ მხარეში ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა.

ამიერკავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა შემადგენელი ნაწილი იყო რუსეთის რევოლუციური მოძრაობისა, რომლის ცენტრში პეტერბურგის მუშათა კლასი იდგა.

* * *

1905—1907 წლების რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია დაიწყო 1905 წლის 9 იანვრის სისხლიანი ამბებით. მეფის ჯარებმა ტყვიები დაუშინეს პეტერბურგის მუშათა კლასის მშვიდობიან დემონსტრაციას, რომელიც პეტიციით მიემართებოდა ზამთრის სასახლისაკენ.

მუშათა კლასის მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტამ მთელი ქვეყნის მშრომელი მასები აღაშფოთა, მან სახალხო რევოლუცია გამოიწვია მთელ რუსეთში. მასობრივი გაფიცვები შეიარაღებულ აჯანყებებში გადაიზარდა. ვ. ი. ლენინი იმ დღეებში წერდა:

„იწყება აჯანყება. ძალა უპირდაპირდება ძალას. გაჩაღებულია ქუჩებში ბრძოლა, შენდება ბარიკადები, გრიალებს ზალპები და ქუხს ზარბაზნები. სისხლი ნაკადებად იღვრება, ჩაღდება სამოქალაქო ომი თავისუფლებისათვის. პეტერბურგის პროლეტარიატს მზად არიან შეუერთდნენ მოსკოვი და სამხრეთი, კავკასია და პოლონეთი. მუშების ლოზუნგი გახდა: სიკვდილი ან თავისუფლება!“.[1]

9 იანვრის სისხლიანი ამბების საპასუხოდ მთელ რუსეთში დაიწყო მძლავრი რევოლუციური აღმავლობა. პეტერბურგის მუშებმა გამოაცხადეს მასობრივი გაფიცვა. მათ მხარი დაუჭირეს მოსკოვის პროლეტარებმა და რუსეთის სხვა ქალაქების მუშებმა, რომელთაც აგრეთვე გამოაცხადეს გაფიცვა. უკვე 1905 წლის იანვარში რუსეთში გაფიცული იყო 440 ათასი მუშა, ე. ი. მეტი ვიდრე წინა 10 წლის განმავლობაში.

ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ერევანსა და ამიერკავკასიის სევრ სხვა ქალაქში მუშები და მშრომელები აწყობდნენ დემონსტრაციებს ლოზუნგებით: „ძირს სისხლისმსმელი მეფე!“ „ძირს თვითმპყრობელობა!“. მუშები ყველგან გამოხატავდნენ თავიანთ კლასობრივ სოლიდარობას რუს პროლეტარიატთან და მჭიდროვდებოდნენ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ირგვლივ.

ამიერკავკასიის პროლეტარიატის მებრძოლ რაზმს წარმოადგენდა ბაქოს პროლეტარიატი, რომელსაც სათავეში ედგა პარტიის ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტი.

1905 წლის 10 იანვარს ბაქოს სამრეწველო საწარმოებში, თეატრებსა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში გაავრცელეს პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამი იყო:

„ამხანაგებო! მეფის თვითმპყრობელობისათვის დაჰკრა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 67.

მრისხანე საბედისწერო ჟამმა. ახლოვდება ჩვენი მონობის, უუფლებობის, ურცხვი და თავშეუკავებელი ექსპლოატაციის დასასრული!

დგება ახალი ცხოვრების განთიადი, და პროლეტარიატის სისხლიანი დროშა, რომლისგანაც თრთის დესპოტებისა და ექსპლოატატორების გული, პეტერბურგის მუშების ასიათასიანი არმიის—ჩვენი ამხანაგების მიერ აღმართულია თვითმპყრობელობის შუა გულში".[1]

ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტი ბაქოელ მუშებს მოუწოდებდა სოლიდარობისა და მოქმედების ერთიანობისაკენ პეტერბურგელ მუშებთან.

1905 წლის იანვრის განმავლობაში გაფიცვებმა აზერბაიჯანის სხვა ქალაქებიც მოიცვეს. 25 იანვარს დაიწყო სადგურ ელიზავეტპოლის (განჯის) რკინიგზელი მუშების გაფიცვა. მატარებლები გაჩერდა; გაფიცვებს შეუერთდნენ ელიზავეტპოლის გიმნაზიის მოსწავლეები, რომლებმაც მუშებს შორის გაავრცელეს რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები.

1905 წლის იანვრის შუა რიცხვებში გაიფიცნენ სპილენძის მადნების მუშები კედაბეკში და ზეთის ქარხნის მუშები სადგურ ლიაქზე. როგორც ყველგან. აქაც გაფიცულები მოითხოვდნენ თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სამუშაო დღის შემცირებას და ხელფასის გადიდებას. მაგრამ მუშები პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებსაც აყენებდნენ —კრებების, ბეჭდვითი სიტყვისა და პროფკავშირების მოქმედების თავისუფლებას. 1905 წლის იანვრის ბოლოს ელიზავეტპოლში შეიქმნა ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია მშრომელთა შორის. ბოლშევიკური ჯგუფები არსებობდნენ აგრეთვე რკინიგზის მთავარ სადგურებზე—ელიზავეტპოლში, აქსტაფაში, ევლახში და ბალაჯარაში. ბაქოს პარტიული ორგანიზაცია ბეჭდვითი სახის ფართო საგიტაციო და საპროპაგანდო მუშაობას ეწეოდა მოსახლეობაში. მარტო 1904 წლის ივნისიდან 1905 წლის თებერვლამდე რსდმპ ბაქოს

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903 — 1905 წწ.); სახელგამი, 1953, გვ. 284.

კომიტეტმა რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გამოუშვა და გაავრცელა 87 სახელწოდების პროკლამაცია და ფურცელი. მეფის ხელისუფლება ცდილობდა ბოლშევიკების დაპატიმრებით შეეჩერებინა აბობოქრებული რევოლუციური მოძრაობა. ამ მიზნით 1905 წლის 17 იანვარს ჟანდარმებმა დააპატიმრეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრები — ა. წულუკიძე, ფ. მახარაძე, ვ. ბოჭორიძე და სხვ. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. რევოლუციურმა მოძრაობამ კიდევ უფრო მრისხანე ხასიათი მიიღო. 18 იანვარს თბილისში რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშების გაფიცვით დაიწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. შემდეგ მათ მხარი დაუჭირეს მექანიკური ქარხნებისა და სტამბების მუშებმა. ამ დღეს გაიფიცა 4 ათასამდე კაცი.

თბილისში დაწყებული საყოველთაო გაფიცვის შესახებ პეტერბურგის ვიბორგის რაიონული ორგანიზაცია 20 იანვარს გამოცემულ პროკლამაციაში წერდა: „მოსკოვში, სამარაში, სარატოვში, კიევში, მინსკში, კოვნოში, ვილნოში, ლიბავაში, რეველში, რიგაში, ლოძში, თბილისში და ფინეთში მრისხანედ გამოვიდნენ მუშები უკეთესი ცხოვრებისა და ადამიანური უფლებებისათვის საბრძოლველად".[1] 19—20 იანვარს გაფიცვა მოედო თბილისის ყველა ფაბრიკასა და ქარხანას. 19 იანვარს დიდუბეში ბათუმის მოედანზე მოეწყო მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2000-ზე მეტმა კაცმა.[2]

საგაფიცვო მოძრაობამ მოიცვა ამიერკავკასიის ყველა ქალაქი. მასობრივ გაფიცვებს ხელმძღვანელობდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. ამიტომ გაფიცვებს ყველგან ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა.

23 იანვარს, კვირადღეს, თბილისში გაიმართა დემონსტრაცია. დილიდანვე მუშები იკრიბებოდნენ ქალაქის ცენტრში — გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტზე, პუშკი-

---

[1] იხ. ე. გ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ, სახელგამი, 1956, გვ. 58.

[2] Революция 1905—1907 гг. в Грузии. Сборник документов, Тбилиси, 1956, გვ. 69—70.

ნის ქუჩაზე და სალდათის ბაზართან (ეხლანდელ კოლმეურნეობის მოედანზე). ხელისუფლების მიერ მიღებული ყოველი ღონისძიების მიუხედავად, დემონსტრაცია მაინც ჩატარდა. დემონსტრანტების მსვლელობა დაიწყო გოლოვინის პროსპექტზე. მათ წინ მოჰქონდათ წითელი დროშა და გაიძახოდნენ ლოზუნგებს: „ძირს თვითმპყრობელობა!". „გაუმარჯოს რევოლუციას!". დემონსტრაციის დროს დიდი რაოდენობით გავრცელდა პროკლამაციები. პოლიციელები და კაზაკები თავს დაესხნენ დემონსტრანტებს, მოხდა შეტაკება. მოკლულ და დაჭრილ იქნა რამდენიმე კაცი. ორმოცზე მეტი მუშა დააპატიმრეს.

თბილისის ამბებს დიდი გამოხმაურება ჰქონდა რუსეთში. თბილისის მუშების დემონსტრაცია ჩატარდა ძალიან კარგად. ამ დღეებში ბოლშევიკები მოუწოდებდნენ მუშებს გამოსულიყვნენ ქუჩებში, რათა მათ გულში დაგროვილი მთელი სიძულვილით დაეძახათ რუსეთის გასაგონად „ძირს თვითმპყრობელობა!" გაუმარჯოს თავისუფლებას, „გაუმარჯოს სოციალიზმს!".

ბათუმში 10 იანვარს გაიფიცნენ სიდერიდისის ქარხნის მუშები, ხოლო 4 დღის შემდეგ შედგა მუშათა დემონსტრაცია. 15 იანვარს გაიფიცნენ მანთაშევის ქარხნის მუშები, ხოლო 17 იანვარს — ნავსადგურის მუშები. იმავე დღეს გაიფიცნენ რკინიგზელები. გაფიცვამ რამდენიმე დღეს გასტანა. 20 იანვარს კვლავ დაიწყო გაფიცვა, რომელიც ხუთი დღის შემდეგ საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვად გადაიზარდა. ყველგან ეწყობოდა მიტინგები, კრებები, მუშები მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს და ავრცელებდნენ ბოლშევიკურ პროკლამაციებს. გაფიცულთა მხარეზე იყვნენ ბათუმის სასწავლებელთა მოსწავლეებიც. ბათუმის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით ოლქიდან ქალაქში დამატებით გამოწვეულ იქნა სამხედრო ნაწილები, რომლებიც მხეცურად სცემდნენ მუშებს.

24 იანვარს ქ. ქუთაისში გაფიცულ მუშებს შეუერთდა ქალაქის ინტელიგენციისა და მოსამსახურეთა მოწინავე ნაწილი. მათ მოაწყეს დიდი დემონსტრაცია ქალაქის ბაღში. ამ დემონსტრაციაში მონაწილეობდა 2000 კაცი. ორი საათის განმავლობაში ქალაქის ცენტრში მუშები მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს. ქუთაისში მომხდარი ამბების შესახებ პარტიის

ცენტრალური ორგანო გაზეთი „პროლეტარი" წერდა: „გაფიცვა გაგრძელდა მთელი კვირა. სიცოცხლე შეჩერდა: შეწყდა ვაჭრობა, ტრანსპორტის მიმოსვლა. შეწყდა ელექტრონის დენი, დაიხურა სასწავლებლები, მაღაზიები, აფთიაქები, სახელოსნოები... გაფიცვა სრული გამარჯვებით დამთავრდა".[1]

მოხელეები კავკასიაში ვეღარ მალავდნენ რევოლუციური მოძრაობის მძლავრ აღმავლობას. ისინი იძულებული იყვნენ თავიანთ მოხსენებებში აღენიშნათ, რომ 1905 წლის იანვარში ამიერკავკასიაში ადგილი ჰქონდა საყოველთაო გაფიცვებს ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ალექსანდრეპოლში, ჭიათურაში, ელიზავეტპოლში, ფოთში, ყარსში და სხვა ქალაქებში.

20 იანვარს ქ. ფოთში გაიფიცნენ რკინიგზელები, მათ მხარი დაუჭირეს ნავსადგურის მუშებმა, მარგანეცის მტვირთავებმა და სხვ.

22 იანვარს ჭიათურაში დაიწყო მარგანეცის მაღაროების მუშათა გაფიცვა, რომელმაც გავლენა იქონია სოფელზეც და გაგრძელდა ორ თვეს. რამდენიმე დღის შემდეგ უახლოესი სოფლების გლეხები მუშებთან ერთად მონაწილეობდნენ დემონსტრაციაში. შეკრება მოხდა ჭიათურის განაპირას, აქედან დემონსტრანტები რევოლუციური სიმღერებითა და დროშით გაემართნენ ცენტრისაკენ. ადმინისტრაციის წარმომადგენელმა პოლიციას სთხოვა დახმარებისათვის. მაგრამ ამის შესრულება შეუძლებელი გახდა. რკინიგზის გაფიცულმა მუშა-მოსამსახურეებმა დიდი მიტინგი მოაწყეს, რომელზეც ჭიათურის ბოლშევიკური ორგანიზაციისა და ქუთაისის კომიტეტის სახელით მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ივანე ინწკირველი (სტეპკო).

მუშები გაფიცვის პერიოდში ახდენდნენ პოლიციელთა განიარაღებას. 25 თებერვალს ათასამდე შეიარაღებული მუშა თავს დაესხა პოლიციის საყარაულოს. სროლის შედეგად მოკლეს ბოქაული, მისი გენერალი და ორი სტრაჟნიკი. მუშებმა ხელთ იგდეს შაშხანები, ხოლო საყარაულო დაწვეს.[2]

---

[1] გაზ. „პროლეტარი", № 5, 1905.

[2] იხ. ი. გ. ხუციშვილი, 1905—1907 წწ. რევოლუცია საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 139.

ამის შესახებ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთ „პროლეტარი“ წერდა:

„ჭიათურის მუშები, რომელნიც გაერთიანებული იყვნენ სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, გამოდიან როგორც ერთიანი შემჭიდროებული, ორგანიზაციული რევოლუციური ძალა, რომელიც პირველსავე მოწოდებისთანავე მზად არის დადგეს ბარიკადებზე“.[1]

1905 წლის 11—15 თებერვალს ბათუმში კვლავ იფეთქა მანთაშევისა და როტშილდის ქარხნების მუშების გაფიცვამ, რომლებიც მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას. მუშაობა შეწყვიტეს აგრეთვე რკინიგზის დეპოს მუშებმა, მეისრეებმა და მატარებლების მომსახურე პერსონალმა. ამასთან დაკავშირებით შეწყდა ნორმალური სარკინიგზო მოძრაობა ბათუმ-სამტრედიისა და სამტრედია-ფოთის მაგისტრალზე. თებერვლის პირველი ნახევრიდან შეწყდა მატარებლების მოძრაობა სხვა ხაზებზეც.

16 თებერვალს საკუთარი შეჩერდა მუშაობა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში. მუშებმა წამოაყენეს 15 პუნქტისაგან შემდგარი მოთხოვნა, მათ შორის 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესება, არარუს ეროვნებათა ხელფასის გათანასწორება რუსი მუშა-მოსამსახურეების ხელფასთან, ყოველდღიური ხელფასის გადიდება ყველა მუშისათვის, იმ ამხანაგების განთავისუფლება, რომელნიც დაპატიმრებული იყვნენ იანვრის გაფიცვის დროს, ომის საჭიროებისათვის იძულებითი გადასახადების გაუქმება და სხვ. მაგრამ მუშებმა პასუხი ვერ მიიღეს. 23 თებერვალს ორიათასამდე მუშა კვლავ გამოვიდა ქუჩებში რევოლუციური სიმღერებით და წითელი დროშით. დემონსტრაცია გაემართა დიდუბისაკენ. დემონსტრაციის მსვლელობის დროს მუშები წარმოსთქვამდნენ რევოლუციურ სიტყვებს.

ამიერკავკასიის პროლეტარიატი, რუსეთის მუშათა კლასთან ერთად ჩადგა თვითმპყრობელობის დამხობისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

---

[1] გაზ. „პროლეტარი“, № 15, 1905.

მძლავრმა რევოლუციურმა მოძრაობამ მოიცვა რუსეთის იმპერიის სოფლებიც.

მუშათა კლასის ხელმძღვანელობით რუსეთის მრავალმილიონიანი გლეხობა იბრძოდა იმისათვის, რომ თავი დაეღწია უმწეო მდგომარეობისათვის, მიეღო მიწა და პოლიტიკური თავისუფლება. გლეხობის რევოლუციური გამოსვლები მემამულეთა წინააღმდეგ მოედო ცენტრალურ რუსეთს, განსაკუთრებული სიმწვავით გაიშალა იგი ეროვნულ მხარეებში, მათ შორის ამიერკავკასიაშიც, სადაც ბატონყმობის ნაშთები და ეროვნული ჩაგვრა განსაკუთრებული სიმწვავით იჩენდა თავს.

უკიდურესი მცირემიწიანობა, მძიმე იჯარა ნატურალური და აუტანელი სახელმწიფო ეადასახადები, პოლიციის და სამღვდელოების მხრივ ჩაგვრა (სამღვდელოებას უხდიდნენ კომლზე ორ მანეთს), ყველაფერი ეს ხელს უწყობდა გლეხობის გაღატაკებას.

ამიერკავკასიის მუშათა კლასი თავისი პოლიტიკური გაფიცვებით და დემონსტრაციებით ზეგავლენას ახდენდა რუსეთის იმპერიის ამ მხარის გლეხობის რევოლუციურ მოძრაობაზე, რომელსაც მოხერხებულად ხელმძღვანელობდნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები.

ჯერ კიდევ 1902 წლიდან დაწყებული გურიის მთელ რიგ სოფლებში გლეხები ღამღამობით ტყეებში აწყობდნენ კრებებს და ადგენდნენ მოთხოვნებს-მიწის საიჯარო ეადასახადის შემცირების, გადასახადების მოსპობის შესახებ და სხვ.

გლეხობის რევოლუციური მოძრაობა, რომლებიც გურიაში დაიწყო, გავრცელდა სამეგრელოსა და იმერეთზე (ზუგდიდის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში). ამ რაიონებში შეიქმნა გლეხთა რევოლუციური კომიტეტები.

1904 წლის პირველ მაისს გურიაში ორგანიზებულ იქნა შეიარაღებული დემონსტრაციები, ხოლო 1904 წლის შემოდგომაზე იმართებოდა მიტინგები, რომლებსაც ესწრებოდა 500-დან 4 ათას გლეხამდე.

ამასთან დაკავშირებით 1905 წლის 23 (10) მარტს ბოლშევიკების საზღვარგარეთული ცენტრალური ორგანო „ვპერიოდი“ წერდა: „გურიის გლეხთა მოძრაობა იშვიათი მოვლენაა

მსოფლიოს ისტორიაში, ეს ჩვეულებრივი გლეხთა აჯანყება კი არ არის, არამედ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მთლიანად ემხრობა მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას...[1]

გურიის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობაზე გაზეთ „ვპერიოდში" გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნული იყო: „ოზურგეთის მაზრის (გურია) გურულებს შორის უკვე სამი წელიწადია მოქმედებენ საკუთარი ეროვნული რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მემამულეებს, საშღვდელოებასა და მთავრობას. მაზრა მთლიანად ამ კომიტეტების ხელშია; ისინი გლეხის ცხოვრების ყველა წვრილმანში ერევიან".[2]

ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატების კორესპონდენციები გაზეთებში „ვპერიოდი" და „პროლეტარი" კიდევ უფრო ნათელს ხდიან ამ სურათს. „პოლიცია, სამღვდელოება, სასამართლო უწყება ფაქტიურად გაუქმებულია. საქმეებს თვით ხალხი განაგებს. დამნაშავეებს, რომელთა რიცხვი გასაოცრად შემცირდა, საჯაროდ ასამართლებს თვით ხალხი. ქურდობა, ლოთობა თითქმის გაქრა. კრებები და მიტინგები იმართება აშკარად, უმთავრესად, ეკლესიების გალავნებს იქით. სიტყვის, კრებების და კავშირების თავისუფლება საქართველოში უკვე მომხდარი ფაქტია. რევოლუციური იდეებით ცოცხლობს თვითეული, რევოლუციისათვის ემზადება ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია.

რევოლუციური მღელვარება მოედო აგრეთვე ოზურგეთის მაზრის მეზობელ მხარეებს — სენაკისა და ქუთაისის მაზრებს, ქუთაისის გუბერნიაში და ბათუმის ოლქის კინტრაშის უბანს".[3]

1905 წლის 3 მარტს (18 თებერვალს) ოზურგეთის მაზრაში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა. გურიაში სასწრაფოდ

---

1 იხ. ილია მელქაძე, რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905—1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1960, გვ. 276-277.

2 გაზ. „ვპერიოდი", № 11, 1905.

3 სსრ კავშირის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, პდ ფონდი, საქმე 1350, ნაწ. 70/1905, ფ. 13 — 15.

გაიგზავნა დამსჯელი რაზმი 8 ათასი ჯარისკაცის შემადგენლობით, რომელსაც მეთაურობდა გენერალი ალიხანოვ-ავარსკი, მის თანაშემწედ კი გაგზავნილ იქნა მეფის მოხელე სულთან კრიმ-გირეი, რომელსაც ევალებოდა გამოერკვია გურულების საჭიროებანი გლეხების გამოკითხვის გზით. სულთან კრიმ-გირეიმ მოიარა 10 სასოფლო საბჭო, სადაც მან გამოჰკითხა გლეხებს, თუ რა იყო მათი უკმაყოფილების მიზეზი.

გაზეთმა „ცნობის ფურცელმა" გამოაქვეყნა სულთან კრიმ-გირეისთან გლეხების საუბრები. ერთ-ერთ საუბარში ასკანელმა გლეხმა ასე დახატა გურული გლეხის დუხჭირი ცხოვრება: „გლეხის პირველი საჭიროება მიწა და მიწაა. ისეთი მცირე ადგილი გვაქვს, ზედ რომ გავწვეთ თავი სხვის ადგილში გვექნება და ფეხები სხვისაში. ჩვენ ვუერთდებით მთელი რუსეთის გაჭირვებულ მშრომელ ხალხს. მისი გაჭირვება ჩვენი საერთო გაჭირვებაა და მისი მოთხოვნილება ჩვენი საერთო მოთხოვნილებაა. დიდი ხნის მოთმინებამ და გაჭირვებამ გვასწავლა, რომ მხოლოდ გაჭირვებულთ შეუძლიათ უშველონ თავიანთ თავს ერთობით, ძმობით. სხვისგან ჩვენ შვებას არ მოველით. რა შველას უნდა მოველოდეთ იმათგან, რომელნიც უკანასკნელ ავეჯს და სიმინდს გვიყიდიან გადასახადში. აბა მობრძანდით და ნახეთ კანცელარიაში მოგროვილი ჩვენი ღარიბული ნივთები. გროში რომ არ გვებადა, საბანი აგვხადეს და უკანასკნელი ლეიბი მოგვტაცეს გასაყიდად. არ გვინდა სამღვდელოების შენახვა და მათგან საღმთო სჯულის სწავლება. უფლება უნდა მოგვეცეს კრებისა, რომ ჩვენ გაჭირვებაზე საერთოდ მოვილაპარაკოთ, რადგან აზრის გაუზიარებლად არაფერი საქმე არ კეთდება... მოვითხოვთ მუდმივი ჯარის გაუქმებას და სახალხო მილიციის შექმნას. დღეს სალდათები ჩვენს წინააღმდეგ მოგყავთ. აი ახლაც ჯარი მომდგარია ნატანებზე ზარბაზნებიდ, ჩვენი აოხრება უნდათ. გაიყვანეთ აქედან ჯარი. მოვითხოვთ ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას, ყველა გადასახლებულის უკან დაბრუნებას".[1] კრიმ-გირეის გლეხებმა წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნები: 1. ყველა მემამულური და სახა-

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წლის 2 მარტი.

ზინო მიწების კონფისკაცია; 2. სიტყვის, კრებების და პრესის თავისუფლება; 3. პიროვნების ხელუხლებლობა, მოსამართლეთა არჩევით დანიშვნა; 4. ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან და სხვ. გლეხების ეს მოთხოვნები მიუთითებდნენ, რომ გურიის გლეხობაში ძლიერი იყო სოციალ-დემოკრატიის გავლენა.

მუშათა რევოლუციური გამოსვლების ზეგავლენით გაძლიერდა გლეხთა მოძრაობა თელავის მაზრაშიც. ხელისუფლების წინააღმდეგ აგრარულ-რევოლუციურმა მოძრაობამ მოიცვა ნაფარეულის, ფშაველის, გრემის, ალმატის და საბუის გლეხობა [1].

თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს გლეხებს, აგზავნიდა სოფლებში ორგანიზატორებს და პროპაგანდისტებს. ამის შესახებ თბილისის ოხრანკის უფროსი საიდუმლო მოხსენებაში 1905 წლის 17 მარტს წერდა, აგენტურული ცნობებით სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თბილისის კომიტეტმა გადაწყვიტა კახეთსა და ქართლში გაგზავნოს ინტელიგენტი პროპაგანდისტები და მოწინავე მუშები, რათა წააქეზონ გლეხები მემამულეების წინააღმდეგ [2].

1905 წლის 1 მაისს რუსეთის ქალაქებში პროლეტარიატმა მოაწყო მძლავრი პოლიტიკური გაფიცვები ლოზუნგით „ძირს თვითმპყრობელობა!" რუსეთის მუშათა გაფიცვამდე, (30 აპრილს) დაიწყო ბაქოს პროლეტარიატის მძლავრი პოლიტიკური გაფიცვა, რომელსაც მეთაურობდა ბოლშევიკური ორგანიზაცია. მსგავსი გაფიცვები და გამოსვლები მოხდა თბილისსა და ბათუმში.

ამ ბრძოლის მსვლელობას დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ვ. ი. ლენინი, რომელიც მიესალმებოდა ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების გმირულ ბრძოლას. კავკასიაში მომხდარი შეიარაღებული ბრძოლის გამო ვ. ი. ლენინი სტატიაში „რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა პარტიის პოლიტიკა" წერდა: რომ „ამ მხრივ ჩვენ გაგვასწრეს კავკასია-

[1] საქართველოს სსრ ცსია, ფ. 34-ს, საქმე 513, ფურც. 23.

[2] საქართველოს სსრ ცსია, ფ. 34-ს, საქმე 714, ფურც. 38-39.

მაც, პოლონეთმაც და ბალტიისპირა მხარემაც, ე. ი. სწორედ ისეთმა ცენტრებმა, სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც მოძრაობა ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე ძლიერად და ნათლადაა გამოხატული".[1]

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ

რევოლუციურმა მოძრაობამ დააფრთხო ცარიზმი. იგი არავითარ საშუალებებს არ ერიდებოდა პროლეტარიატის რიგების გასათიშავად და დასათრგუნავად.

მეფის სატრაპები ვორონცოვ-დაშკოვი, შირინკინი, ნაკაშიძე, ალიხანოვ-ავარსკი და სხვები ცარიზმის პოლიტიკის განხორციელებისას ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ ამიერკავკასიის მოძმე ხალხებს.

ამ მხეცური პოლიტიკის გატარებისას ცარიზმის დამხმარედ გამოდიოდნენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიები.

მეფის სატრაპებმა მოაწყვეს აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხთა ურთიერთ ხოცვა-ჟლეტა, რომელიც გრძელდებოდა ბაქოში 6-დან 9 თებერვლამდე. დაახლოებით ასეთივე ხოცვა-ჟლეტა მოხდა შუშაში, ელიზავეტპოლში, ნახჭევანსა და ერევანში, რის შედეგად ასობით ადამიანი მოკვდა და დაიჭრა.

რსდმპ-ის კავკასიის კავშირის კომიტეტმა დიდი მუშაობა ჩაატარა უდანაშაულო ადამიანების გადასარჩენად და იმ დამნაშავეთა გამოსაავლინებლად, ვისთვისაც ხელსაყრელი იყო ეს სისხლიანი შეტაკებანი. ბოლშევიკები განუმარტავდნენ ამიერკავკასიის ხალხებს, რომ თათრებსა და სომხებს შორის ურთიერთ ხოცვა-ჟლეტა სასარგებლო იყო მხოლოდ მეფისა და ბურჟუაზიისათვის, რომ მეფეს ეროვნული შუღლის გაღვივებით სურდა შეესუსტებინა რევოლუციური მოძრაობა.

ვ. ი. ლენინმა მკაცრად ამხილა ბაქოს ხოცვა-ჟლეტის ინიცი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 127.

ატორები. იგი წერდა: „რა თქმა უნდა, რასობრივი შეღლისა და ტომობრივი სიძულვილის გაღვივებით მთავრობამ შეიძლება დროებით შეაფერხოს კლასობრივი ბრძოლის განვითარება, მაგრამ მხოლოდ მოკლე ხნით და ამასთან იმ საფასურით, რომ ახალი ბრძოლის ასპარეზი კიდევ უფრო გაფართოვდება, ხალხი კიდევ უფრო გაბოროტდება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამის დამამტკიცებელია: შედეგები ბაქოს დარბევისა, რომელმაც გააათკეცა ყველა ფენის რევოლუციური განწყობილება ცარიზმის წინააღმდეგ.[1]

ბოლშევიკები მოუწოდებდნენ მშრომელთა მასებს სოლიდარობისა და ძმობისაკენ ცარიზმის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. რსდმპ-ის ბაქოს კომიტეტის 1905 წ. 10 თებერვლის მოწოდებაში ნათქვამი იყო, რომ იმ ულმობელმა სიმკაცრემ, რომელიც ბაქოს მუშების წინააღმდეგ გამოიჩინეს მეფის ჯარებმა და ადმინისტრაციამ, სრული სიცხადით დაამტკიცა მეფის პოლიციის წინასწარ განზრახული მოქმედება, რათა კიშინიოვის, გომელის, მოგილევისა და სხვა ქალაქების მსგავსად მეფის მთავრობას გაეჩაღებინა ეროვნული მტრობა, გაეთიშა და დაესუსტებინა პროლეტარიატის მძლავრი რევოლუციური მოძრაობა. „სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტა ბაქოში — ეს პეტერბურგის მუშათა უკანასკნელი აჯანყების პასუხია“,[2] — აღნიშნული იყო მოწოდებაში.

მეფის მთავრობის მიერ ორგანიზებული დარბევები მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი ხალხის გულისწყრომას იწვევდა.

დიდი პროლეტარული მწერალი ა. მ. გორკი შეძრწუნებული იყო თვითმპყრობელის უგუნური მოქმედებით და მკაცრად გმობდა იმ ერთი მუჭა ადამიანების საზიზღარ მუშაობას, რომელთაც თავიანთი ძალაუფლების დაკარგვის შიშით ჭკუა დაკარგეს. მას სააშკარაოზე გამოჰყავდა ცარიზმის მოხელენი, რომლებიც მიისწრაფოდნენ სისხლით ჩაექროთ ხალხთა შეგნების მოკაშკაშე კოცონი, მიუთითებდა ამიერკავკასიის ძმურ

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 231-232.

[2] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), გვ. 319.

ხალხებს, რომ მათ ყველას ჰყავდა ერთი მტერი — ცარიზმი, რომელიც უნდა მოესპოთ საერთო ძალღონით[1].

ამიერკავკასიის ხალხების სახელოვანი შვილები აკაკი წერეთელი, ოვანეს თუმანიანი, ნარიმან ნარიმანოვი, აკოფ აკოპიანი, საბირი და ბევრი სხვა ამიერკავკასიის ხალხებს მოუწოდებდნენ მშვიდობის, ძმობისა და საერთო მტრის — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ გაერთიანებული ძალებით. ერთა შორის მტრული ეროვნული პოლიტიკა არათუ აძლიერებდა ცარიზმს, არამედ, პირიქით თანდათანობით ასუსტებდა მას, ამხედრებდა მასებს მის წინააღმდეგ.

მეფის ხელისუფლების დახმარებით შავრაზმელები თბილისშიც შეეცადნენ მოეწყოთ სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა, მაგრამ თბილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ დროულად მიიღო ზომები. მან გამოუშვა მოწოდება და აფრთხილებდა მუშებს, რომ ბრძოლის წარმოება საჭიროა არა სხვა ეროვნებათა მიმართ, არამედ ცარიზმის წინააღმდეგ, რომელიც ყველა ერის საზიზღარი მტერია. ბოლშევიკები აწყობდნენ მუშების კრებებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს. ამ დღეებში ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე გამოშვებული იქნა პროკლამაციები, რომლებიც ააშკარავებდნენ თვითმპყრობელობის ვერაგობას, ხელს უწყობდნენ ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცებას ამიერკავკასიის მშრომელ ხალხებს შორის.

13 თებერვალს თბილისში ჩატარდა მშრომელთა კრებები და დემონსტრაციები, რომლებსაც ათასობით ქართველი, სომეხი, რუსი და თათარი დაესწრო. ორატორები წარმოთქვამდნენ რევოლუციურ სიტყვებს და მოუწოდებდნენ ყველა ეროვნების მშრომელებს მეგობრობისაკენ. კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეკრებილიყვნენ მეორე დღესაც. 14 თებერვალს შედგა გრანდიოზული მიტინგი, რომელსაც დაესწრო 8 ათასამდე ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსი მუშა. შეკრებილთ დაურიგეს ბოლშევიკური კომიტეტის პროკლამაციები. მიტინგის შემდეგ მოეწყო დემონსტრაციები სიონის ტაძართან, მაჰმადიანთა შეჩეთთან და სპარსელების სასაფლაოზე. და შემდეგ ყველანი გაემართნენ ერევნის (ეხლანდელ ლენინის)

[1] М. Горький. т. 23, М., 1953, გვ. 340.

მოედნისაკენ. მეფისნაცვალის სასახლესთან დემონსტრანტებმა მაღლა ასწიეს წითელი დროშა. მსვლელობის დროს ბოლშევიკები წარმოთქვამდნენ რევოლუციურ სიტყვებს. მსვლელობა გადაიზარდა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად.

თბილისის მშრომელების ორგანიზებული მოქმედების შედეგად მეფის პოლიციელებმა და ჟანდარმებმა უკან დაიხიეს.

დემონსტრაციის მონაწილეებმა ფიცი დასდეს განემტკიცებიათ სხვადასხვა ეროვნების მუშათა შორის მეგობრობა და სოლიდარობა. რამდენიმე დღის შემდეგ ბათუმში შედგა პანაშვიდი, რომელიც მიძღვნილი იყო ბაქოში მომხდარ სომეხთათათართა ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლისადმი. პანაშვიდის შემდეგ როეწყო მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა კაცმა. პოლიციამ ცეცხლი დაუშინა დემონსტრაციას, რის შედეგად მოკლეს 7 და დაჭრეს 11 კაცი.

1905 წლის 7-9 სექტემბერს რიგაში შედგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენცია, რომელმაც კავკასიაში მომხდარი ამბების გამო ბაქოსა და აზერბაიჯანის მშრომელებს, აგრეთვე კავკასიის მთელ პროლეტარიატს ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადა. კონფერენციამ რწმენა გამოთქვა, რომ მრავალეროვანი ამიერკავკასიის მშრომელები, ყოველგვარი დაბრკოლების მიუხედავად, მთელი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად განაგრძობდნენ რევოლუციურ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვებამდე.[1]

ბოლშევიკური პარტია მასებს განუმარტავდა თვითმპყრობელობის მხეცურ პოლიტიკასა და კონტრრევოლუციური პარტიების ანტიხალხური პოლიტიკის არსს. პარტია მშრომელებს აპზადებდა შეიარაღებული ბრძოლისათვის თვითმპყრობელობის დასამხობად.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების მოღვაწეობა რსდმპ III ყრილობის დადგენილებათა განხორციელებისათვის

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბოლშევიკების სტრატეგია და ტაქტიკა შემუშავებულ

[1] იხ. სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, 1954, გვ. 115.

იქნა პარტიის III ყრილობაზე. შემდეგში ვ. ი. ლენინმა დაწვრილებით გააშუქა ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკა თავის განთქმულ წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“.

რუსეთის პირველი რევოლუციის უშუალო და უახლოეს ამოცანას შეადგენდა თვითმპყრობელობის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, 8-საათიანი სამუშაო დღის გატარება, მემამულეთა და სხვა მიწების კონფისკაცია გლეხების სასარგებლოდ. ამ რევოლუციაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა მუშათა კლასი, როგორც სახალხო მასების მეთაური. რევოლუციაში გამოყენებულ იქნა ბრძოლის პროლეტარული საშუალებანი და მეთოდები — მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები, რომლებიც შეიარაღებულ აჯანყებაში ეადაიზარდნენ. 1905 წლის რევოლუცია საყოველთაო-სახალხო რევოლუცია იყო. მას ჰქონდა არა მარტო პროლეტარული, არამედ გლეხური რევოლუციის განხრაც, რადგან მის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას აგრარული საკითხის გადაწყვეტა შეადგენდა. თუმცა თავისი ხასიათითა და შინაარსით 1905 წლის რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იყო, მასში ბურჟუაზია ასრულებდა კონტრრევოლუციურ როლს. მართალია, ის ცდილობდა თვითმპყრობელობისათვის გამოეტაცა ზოგიერთი ჩცირე პოლიტიკური დათმობა, მაგრამ მას არ უნდოდა და არც შეეწევდა უნარი რესპუბლიკის მოპოებისათვის გადამწყვეტი ბრძოლა ეწარმოებინა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. რუსეთის ბურჟუაზიის განმასხვავებელი ნიშანი იყო შიში პროლეტარიატის წინაშე, უპრინციპობა, ყოყმანი და შემდეგ აშკარა კონტრრევოლუციურობაც. გამართლდა მარქსის და ენგელსის დასკვნა, რომელიც მათ გააკეთეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპაში მომხდარი კლასობრივი ბრძოლების გამოცდილების მიხედვით, რომ ბურჟუაზია კარგავს თავის ყოფილ რევოლუციონერობას იმ მომენტიდან, როდესაც მუშათა კლასი გამოდის როგორც დამოუკიდებელი რევოლუციური ძალა.

რუსეთის ბურჟუაზია ათასნაირი ძაფებით იყო დაკავშირებული თვითმპყრობელურ მთავრობასთან. ეკონომიურად ის

დამოკიდებული იყო ცარიზმზე, რომელიც უზრუნველყოფდა ამ ბურჟუაზიის წარმოებებს სახაზინო შეკვეთებით, იცავდა რუსულ მრეწველობას მაღალი ბაჟების დაწესებით უცხოური კონკურენციისაგან. ცარიზმის პოლიციურ-ჟანდარმული აპარატი ყოველთვის მზად იყო ბურჟუაზიისადმი სამსახურისათვის. განსაკუთრებით მუშებთან მწვავე კონფლიქტების დროს. მეფის მთავრობის საგარეო პოლიტიკაც, რაც სხვა ქვეყნების დაპყრობაში გამოიხატებოდა, უპასუხებდა რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინტერესებს.

ბუნებრივია, რომ ბურჟუაზიას სრულებით არ უნდოდა თვითმპყრობელობის ჩამოგდება და დემოკრატიული რესპუბლიკის დაწესება, მთელი სახელმწიფო ძალაუფლების ხალხისათვის გადაცემა: ის მიისწრაფოდა მხოლოდ მცირე კონსტიტუციისაკენ და მონარქიასა და მემამულეებთან ერთად ხელისუფლების გაყოფისაკენ.

მუშათა კლასი, რომელიც არ იყო შებოჭილი კერძო საკუთრებით, წარმოადგენს ერთადერთ ბოლომდე თანმიმდევრულ რევოლუციურ კლასს, მოწინავე რევოლუციურ ძალას თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. პროლეტარიატი დაინტერესებული იყო ცარიზმზე სრული გამარჯვებით, დემოკრატიული რესპუბლიკის განხორციელებით, რადგანაც ეს აუცილებელი პირობა იყო შემდგომი ბრძოლისათვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმისათვის. იმისათვის, რომ მუშათა კლასს შესძლებოდა გამხდარიყო ბურჟუაზიული რევოლუციის ჰეგემონი, საჭირო იყო შემდეგი პირობები: 1. მუშათა კლასს უნდა ჰყოლოდა თავისი საკუთარი მარქსისტული პარტია, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა ბურჟუაზიისაგან. მხოლოდ ასეთ რევოლუციურ პარტიას შეეძლო აღეზარდა მუშათა კლასი, როგორც რევოლუციის ჰეგემონი. 2. მუშათა კლასს უნდა ეხელმძღვანელა თავის მოკავშირის — გლეხობის რევოლუციურ ბრძოლისათვის მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ, რომ ამ მოკავშირეს უნარი უნდა ჰქონოდა მიეღო პროლეტარიატის ხელმძღვანელობა. 3. საჭირო იყო ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუა-

ზიის გამომეღავნება და იზოლირება, რომელიც ცდილობდა ყოველგვარი მოტყუებითა და დაპირებებით პირველ რიგში გადაებირებინა გლეხობა. მხოლოდ ამ პირობებს, ერთად აღებულს, შეეძლო უზრუნველეყოთ ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვება და მისი შემდგომი გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციაში.

ვ. ი. ლენინის განმარტებით პარტია წარმოადგენს პროლეტარიატის ჰეგემონიის ძირითად იარაღს. მარქსისტული პარტიის გარეშე მუშათა მოძრაობა არ შეიძლება იყოს კლასობრივად შეცნობილი მოძრაობა, იგი არ განვითარდება სოციალისტურ მოძრაობად. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასს შეუძლია გახდეს რევოლუციის ჰეგემონი.

მაგრამ იმისათვის, რომ ეს ამოცანა სწორად ყოფილიყო ჯადაწყვეტილი, პროლეტარიატს უნდა გამოეყენებინა ბრძოლის სათანადო საშუალებანი, სახელდობრ, პოლიტიკური გაფიცვები, შეიარაღებული გამოსვლები და ორგანიზებული აჯანყება. საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვით და შეიარაღებული აჯანყებით პროლეტარიატი პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენს სხვა კლასებზე, აქეზებს თავის მოკავშირე გლეხობას ამაღლდეს მუშათა კლასამდე, ხოლო მერყეევებს (ლიბერალებს) აიძულებს მთლიანად გამოავლინონ თავიანთი კონტრრევოლუციური ბუნება.

მუშათა კლასისა და გლეხობის მებრძოლი კავშირი თვითმპყრობელობისა და ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტ, შეურიგებელ ბრძოლაში უზრუნველყოფდა რევოლუციის გამარჯვებას. რევოლუციის მსვლელობაში, — როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის — აღმოცენდება დროებითი რევოლუციური მთავრობა — პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურა.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ პროლეტარიატის წინაშე დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში დგას ამოცანა „მიიმხროს გლეხობის მასა, გააქარწყლოს ბურჟუაზიის მერყეობა, წელში გასტეხოს და გასრისოს თვითმპყრობელობა. დემოკრატიული რევოლუციის გადაშწყვეტი გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დე-

მოკრატიული დიქტატურის სახით. მაგრამ რაც უფრო მალე და სრულად განხორციელდება ეს გამარჯვება, მით უფრო მალე ღა ღრმად გაიშლება ახალი წინააღმდეგობანი... რაც უფრო მთლიანად განვახორციელებთ დემოკრატიულ გადატრიალებას, მით უფრო ახლო პირისპირ აღმოვჩნდებით სოციალისტური გადატრიალების ამოცანებთან, მით უფრო მკვეთრი და მწვავე იქნება პროლეტარიატის ბრძოლა თვით ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძვლების წინააღმდეგ".[1]

ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკები მიუთითებდნენ პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა ერთადერთი შესაძლებელი რევოლუციური ხელისუფლებაა რევოლუციის პირველ ეტაპზე. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ შეუძლებელია რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება ამ დიქტატურის გარეშე, რადგან თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ბრძოლა არათუ არ შეწყდება, არამედ გამწვავდება კიდეც. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების უმალვე მუშათა კლასი სოფლის ღატაკურ ელემენტებთან ერთად იბრძოლებს ახალი, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა თეორია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეადაზრდისა სოციალისტურ რევოლუციაში. პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა საჭირო იყო არა იმისათვის, რომ ცარიზმზე მოპოვებული გამარჯვებით დამთავრებულიყო რევოლუცია, არამედ იმისათვის, რომ გაგრძელებულიყო შემდგომი ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე. ასე აფასებდნენ ბოლშევიკები სხვადასხვა კლასების ადგილს 1905 წლის რევოლუციაში.

ბოლშევიკებისაგან განსხვავებით მენშევიკებს რუსეთის ბურჟუაზია მიაჩნდათ რევოლუციურ კლასად. გლეხობას ისინი სთვლიდნენ რეაქციულ ძალად, ხოლო პროლეტარიატს მიაკუთვნებდნენ ლიბერალური ბურჟუაზიის დამხმარე როლს.

რსდმპ III ყრილობის დადგენილებანი მკაცრად განსხვავდებოდნენ მენშევიკების ჟენევის პირველი კონფერენციის დადგენილებისაგან.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 379.

ამიერკავკასიის მენშევიკები იდგნენ რუსეთის მენშევიზმის ავანგარდში და თავგამოდებით იცავდნენ მენშევიკური კონფერენციის ოპორტუნისტულ გადაწყვეტილებებს.

ბოლშევიკების აზრით ცარიზმის დამხობა შესაძლებელი იყო მხოლოდ ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყების გზით.

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა კავკასიელ პრაქტიკოს-რევოლუციონერთა როლს რუსეთის რევოლუციაში. იგი წერდა: „ყურადღება უნდა მივაქციოთ საქმის პრაქტიკულ მხარეს. აქ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკოსთა და მუშათა — პეტერბურგელთა, რიგელთა, კავკასიელთა — გამოცდილებას“.[1]

პროლეტარიატის გენია ვ. ი. ლენინი საჭიროდ თვლიდა ისეთი ლოზუნგების და მოწოდებების დაყენებას, რომლებიც მუშებს, მშრომელებს მიიყვანდნენ საყოველთაო სახალხო აჯანყებამდე, განავითარებდნენ მასების რევოლუციურ ინიციატივას. ასეთ ლოზუნგებად ვ. ი. ლენინი თვლიდა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვების გამოყენებას, რევოლუციური გზით 8-საათიანი სამუშაო დღის დაუყოვნებლივ განხორციელებას, საგლეხო კომიტეტების ორგანიზებას, ყველა დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელებას, რევოლუციური გზით მემამულური მიწების კონფისკაციას.

რსდმპ III ყრილობის რეზოლუციაში შეიარაღებული აჯანყების შესახებ ნათქვამია, რომ პროლეტარიატი მოწოდებულია შეასრულოს ხელმძღვანელი როლი რუსეთის დემოკრატიულ-რევოლუციურ მოძრაობაში.

მხოლოდ პროლეტარიატის წამყვან როლს რევოლუციაში შეუძლია უზრუნველყოს ხელსაყრელი ბრძოლის პირობები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.[2]

მენშევიკებიც მსჯელობდნენ ეენევის კონფერენციაზე შეიარაღებული აჯანყების შესახებ, მაგრამ მათ საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღეს აჯანყების საკითხში, სადაც მკვეთრად გამოაშკარავდა მენშევიკების ოპორტუნისტული ბუნება.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 8, გვ. 434.

[2] სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. 1, თბილისი, 1954, გვ. 91-92.

აჯანყება არის სტიქიური პროცესი, — ამბობდნენ ისინი, მისი შემზადება შეუძლებელია. გამოდიოდნენ რა აქედან, მათ თავიანთ დადგენილებაში არსებითად აზრი გამოთქვეს შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ.

რსდმპ III ყრილობას უნდა გამოერკვია სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულება დროებითი რევოლუციონური მთავრობისადმი და გადაეწყვიტა სოციალ-დემოკრატების ამ მთავრობაში მონაწილეობის საკითხი. ბოლშევიკები აცხადებდნენ, რომ თუ, რევოლუციის შედეგად შეიქმნება მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური მთავრობა, სოციალ-დემოკრატებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ასეთ მთავრობაში. დროებით რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატებმა უნდა აწარმოონ დამოუკიდებელი პოლიტიკა, რევოლუციური გზით ბოლომდე უნდა მიიყვანონ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ამოცანების გადაწყვეტა, შექმნან პირობები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დაუყოვნებლივ გადაზრდისათვის სოციალისტურ რევოლუციაში.

მენშევიკები წინააღმდეგი იყვნენ, რომ სოციალ-დემოკრატებს მონაწილეობა მიეღოთ დროებით რევოლუციურ მთავრობაში, თუმცა როგორც ცნობილია, მათ მონაწილეობა მიიღეს ბურჟუაზიულ მთავრობაში 1917 წლის თებერვალში.

გლეხების რევოლუციური ბრძოლა მიმართული იყო მემამულეთა მიწათმფლობელობის წინააღმდეგ. რუსეთში 10 მილიონ გლეხს ჰქონდა 73 მილიონი დესეტინა მიწა, ხოლო 28 ათას მემამულეს 62 მილიონი დესეტინა. მეფის მთავრობისა და მემამულეთა მძარცველური პოლიტიკის გამო გლეხები უმიწობით აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. III ყრილობის რეზოლუციაში, რომელიც წარადგინა ვ. ი. ლენინმა და მიღებულ იქნა ყრილობის მიერ, ნათქვამი იყო, რომ სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა მხარი დაუჭიროს ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც მიმართულ იქნა არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ და რომ საჭიროა ხელმძღვანელობა გაეწიოს გლეხურ მოძრაობას.

პარტიის III ყრილობამ დაავალა ყველა პარტიულ ორგანიზაციას „ხალხის ფართო ფენებში გასწიონ პროპაგანდა, რომ სოციალ-დემოკრატია თავის ამოცანად ისახავს უაღრესად ენერგიულად დაუჭიროს მხარი გლეხობის ყველა რევოლუციურ ღონისძიებას, რომელთაც შეუძლიათ გააუმჯობესონ მისი მდგომარეობა, მემამულეთა, სახაზინო, საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მიწების თვით კონფისკაციამდე“.[1]

მენშევიკებმა თავიანთ კონფერენციაზე ჟენევაში დასვეს საკითხი არა გლეხური მოძრაობისთვის ხელმძღვანელობის გაწევის, არამედ საერთოდ სოფლად მუშაობის შესახებ. მათი აზრით გლეხობას უნდა დაეცადა მანამდე, ვიდრე დამფუძნებელი კრება მიიღებდა გადაწყვეტილებას გლეხობისათვის მიწების გადაცემის შესახებ და არ უნდა მიემართათ რევოლუციური გარდაქმნებისათვის სოფლად. ასეთსავე ხაზს ატარებდნენ მენშევიკები 1917 წელს, როდესაც ისინი ბურჟუაზიასთან ერთად ხელისუფლების სათავეში იდგნენ და აგზავნიდნენ დამსჯელ რაზმებს გლეხების წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინის წინადადებით ჩვენი პარტიის III ყრილობამ მოისმინა ამიერკავკასიის ბოლშევიკების წარმომადგენლის ბარსოვის (მიხა ცხაკაიას) სპეციალური მოხსენება. ბარსოვმა დაწვრილებით გააცნო ყრილობას ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატების მიერ გლეხობის რევოლუციურ გამოსვლათა ხელმძღვანელობის საკითხები. მოხსენებამ, რომელიც შდიდარი იყო ფაქტიური მასალებით, ცხადყო, რომ ამიერკავკასიის, განსაკუთრებით საქართველოს გლეხობის რევოლუციურმა ბრძოლამ ფართო გაქანება მიიღო. ამ მოხსენების საფუძველზე პარტიის III ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი სპეციალური რეზოლუცია „კავკასიის ამბების გამო“ რეზოლუციაში ყრილობა მიუთითებდა:

1) „რომ კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყეს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას;

2) რომ რევოლუციური მოძრაობა კავკასიის მოსახლეობის

[1] სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. 1, თბილისი, 1954, გვ. 96-97.

უმრავლესობაში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, უკვე მივიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე;

3) რომ თვითმპყრობელური მთავრობა უკვე გზავნის ჯარებსა და არტილერიას გურიაში და ამზადებს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უაღრესად დაუნდობელ განადგურებას"[1].

რსდმპ III ყრილობამ რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამი გაუგზავნა კავკასიის გმირულ პროლეტარიატს და გლეხობას. ყრილობამ დაავალა პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიეღოთ „კავკასიაში საქმის მდგომარეობის შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გასავრცელებლად ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, საწრეო გასაუბრებისა და სხვ. გზით, აგრეთვე კავკასიისათვის დახმარების დროზე გასაწევად მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით".[2]

III ყრილობის ამ რეზოლუციამ ახალი ძალა შემატა ამიერკავკასიის პროლეტარიატსა და რევოლუციურ გლეხობას.

ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გრძელდებოდა და მოიცავდა ამიერკავკასიის სულ ახალ-ახალ რაიონებს.

III ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ, ვ. ი. ლენინმა პარტიის ცენტრალურ ორგანო „პროლეტარში" გამოაქვეყნა სტატია სათაურით „მესამე ყრილობა", რომელშიც პროლეტარიატის ბელადი იძლეოდა ბოლშევიკური ყრილობის დადგენილებათა საფუძვლიან შეფასებას. „შესაძლოა რუსეთში დაწყებული რევოლუციის ორნაირი გზა და დაბოლოება. შესაძლოა, რომ მეფის მთავრობამ კიდევ შესძლოს და თავი დააღწიოს მუხრუჭს, რომელშიც იგი ჩაჭედილია... ასეთი დაბოლოება ნაკლებ მოსალოდნელია, მაგრამ თუ თვითმპყრობელობის საერთაშორისო მდგომარეობა გაუმჯობესდება, მაგალ., შედარებით ხელსაყრელი ზავის შემთხვევაში, თუ თავისუფლების საქმის მიმართ ბურჟუაზიის მოღა-

---

[1] სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. 1, თბილისი, 1954, გვ. 101

[2] იქვე.

ლატეობის რეალიზაცია სწრაფად მოხდება ძალაუფლების წარმომადგენლებთან გარიგებით, თუ გარდუვალი რევოლუციური აფეთქება ან აფეთქებანი ხალხის დამარცხებით დამთავრდება, — მაშინ ასეთი დაბოლოებაა მოსალოდნელი... შესაძლო და უფრო მოსალოდნელია რევოლუციის მეორე დაბოლოება, სახელდობრ ის „სრული გამარჯვება დემოკრატიისა მუშათა კლასის მეთაურობით“.[1]

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ რუსეთი უახლოვდებოდა მთელი პროგრესული სახალხო ძალების საუკუნებრივი ბრძოლის გაშლას და აღარავის აეკვეტდა ის, რომ ამ ბრძოლაში ყველაზე უფრო ენერგიულ მონაწილეობას პროლეტარიატი მიიღებდა, რომ მისი მონაწილეობა შეიარაღებულ აჯანყებაში გადაწყვეტდა რევოლუციის ბედს. „ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გვმართებს ახლა გავხდეთ ყველაზე რევოლუციური კლასის ღირსეული წარმომადგენლები და ხელმძღვანელები, დავეხმაროთ მას მოიპოვოს უფართოესი თავისუფლება, — სოციალიზმისაკენ ძლევამოსილი მსვლელობის საწინდარი“.[2]

ვ. ი. ლენინის ეს სტატია კავკასიის ჩაკშირის კომიტეტმა 1905 წ. გადაბეჭდა „პროლეტარიატის ბრძოლაში“, მასთან ერთად დაბეჭდილი იყო კავკასიის კავშირის კომიტეტის სტატია „მესამე ყრილობა კავკასიელი მენშევიკების სამსჯავროს წინაშე“.

ამ სტატიაში მკაცრად იყვნენ გაკრიტიკებული კავკასიელი მენშევიკები, რომლებიც გამოვიდნენ III ყრილობის გადაწყვეტილებათა, ლენინისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ, მიმართავდნენ ათასნაირ ჭორებსა და ცილისწამებას.

შემთხვევითი როდი იყო ამიერკავკასიელი მენშევიკების ასეთი საქციელი. მენშევიკების ივნისის 1905 წლის მაისის კონფერენციის გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაედო კავკასიის მენშევიკური ორგანიზაციის კონფერენციის დადგენილებანი (1905 წლის აპრილის შუა რიცხვები). კავკასიის მენშევიკები თავიანთ რეზოლუციაში უარყოფდნენ საყოველთაო გა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 527-528.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 529.

ფიცვას, როგორც აუცილებელ ეტაპს შეიარაღებული აჯანყებისაკენ, ხოლო სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის შესახებ დროებითს მთავრობაში იმ აზრისა იყვნენ, რომ მათ მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ ასეთ მთავრობაში იმიტომ, რომ თითქოს „ეს აიძულებს ბურჟუაზიას ჩამოშორდეს რევოლუციის საქმეს და მით შეასუსტებს რევოლუციის გაქანებას“[1].

კავკასიის მენშევიკების პოზიცია ნათლად ჩანდა მათი კონფერენციის გადაწყვეტილებებში: პროლეტარიატის ჰეგემონიის უარყოფა, მუშათა მოძრაობის დამორჩილება ლიბერალური ბურჟუაზიისადმი, საყოველთაო გაფიცვებისა და შეიარაღებული აჯანყების უგულვებელყოფა. ამიერკავკასიის მენშევიკების ლიდერმა ნ. ჟორდანიამ ერთ-ერთმა პირველმა გამოაქვეყნა სტატია გაზეთ „სოციალ-დემოკრატში“, რომელშიც იგი ცილს სწამებდა III ყრილობას, თითქოს არ იყო უფლებამოსილი.

რსდმპ კავკასიის კომიტეტმა საარკაროზე გამოიტანა მენშევიკების ეს სიყალბე და ნათლად, დამაჯერებლად განუმარტა მასებს ჭეშმარიტება III ყრილობის შესახებ.

გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლაში“ დაბეჭდილ ზემოხსენებულ სტატიაში ნათქვამი იყო, რომ კავკასიელი მენშევიკები მათი საზღვარგარეთელი მეგობრების კვალდაკვალ უარს ამბობდნენ მონაწილეობა მიეღოთ უაღრესად კანონიერი პარტიული ყრილობის მუშაობაში, რითაც მათ პარტია გათიშეს და ახლა ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში ვარდებოდნენ, განაგრძობდნენ თავიანთ ცილისმწამებლურ აგიტაციას, სურდათ გაემართლებინათ თავიანთი ანტიპარტიული, ანტირევოლუციური მოქმედება. ისინი ცდილობდნენ ჭორების გავრცელებით ჩამოეშორებინათ მუშათა მასები ბოლშევიკებისათვის და თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ.

კავკასიის კავშირის კომიტეტი იმედს გამოთქვამდა, რომ ორგანიზებული პროლეტარიატი შეძლებდა ღირსეულად შეეფასებინა მენშევიკების ეს ახალი დეზორგანიზატორული გამოხდომა, მათი არაპარტიული მოქმედება და დაირაზმებოდა III ყრილობის მიერ შექმნილი პარტიული ცენტრის გარშემო.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 102—103.

როდესაც ვ. ი. ლენინმა მიიღო „პროლეტარიატის ბრძოლის“ ნომერი და გაეცნო სტატიას „შესამე ყრილობა კავკასიელი მენშევიკების სამსჯავროს წინაშე“, მოიწონა იგი და გადაბეჭდა ცენტრალურ ორგანო „პროლეტარში“, ამასთან მას დაურთო რედაქციული შენიშვნა, რომელშიც მიესალმებოდა ამიერკავკასიის ბოლშევიკების პრინციპულ ხაზს.

როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა „ორ მოკლე სტრიქონში კავკასიელმა ახალისკრელებმა შესძლეს გამოეთქვათ რევოლუციის მიმართ გამცემლობის ტაქტიკის მთელი რაობა, ბურჟუაზიული კლასების უბადრუკ მაჩანჩალად პროლეტარიატის გადაქცევის ტაქტიკის მთელი რაობა... ეს არის მონარქისტული ბურჟუაზიის კუდში ჩანჩალი“[1].

ამიერკავკასიის ბოლშევიკები დიდი მოწიწებით შეხვდნენ პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებებს. ქალაქებსა და სოფლებში იმართებოდა პარტიული კრებები, რომლებზეც მოხსენებებს ყრილობის მუშაობის შესახებ აკეთებდნენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრები.

III ყრილობის გადაწყვეტილებანი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მიერ მიღებულ იქნა როგორც საბრძოლო პროგრამა.

* * *

ამიერკავკასიის მუშების საგაფიცვო მოძრაობა აღმავლობას განიცდიდა 1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში.

კავკასიის კავშირის კომიტეტმა 1905 წლის 26 მარტს გამოუშვა პროკლამაცია სათაურით „კავკასიის მუშებს. რა გამოირკვა“? ამ პროკლამაციაში მოცემული იყო რევოლუციის პირველი თვეების შედეგების ანალიზი. მასში ნათქვამი იყო, რომ ადრე მუშათა კლასი და გლეხობა ბრძოლას ეწეოდნენ ცალ-ცალკე, ამან კი შესაძლებლობა მისცა მთავრობას ანგარიში გაესწორებინა მათთვის. პროკლამაცია მოუწოდებდა მუშებსა და გლეხებს გაეერთიანებინათ რევოლუციური ძალები

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 103.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. იქვე ნათქვამი იყო რომ რევოლუციურ მისწრაფებათა განსაორციელებლად პროლეტარიატს სჭირდებოდა ერთიანი მტკიცე ხელმძღვანელი პარტია, რომელიც შეძლებდა მასების ორგანიზაციას საყოველთაო სახალხო შეიარაღებული აჯანყებისათვის[1].

ლენინური იდეების სიწმინდის დაცვისათვის ამიერკავკასიის მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში თვალსაჩინო როლი შეასრულა ფ. მახარაძემ, მ. ცახკაიამ, ი. სტალინმა, ს. შაუმიანმა, ა. წულუკიძემ და კავკასიის კავშირის კომიტეტის სხვა წევრებმა. ისინი ჩადიოდნენ ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში და განამტკიცებდნენ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს.

1905 წლის სამაისო დღეებისათვის ვ. ი. ლენინმა დაწერა მოწოდება „პირველი მაისი", რომელშიც ვკითხულობთ: „დაე ამა წლის პირველი მაისი ჩვენთვის იყოს სახალხო აჯანყების დღესასწაული, — ვემზადოთ მისთვის, ველოდოთ მტარვალზე გადამწყვეტი თავდასხმის სიგნალს. ძირს მეფის მთავრობა".[2]

ლენინის ეს მოწოდება გავრცელდა რუსეთის ბევრ ქალაქსა და მხარეში, მათ შორის ამიერკავკასიაშიც.

მაისის დღესასწაულის წინ ბოლშევიკებმა ბაქოში გამოუშვეს პროკლამაციები და ფურცლები, რომლებშიც წამოყენებული იყო პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნები. გამოშვებულ იქნა აგრეთვე მოწოდება ორდღიანი საყოველთაო გაფიცვის შესახებ, რაც ბაქოს პროლეტარიატმა განახორციელა კიდეც 1905 წლის 30 აპრილსა და 1 მაისს. 30 აპრილს დილიდან ბაქოში და მის სამრეწველო რაიონების საწარმოთა უმრავლესობაში მუშაობა შეწყდა. პირველნი გაიფიცნენ ხატისოვისა და ლევინსონის მექანიკური ქარხნის მუშები შავქალაქში და ბალახანა-საბუნჩის რაიონის ნავთობის სარეწების მუშები.

ბაქოს მუშების საპირველმაისო გაფიცვას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, მას ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკები.

1905 წლის 3 მაისს ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის ხელ-

---

1 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903 — 1905 წწ), გვ. 354.
2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 8, გვ. 411.

მძღვანელობით მოეწყო ნავთობის სარეწების მუშათა ახალი პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც 10 მაისისათვის საყოველთაო გაფიცვაში გადაიზარდა. გაფიცვა გრძელდებოდა 19 მაისამდე. გაფიცულ მუშებს შეუერთდნენ ბაქოს მშრომელთა სხვა ფენებიც — მეფუნთუშეები, რესტორნების მუშა-მოსამსახურეები, სასტუმროების მუშაკები და შინამოსამსახურეები.

ბაქოს გაფიცულმა მუშებმა წამოაყენეს 26 მუხლისაგან შემდგარი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნა: 8-საათიანი სამუშაო დღე, ხელფასის გადიდება, ერთთვიანი სავალდებულო შვებულება ყოველწლიურად, პროფკავშირების ორგანიზების, კრებების, გაფიცვების თავისუფლება და სხვ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგენტმა მ. იუჟანინ-ვასილიევმა, რომელიც იმ დროს ბაქოში ჩავიდა, ბოლშევიკურ ორგანო „პროლეტარში" გამოაქვეყნა სტატია ბაქოს პროლეტარიატის მიერ ჩატარებული მაისობის შესახებ, სადაც მიუთითებდა, რომ პირველი მაისიდან გაფიცვების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა და ბრძოლამ სულ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. თუ ეს ბრძოლა მომავალში ასე ენერგიულად განვითარდა, მაშინ გაბედულად შეგვეძლება ჩვენ ბოლშევიკ ამხანაგებთან ერთად ვთქვათ, რომ უკანასკნელად ვხვდებით პირველ მაისს მონურად.[1]

რევოლუციური მოძრაობა გაიშალა მთელს რუსეთში. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით რუსეთის პროლეტარიატმა გააძლიერა საგაფიცვო მოძრაობა. მუშების მასობრივი გაფიცვები ახლა სულ უფრო ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა.

ერთ-ერთ დიდ გაფიცვას რუსეთში მიეკუთვნებოდა ივანოვო-ვოზნესენსკის გაფიცვა, რომელიც 12 მაისს დაიწყო და 72 დღე გაგრძელდა. ამ გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს არამარტო ივანოვო-ვოზნესენსკის ფეიქარ-მუშებმა, არამედ მასში მონაწილეობდნენ უახლოესი რაიონების მუშებიც. გაფიცვას ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკები ფ. ა. აფანასიევი, ე. ა. დუნაევი, ა. ი. სამოილოვი, მ. ვ. ფრუნზე და სხვ. გაფიც-

[1] გაზ. „პროლეტარი", № 2, 1905.

ვის ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა მუშების რწმუნებულთა საბჭო, რომლის დადგენილებით მუშები ახორციელებდნენ სიტყვისა და კრებების თავისუფლებას. ივანოვო-ვოზნესენსკის მუშების გაფიცვამ უდიდესი როლი შეასრულა მუშათა კლასის პოლიტიკურად აღზრდის საქმეში.

ივანოვო-ვოზნესენსკის გაფიცვას მოჰყვა მუშათა კლასის სისხლისმღვრელი შეტაკებანი ლოძსა და რუსეთის მთელ რიგ სხვა ქალაქებში. სწრაფად იზრდებოდა პოლიტიკურ გაფიცვებში მონაწილე მუშების რიცხვი.

ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი წერდა: თუ პირველ კვარტალში გაფიცვებში მონაწილეობას ღებულობდა 1/3, მეორე კვარტალში უკვე იყო 50%-ზე მეტი.[1] რუსეთის პროლეტარიატის გმირული ბრძოლა აღაფრთოვანებდა კავკასიის მუშებსა და გლეხებს.

8 ივლისს ბაქოში დაიწყო გემთა საზოგადოების — სარემონტო სახელოსნოების მუშათა გაფიცვა: 9 ივლისს გაფიცვა გავრცელდა საქალაქო დოკზე და რადაშევის სახელოსნოებში, ხოლო 16 ივლისს გაფიცულებს შეუერთდნენ კასპიის სავაჭრო ფლოტისა და რკინიგზის სადგურ ბალაჯარის მუშები. გაფიცულნი მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას, მეპატრონეთა მიერ ბინის ქირის გადახდას, უფასო საგზაო ბილეთებს, უფასო საექიმო დახმარებას და სხვ. გაფიცულნი მოითხოვდნენ აგრეთვე ზრდილობიან მოპყრობას, გაფიცვაში ყველა მონაწილის სამუშაოზე დატოვებას, გაფიცვის დროს გაცდენილი დღეების ხელფასის სრულად ანაზღაურებას.[2]

როგორც გემთშემკეთებელი სახელოსნოების, ისე გემთა საზოგადოების მუშათა გაფიცვებს ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკების საქალაქო და რაიონული კომიტეტები. თავიანთ თათბირებსა და კრებებზე გაფიცული მუშები იხილავდნენ ბოლშევიკების ქალაქისა და რაიონული კომიტეტების მოწოდებებს. მათ გადაწყვიტეს არ შესდგომოდნენ მუშაობას მანამდე, სანამ მათი მოთხოვნები არ იქნებოდა დაკმაყოფილებული.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 642.

[2] აზერბაიჯანის სსრ ცსია, ფონდი 484, ნაწ. 2, ს. 2-ა, ფურც. 15—17.

გემთშემკეთებელი და სავაჭრო საზოგადოების მუშათა გაფიცვა დამთავრდა 17-18 ივლისს მუშების გამარჯვებით. ნობელის, როტშილდის, მოსკოვ-ყაზანის ამხანაგობის ფირმების მსხვილ საწარმოებში და მექანიკურ საწარმოებში კი გაფიცვა კვლავ გრძელდებოდა.

გლეხების რევოლუციურმა ბრძოლამ 1905 წლის გაზაფხულზე კიდევ უფრო ფართო გაქანება მიიღო. მოძრაობას მიემხრნენ საქართველოს მთიანი და განაპირა რაიონები — რაჭა, ლეჩხუმი, ხევსურეთი, თიანეთის, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრები. სოფლებში იმართებოდა კრებები და მიტინგები, სადაც მსჯელობდნენ გლეხთა მდგომარეობისა და მათი მოთხოვნების შესახებ. გლეხები ხშირად თავს ესხმოდნენ მემამულეთა სახლკარს, არბევდნენ მათ, სოფლებიდან ერეკებოდნენ მეფის მოხელეებს.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, ხელმძღვანელობდნენ რა რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებებით, დახმარებას უწევდნენ გლეხებს რევოლუციური საგლეხო კომიტეტების შექმნაში. რსდმპ-ის კავკასიის კავშირის პროკლამაციაში სითაურით „ქართლისა და კახეთის გლეხებს“ ნათქვამი იყო:

„...დაფიქრდით აბა. ის, ვინც დედამიწას გული გაუხსნა და ზურმუხტად აახავერდა, ვინც ტყეები გაჩეხა და სოფლები გააშენა, ვინც წელებზე ფეხს იდგამს და დღე მუდამ ოფლს იწურავს, ის, ვინც ქვეყანას ძუძუს აწოვებს, — ის ხალხი გლეხკაცობაა; და აი სწორედ ეს ხალხი დღეს სიღარიბესა და შიმშილობაშია ჩავარდნილი. დიახ, მეტი მოთმენა შეუძლებელია, აქ ქვაც კი ხმას ამოიღებს. საჭიროა თვითონ ხალხმა მოჰკიდოს თავის საქმეებს ხელი, რადგან ხალხის განთავისუფლება თვითონ ხალხმა უნდა მოახდინოს, და არა მეფეებმა. და აი „დაიძრა სოფელი“. გურიიდან დაწყებული ქიზიყამდე ყველგან ფეხზე დადგა გლეხკაცობა და ერთხმად გრიალებს: ძირს ბატონყმური წესები! ძირს მეფის მთავრობაო! ეათ წინ მიუძღვიან ქალაქის მუშები.

ეს პროკლამაცია მთავრდებოდა სიტყვებით:

„მაშ, წინ მედგრად, ვაჟკაცებო! გავიმძღვაროთ წინ ქა-

ლაქის მუშები და გავყვეთ მათ დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ. გავყვეთ და მათთან ერთად დავლეწოთ საზიზღარი წესები, რომ გზა გავიკაფოთ იმ თანასწორობის ცხოვრებისაკენ, იმ სოციალისტური წესებისაკენ, საითკენაც ასე გაფაციცებით მიისწრაფიან ქალაქის მუშები და ღარიბი გლეხკაცობა".[1]

ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რევოლუციურ საგლეხო კომიტეტებს, რამაც საქართველოში ფართო გავრცელება ჰპოვა. 1905 წლის გაზაფხულზე ასეთი კომიტეტები უკვე მოქმედებდნენ ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, ქუთაისის, შორაპნის, გორის, დუშეთის, თბილისისა და თელავის მაზრებში.

ლენინი გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებს საბჭოებს ერთ-ერთ სახესხვაობად თვლიდა. იგი 1906 წლის მარტში აღნიშნავდა, რომ რუსეთის სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა სახის თვითმმართველობის ორგანოები წარმოიშვაო „მუშათა დეპუტატების საბჭოები პეტერბურგში, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში... და ბოლოს, არჩევითი სასოფლო ორგანოები კავკასიასა და ბალტიისპირა მხარეში...",[2] ვ. ი. ლენინმა ანალოგიური აზრი გამოთქვა 1910 წლის მარტში დაწერილ სტატიაში „რისთვის ვიბრძოლოთ?"[3].

რევოლუციური ბრძოლის აღმავლობასთან გაცხოველდა საგლეხო კომიტეტების საქმიანობა. თუ პირველ ხანებში ისინი მხოლოდ მთავრობის ადგილობრივ დაწესებულებათა და მემამულეთა ბოიკოტით კმაყოფილდებოდნენ, 1905 წლის გაზაფხულზე მათ უკვე ხელთ აიღეს მმართველობის ფუნქციები და ამგვარად გადაიქცნენ ახალი რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახებად სოფლად. საგლეხო კომიტეტები დიდ მოსამზადებელ მუშაობას ეწეოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის. ისინი სარგებლობდნენ გლეხთა მასების დიდი მხარდაჭერით. კომიტეტები მემამულეებს ართმევდნენ მიწებს და

---

1 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903 — 1905 წწ.), თბილისი, 1955, გვ. 345-346.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 173.

3 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 16, გვ. 204.

ანაწილებდნენ მათ გლეხებს შორის. საგლეხო კომიტეტები წყვეტდნენ აგრეთვე ტყეებითა და საძოვრებით სარგებლობის საკითხებს და ასრულებდნენ სასამართლო ფუნქციებსაც. დამნაშავეებს ასამართლებდნენ საჯაროდ. ასეთი პროცესები ჩვეულებრივ იმართებოდა კვირადღეებში. ასე, მაგალითად, ჯუმათის მონასტრის გაძარცვის საქმე განხილულ იქნა ორი ათასზე მეტი კაცის თანდასწრებით. ქალებს კრებებზე და საქმეების გარჩევის დროს მამაკაცების თანაბარი უფლება ჰქონდათ.[1]

საქართველოს რევოლუციურმა საგლეხო კომიტეტებმა დიდი როლი შეასრულეს მემამულეებისა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გლეხობის ბრძოლაში.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გლეხობის დიდ რევოლუციურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე აზერბაიჯანსა და სომხეთში. ერთ-ერთ პროკლამაციაში, რომელიც 1905 წლის 23 მარტს ელიზავეტპოლის ბოლშევიკურმა ჯგუფმა გამოუშვა, აღნიშნული იყო რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების შესახებ გლეხებს შორის. „მრავალტანჯული გლეხკაცობაც წელში იმართება და ფეხზე დგება. ის, ერთხელ ძილში გართული, დღეს თვალს ახელს, ერთმანეთს ხელს უწვდის და იერიშით მიისწრაფის დამჩაგვრელებზე“[2].

ამიერკავკასიის ბოლშევიკები დიდ მუშაობას ეწეოდნენ სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცთა ინტერნაციონალური აღზრდისა და შემჭიდროებისათვის.

მეფის ხელისუფლებამ რევოლუციური მოძრაობის დასათრგუნავად კავკასიაში მობილიზაცია გაუკეთა ცარიზმის ერთგულ სამხედრო შენაერთებს. აღსანიშნავია, რომ დიდმა რევოლუციურმა ბრძოლებმა ამიერკავკასიაში თავისი გავლენა იქონია მეფის ხელისუფლების ყველაზე საიმედო ძალაზე— არმიაზე. 1905 წელს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებს შო-

---

1 იხ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. 1, თბილისი, 1957, გვ. 161.

2 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903 — 1905 წწ.), თბილისი, 1955, გვ. 350.

რის აღნიშნული იყო ჯარისკაცებსა და კაზაკებში რამდენიმე ათეული რევოლუციური გამოსვლა. ამ სამხედრო ოლქში მყოფი 32 პოლკიდან მღელვარება მოხდა 26 ქვეითსა და კავალერიის პოლკებში, გარდა არტილერიისა, კაზაკებისა და სხვა ნაწილებისა.[1] ეკონომიური მოთხოვნების გარდა ჯარისკაცები, რომელთა უმრავლესობა მაზარაგადაცმული გლეხები იყვნენ, აყენებდნენ საკითხს მიწის შესახებ და მოითხოვდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევას, აგრეთვე პოლიტიკურ თავისუფლებას, უარს აცხადებდნენ პოლიციური სამსახურის შესრულებაზე და სხვ.

1905 წლის ზაფხულში თბილისში შეიქმნა თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა ბოლშევიკური კავშირი — „ჯარისკაცთა კავშირი". ეს სამხედრო ორგანიზაცია ჯარისკაცებს შორის კავკასიის ბოლშევიკების ყველაზე უფრო მძლავრი და პოპულარული ორგანიზაცია იყო.

ბაქოში სალიანის პოლკში დააპატიმრეს ბოლშევიკების ჯგუფი, რომელთაც აღმოაჩნდათ გასავრცელებელი ლიტერატურა, მათ შორის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", პროკლამაცია „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!" და სხვა ლიტერატურა.

1905 წლის ივნისში მოხდა მატროსების აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე". ეს ამბავი მალე გაიგეს კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარისკაცებმა. რსდმპ თბილისის კომიტეტმა ხელმეორედ გამოსცა და სამხედრო ნაწილებში გაავრცელა აჯანყებული ჯავშნოსანის ეკიპაჟის პროკლამაცია. ბათუმის ციხე-სიმაგრის არტილერიის ნაწილებში აპირებდნენ აჯანყების დანიშვნას იმ დღეს, როცა ისინი მოელოდნენ ჯავშნოსან „პოტიომკინის" მოსვლას ბათუმში. ჯარისკაცთა მღელვარებანი მოხდა აგრეთვე სამხედრო ოლქის სხვადასხვა ნაწილებში— ალექსანდრეპოლში, ელიზავეტპოლში, სოხუმში, ყარსში და სხვა ქალაქებში.

1905 წლის 25 ივნისს ალექსანდრეპოლში აჯანყდნენ კავ-

---

[1] Революционное движение в армии в годы первой русской революции. Сборник статей, М., 1955, გვ. 374.

კასიის პირველი და მეორე ბატალიონების მესანგრეები. რევოლუციურმა ჯარისკაცებმა დააპატიმრეს მეთაურები და წამოაყენეს მოთხოვნა ყველა პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების შესახებ. მაგრამ ამ გამოსვლას მხარი არ დაუჭირეს სხვა სამხედრო შენაერთებმა. ამიტომ მესანგრეთა იზოლირებულმა გამოსვლამ დამარცხება განიცადა.

1905 წლის 20 ივლისს რსდმპ-ის თელავის რაიონის ჯგუფმა გამოუშვა და გაავრცელა პროკლამაცია, რომელიც მოუწოდებდა ჯარისკაცებს გაერთიანებულიყვნენ რევოლუციურ გლეხობასთან ბრძოლაში ცარიზმის დასამხობად.

1905 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციები, ყარსის გარნიზონის ჯარისკაცთა კავშირი, ელიზავეტპოლის გარნიზონის ჯარისკაცთა კავშირი და ბათუმის სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც ბეჭდავდა არალეგალურ გაზეთს „ჯარისკაცის მეგობარი“.

რევოლუციური მოძრაობა ჯარისკაცებს შორის ყველაზე უფრო ხანგრძლივი და მტკიცე იყო თბილისის გარნიზონში. ეს აიხსნებოდა ბოლშევიკური ორგანიზაციის უფრო ენერგიული მუშაობით გარნიზონების ჯარისკაცებს შორის. ამას ხელს უწყობდა ის, რომ თბილისში იმყოფებოდა კავკასიის მხარის ბოლშევიკური მოძრაობის ცენტრი — რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი.

1905 წლის 1 ოქტომბერს რსდმპ თბილისის კომიტეტმა პროკლამაციით „რას მოითხოვენ გურულები“ მიმართა ყველა ჯარისკაცს. პროკლამაციაში ჩამოთვლილი იყო ყველა მოთხოვნა, რაც გურიის რევოლუციურმა გლეხობამ წარუდგინა მეფისნაცვლის წარმომადგენელ კრიმ-გირეის, როდესაც ის ჩავიდა გურიაში. ბევრ შემთხვევებში ჯარისკაცები მხურვალედ ეხმაურებოდნენ გურულ გლეხების ბრძოლას. ასე, მაგალითად, თბილისის გარნიზონის ერთ-ერთი ნაწილის ჯარისკაცებმა დაადგინეს—მისალმება გაეგზავნათ გურიის გლეხებისათვის. მათ სახსრები შეაგროვეს აჯანყებულთა დასახმარებლად. ამ გარემოებამ აიძულა მეფის მთავრობა თბილისიდან გაეყვანა რევოლუციურად განწყობილი სამხედრო შენაერთები და მათ მაგივრად ქალაქში შემოეყვანა კაზაკთა ნაწილები.

რევოლუცია დიდ აღმავლობას განიცდიდა მთელ მხარეში, მაგრამ მოქმედებდნენ მისი საწინააღმდეგო ძალებიც. 1905 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში დაიწყო ბაქოს პროლეტარიატის საყოველთაო გაფიცვა. რსდმპ ბაქოს ბოლშევიკურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მუშებს, სადაც ნათქვამი იყო: „ამხანაგებო, შეწყვიტეთ მუშაობა!

დაე, ნუ იქნებიან ჩვენს შორის ნურც ჩამორჩენილნი, ნურც მოღალატენი! დაე, გაფიცული ქალაქის საყოველთაო სიჩუმეში კვლავ გაისმას მხოლოდ ერთი, ძალუმი ხმა, პროლეტარიატის ხმა!

გაუმარჯოს საყოველთაო გაფიცვას!

ძირს თვითმპყრობელობა!

გაუმარჯოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას".[1]

მუშების საგაფიცვო მოძრაობის ჩასახშობად მეფის ხელისუფლებამ და პოლიციამ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების დახმარებით 1905 წლის 20-26 აგვისტოს კვლავ მოაწყვეს ბაქოში სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა.

მთელ ამიერკავკასიაში რეაქციის ყველა ძალები გაფაციცებით ემზადებოდნენ რევოლუციის ჩასახშობად. 1905 წლის 29 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ჟანდარმებმა ტყვიები დაუშინეს მუშებს, რომლებიც შეკრებილი იყვნენ მიტინგზე თბილისის ქალაქის საბჭოს შენობაში. მოკლეს 60 და დაჭრეს 300 კაცი. თბილისის კომიტეტის პროკლამაციაში ამ აქტის გამო ნათქვამი იყო: „ძმათა აჩრდილები თავს გვევლებიან და ყურში ჩაგვჩურჩულებენ: სისხლი აიღეთო! ჩვენ ვერ დავიხევთ უკან, ჩვენ ვერ დავუშვებთ დროშას! სისხლი სისხლისათვის და სიკვდილი სიკვდილისათვის — აი რით უნდა ვუპასუხოთ ჯალათებს. შეიარაღება და სისხლის აღება! გაუმარჯოს აჯანყებას!".[2]

თბილისის ქალაქის საბჭოს შენობაში 29 აგვისტოს მუ-

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), 1955, გვ. 462.

[2] იხ. რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), 1955, გვ. 466.

შებისადმი ტყვიების დაშენას მთელი ამიერკავკასია გამოეხმაურა. ზოგიერთ ქალაქებში მუშაობა რამდენიმე დღით შეწყდა. ასე მაგალითად, სიღნაღში ეს ამბავი 2 სექტემბერს გაიგეს, 3 სექტემბერს კი ამ ხოცვა-ჟლეტის პროტესტის ნიშნად ქალაქის ყველა მაღაზია დაიკეტა. მთელ სიღნაღში მუშაობა შეწყდა.[1]

25 სექტემბერს თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ ზემოაღნიშნული ხოცვა-ჟლეტის საპასუხოდ მოაწყო რევოლუციონერთა თავდასხმები კაზაკთა ნაწილებზე. „საღამოს 8 საათზე თბილისის რამდენიმე რაიონში — ორთაჭალაში, ბროსესა და ერმოლოვის ქუჩებზე მდებარე კაზაკთა ყაზარმებში გადაისროლეს ყუმბარები, რის შედეგადაც მოკლული იქნა 1 და დაიჭრა 20 კაზაკი".[2]

ბოლშევიკების ორგანო გაზ. „პროლეტარმა" დაბეჭდა თბილისის კომიტეტის პროკლამაცია „სისხლი იღვრება, ვემზადოთ აჯანყებისათვის!".[3] ამასთან ერთად დაბეჭდა წერილი, რომელიც შეეხებოდა თბილისში 29 აგვისტოს მომხდარ ამბებს.

თბილისის ქალაქის საბჭოში დატრიალებულ ტრაგედიას ვ. ი. ლენინამდეც მიუღწევია, რასაც მოწმობს 1905 წლის 10 ოქტომბერს დაწერილი სტატია „სისხლისმღვრელი დღეები მოსკოვში".[4]

არამარტო თბილისში, არამედ ამიერკავკასიის სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც დაიღვარა უდანაშაულო მშრომელთა სისხლი. თვით ცხოვრება აყენებდა საკითხს მუშების და გლეხების შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციის შესახებ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. შექმნილი სიტუაცია ასე დაახასიათა ვ. ი. ლენინმა:

„წარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, — ბრძოლა მონობის, ბატონყმობის, თვითმპყრობელობის ძველ რუსეთსა

---

[1] საქ. სსრ ცსია, ფ. 153-ს, ნაწ. 1, საქმე 661, ფურც. 178.

[2] ვ. გ. ესაიაშვილი. ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ, თბილისი, 1956, გვ. 73.

[3] გაზ. „პროლეტარი", № 18-19, 1905.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 415.

და ახალ, ახალგაზრდა, სახალხო რუსეთს, მშრომელთა მასების რუსეთს შორის, იმ მასების, რომლებიც მიილტვიან სინათლისა და თავისუფლებისაკენ, რათა შემდეგ კიდევ და კიდევ დაიწყონ ბრძოლა ყოველგვარი ჩაგვრისაგან და ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან კაცობრიობის სრული განთავისუფლებისათვის".[1]

რევოლუციის ქარიშხალი კიდევ უფრო გაძლიერდა 1905 წლის სექტემბერ-ოქტომბერში და თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია დეკემბერში, როცა საყოველთაო-პოლიტიკური გაფიცვა გადაიზარდა შეიარაღებულ აჯანყებაში.

1905 წლის ოქტომბერი და დეკემბერი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მოასწავებენ რუსეთის რევოლუციის აღმავალი ხაზის უმაღლეს წერტილს. ხალხის რევოლუციური ძალების ყველა წყარო აჩქეფდა ბევრად უფრო ფართოდ, ვიდრე წინათ[2].

სრულიად რუსეთის საყოველთაო გაფიცვას დასაწყისი მისცეს მოსკოვის მუშებმა. 1905 წლის 19 სექტემბერს დაიწყო მოსკოვის მბეჭდავთა გაფიცვა. მალე გაფიცულებს შეუერთდნენ სხვა ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები: ალაგ-ალაგ ადგილი ჰქონდა პოლიციელებსა და გაფიცულებს შორის სისხლიან შეტაკებას. ბოლშევიკების მოსკოვის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მოსკოვის მუშებს მხარი დაეჭირათ გაფიცულებისათვის.

მოსკოვის პროლეტარიატს სოლიდარობა გამოუცხადეს პეტერბურგის მუშებმა. 3 ოქტომბერს დაიწყო სტამბის მუშების საერთო გაფიცვა. 13 ოქტომბერს გაფიცვებმა პეტერბურგში მიიღო საყოველთაო ხასიათი. მოსკოვისა და პეტერბურგის მუშების გაფიცვას მოჰყვა გაფიცვები მთელს სახელმწიფოში. ოქტომბრის გაფიცვა გადაიქცა სრულიად რუსეთის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვად. გაფიცულთ შეუერთდნენ მოხელეები, მოსწავლეები, ინტელიგენცია. ეს იყო მთელი ხალხის გამოსვლა ცარიზმის წინააღმდეგ.

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 245.
2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 325.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რკინიგზელების გაფიცვას. 34 რკინიგზაზე შეჩერდა მოძრაობა, რამაც პარალიზებულყო მთელი სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრება. რუსეთის მუშათა კლასი ორგანიზებულად გამოდიოდა როგორც მოწინავე და წამყვანი ძალა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ამ დროისათვის, მართლაც ჩვენს ქვეყანას მოედო და ყველაზე დაჩაგრული და ყველაზე მოწინავე კლასის გმირულ აღმავლობაში გააერთიანა რუსეთის წყეული „იმპერიის“ ყველა ხალხი“.[1]

საყოველთაო-პოლიტიკური გაფიცვა ამიერკავკასიაში დაიწყო ოქტომბერში, რკინიგზის მუშების გაფიცვით. 1905 წლის 14 ოქტომბერს ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა და მოსამსახურეთა კავშირმა მოუწოდა მუშებს, დაეწყოთ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა და მხარი დაეჭირათ რუსეთის პროლეტარიატისათვის.

თბილისის მთავარი სახელოსნოების მუშებმა 1905 წლის 13 ოქტომბერს გაფიცვის დღედ დანიშნეს 14 ოქტომბერი. მათ შეუერთდნენ რკინიგზის სადგურების დეპოს, ფაბრიკების, ქარხნებისა და მაღაროების მუშები მთელ ამიერკავკასიაში.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის 1905 წლის 17 ოქტომბრის მოწოდებაში, რომელიც დაბეჭდილი იყო რუსულ ენაზე ავლაბრის სტამბაში, ნათქვამი იყო: „აი დასასრულის დასაწყისი. რუსეთი აღსდგა თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ. აჯანყებას პროლეტარიატი წინამძღოლობს. მუშათა რკინისებური არმია ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა შემჭიდროებული რიგებით და გამარჯვების ურყევი რწმენით. დიახ, ახლოს, ახლოს, ახლოსაა გამარჯვების ჟამი!.. ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას“.[2]

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 484.

[2] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903—1905 წწ.), 1955, გვ. 485.

ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებიდან — თბილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან, ჭიათურიდან, გორიდან, სოხუმიდან, ბაქოდან, ერევნიდან და სხვ. მოდიოდა ცნობები ახალ-ახალი გაფიცვების შესახებ.

მეფის ხელისუფლება იძულებული გახდა აქსტაფისა და ელიზავეტპოლის რკინიგზის ხაზის. აგრეთვე რკინიგზის სადგურების და დეპოს დასაცავად გაეგზავნა სპეციალური შეიარაღებული ძალა, რათა აეძულებინათ მუშები გაენახლებინათ მუშაობა. მაგრამ ისინი მუშების შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

სრულიად რუსეთის ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვამ ცხადყო მასების ერთსულოვნება რეაქციული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. სრული გამარჯვების მოსაპოვებლად საჭირო იყო საყოველთაო-სახალხო აჯანყების ორგანიზება და თვითმპყრობელობის დამხობა.

რევოლუციური მოძრაობის აზვირთებამ აიძულა შეშინებული მეფე 1905 წლის 17 ოქტომბერს გამოეცა მანიფესტი. ეს მანიფესტი მოსახლეობას პირდებოდა სიტყვის, ბეჭდვის, კრების, პროფკავშირების თავისუფლებას, პიროვნების ხელუხლებლობას, ბულიგინის სათათბიროს მაგიერი საკანონმდებლო ორგანოს შექმნას. სტატიაში „რევოლუციის პირველი გამარჯვება", ვ. ი. ლენინი წერდა: „17 ოქტომბრის დღე ისტორიაში დარჩება, როგორც რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთი უდიდესი დღე. მსოფლიოს უმაგალითო საყოველთაო-სახალხო გაფიცვამ თავის აპოგეას მიაღწია. პროლეტარიატის მძლავრმა ხელმა, პროლეტარიატისა, რომელიც რუსეთის ყველა კუთხეში გმირული სოლიდარობის უაღრესი აღმავლობის დროს აღსდგა, მთელი მრეწველობის, ვაჭრობისა და სახელმწიფო ცხოვრების მაჯისცემა შეაჩერა...

ხან ერთი, ხან მეორე დიდი ქალაქიდან მოდიოდა ერთიმეორეზე უფრო მშფოთვარე ცნობები. ჯარები მერყეობდნენ. მთავრობა თავს იკავებდა რეპრესიების მიღებისაგან, რევოლუციონერები არ იწყებდნენ აშკარა სერიოზულ თავდასხმებს, მაგრამ აჯანყება სტიქიონის ძალით გადმოხეთქდა ხოლმე ყველგან.

და მეფის მთავრობამაც უკანასკნელ წუთს დასთმო, რაკი შეიგნო, რომ აფეთქება გარდუვალია, რომ სრული გამარჯვების მოპოვება მას არავითარ შემთხვევაში და უეჭველად აღარ ძალუძს, ხოლო მისი სრული დამარცხება ძალიან, ძალიან შესაძლებელია".[1]

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი არ ნიშნავდა ცარიზმის კაპიტულაციას. ლენინი მეფის მანიფესტს აფასებდა როგორც ძალთა დროებით წონასწორობის დადგომის მომენტს. მეფის მთავრობას უკვე აღარ შეეძლო წინანდებურად მართვა, ამიტომ ის იძულებული გახდა დაეწყო მანევრირება, ხოლო სახალხო რევოლუციას ამ დღეებში ჯერ კიდევ არ შეეძლო ცარიზმის დამხობა.

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვამ რუსეთში დღის წესრიგში დააყენა შეიარაღებული აჯანყების უშუალო მომზადების საკითხი. სრულიად რუსეთის პოლიტიკურმა გაფიცვამ ნათლად აჩვენა რუსეთის პროლეტარიატის და გლეხობის ძალა და შესაძლებლობა.

რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინური შეფასება მისცა „17 ოქტომბრის მანიფესტს". პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება განუმარტავდა მუშებს მეფისა და მინისტრების ცბიერობას და პირფერობას, მათ მუხანათობას, რომელთაც სურდათ მიეძინებინათ ხალხის სიფხიზლე, წაერთმიათ მისთვის ის მონაპოვარი, რასაც მან მიაღწია ბრძოლით, განუმარტავდნენ მასებს, რომ ცარიზმი ცდილობდა შეენარჩუნებინა სამხედრო ძალა და ბურჟუაზიასთან შეერთებული ძალით დაეთრგუნა ხალხის წინააღმდეგობა.[2]

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მშრომელებს მოუწოდებდა, რათა მათ გარანტიებისათვის მიეღწიათ არა ქაღალდზე, არამედ რეალურად. ამისათვის საჭირო იყო ხალხის დაუყოვნებლივი შეიარაღება, სამხედრო წესების მოხსნა, დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივი მოწვევა, წოდებრივი წყობილების გაუქმება, 8-საათიანი სამუშაო დღის განხორციელება, პოლიტიკურ პატიმართა დაუყოვნებლივი და

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 525-526.

[2] III съезд РСДРП. Сборник докладов и материалов, 1955. გვ. 361.

სრული ამნისტია. ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებდა მუშებს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარშემო შემჭიდროებისაკენ.

მეფის მანიფესტის მხილებით გამოვიდნენ რუსეთის ბევრი ქალაქის ბოლშევიკები, მათ შორის ბაქოსა და თბილისის კომიტეტები. მენშევიკებისთვის, რომლებიც ორიენტაციას იღებდნენ ბურჟუაზიასთან შეთანხმებაზე, მეფის მანიფესტი ნიშნავდა რუსეთის მომავალი განვითარების კონსტიტუციურ გზას.

რუსეთის და ამიერკავკასიის მენშევიკები სიხარულს ვერ ჰფარავდნენ მეფის მატყუარა მანიფესტის გამოცემის გამო და მიაჩნდათ, რომ კონსტიტუცია და თავისუფლება მოპოვებული იყო. მანიფესტის გამოცხადების დღეს ქართველი მენშევიკები ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი და სხვანი გამოვიდნენ თბილისში მოწყობილ მიტინგებზე, წარმოთქვეს საზეიმო სიტყვები და მიესალმნენ მეფის მანიფესტს. მენშევიკები ამბობდნენ, ამიერიდან თვითმპყრობელობას ბოლო მოეღო, თვითმპყრობელობა მოკვდა, რუსეთი ჩადგა კონსტიტუციურ-მონარქიულ სახელმწიფოთა რიგებშიო. და მოითხოვდნენ მუშათა რაზმების განიარაღებას.

ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკები ამხელდნენ მენშევიკთა შეხედულების მთელ სიყალბეს, მიუთითებდნენ, რომ „17 ოქტომბრის მანიფესტი“ წარმოადგენდა მეფის მხოლოდ მანევრს ხალხის მასების მოსატყუებლად, თავის მხარეზე ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის სავსებით გადასაყვანად და რევოლუციის ჩასახშობად.

მართლაც, დაპირებული თავისუფლების მაგივრად მეფის მთავრობამ რუსეთის გუბერნიებში სამხედრო წესები გამოაცხადა, მთელ ქვეყანაში დათარეშობდნენ შავრაზმელთა ასეულები. მოსკოვში მათ მოკლეს ბოლშევიკი ნ. ბაუმანი. ამან ხალხის აღშფოთება გამოიწვია. ნ. ბაუმანის დამარხვა საერთო სახალხო დემონსტრაციად გადაიქცა.

კავკასიის კავშირის კომიტეტი ამხელდა ლიბერალური მონარქისტული ბურჟუაზიის ლაქიების — მენშევიკების კაპიტულანტურ ბუნებას.

მეფის მანიფესტის გამოცხადების დღეს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა მონაწილეობით შემდგარ მრავალრიცხოვან მიტინგზე გამოდიოდნენ ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენლები მ. ბოპორიძე, მ. დავითაშვილი, ს. სპანდარიანი, ი. სტალინი, ს. შაუმიანი, და სხვა ბოლშევიკები, რომლებიც ამხელდნენ მეფის მანიფესტს და მოუწოდებდნენ მუშებს რევოლუციური ბრძოლის გაგრძელებისაკენ, შეიარაღებისაკენ, აჯანყებისათვის მზადებისაკენ.

1905 წლის 18 ოქტომბერს კავკასიის კავშირის კომიტეტი თავის მოწოდებაში მუშებისადმი განმარტავდა, რომ თვითმპყრობელობა ტყუილი დაპირებებით სახალხო წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ მზაკვრულად ცდილობდა გზა გადაეღობა სახალხო რევოლუციისათვის და დაასკვნიდა, რომ მხოლოდ შეიარაღებული აჯანყებით წარმოშობილი დროებითი მთავრობა შეძლებდა შეექმნა პირობები ხალხის ნამდვილ წარმომადგენელთა მოსაწვევად.[1]

1905 წლის 19 ოქტომბერს ბაქოში მოეწყო გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ათეულ ათასობით მუშები. დემონსტრანტები რევოლუციური სიმღერებით გაემართნენ საქალაქო საპატიმროსაკენ და მოითხოვეს პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება. პოლიციამ და კაზაკებმა მათ ცეცხლი დაუშინეს, რის შედეგად მოკლეს და დაჭრეს დემონსტრაციის 17 მონაწილე. დემონსტრაციის მონაწილენი შემდეგ გაემართნენ ბაილოვისაკენ. აქ კასპიის ფლოტის ეკიპაჟის მეზღვაურების ყაზარმებთან შედგა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზეც სოციალ-დემოკრატებმა მეზღვაურებს მოუწოდეს დაემხოთ თვითმპყრობელობა. მიტინგის დამთავრების შემდეგ დემონსტრანტები გაემართნენ ბაილოვის საპატიმროსკენ და იქ გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები.

პოლიტიკური დემონსტრაციები და მრავალრიცხოვანი მიტინგები შედგა აგრეთვე ბალახანაში და საბუნჩაში. აქაც ადგილი ჰქონდა პოლიციასთან შეტაკებებს.

---

[1] რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903 — 1905 წწ.), 1955, გვ. 496.

აზერბაიჯანში მეფის ხელისუფლების დახმარებითა და წაქეზებით ორგანიზებულ იქნა მძარცველებისა და ბანდიტების შავრაზმული რაზმები. ხელისუფლების მიერ შეგულიანებულებმა, ამ ბანდებმა 1905 წლის 20 ოქტომბერს ბაქოსა და აზერბაიჯანის რიგ მაზრებში მოაწყვეს დარბევები, ცდილობდნენ გამოეწვიათ სომეხ და აზერბაიჯანელთა შორის ახალი ხოცვა-ჟლეტა.

რსდმპ ბაქოს კომიტეტი და აზერბაიჯანელ სოციალ-დემოკრატთა ჯგუფი „გუმეთი" ოქტომბრის ამბების გამო გამო'მვეებულ პროკლამაციებ'ში ამსელდნენ და გადაჭრით გმობდნენ შავრაზმელების პროვოკაციულ, სისხლიან მოქმედებას. მათი ხელმძღვანელობით პოლიტიკური დემონსტრაციები ჩატარდა აზერბაიჯანის რიგ ქალაქებში. განსაკუთრებით დიდი დემონსტრაციები შედგა ელიზავეტპოლში 1906 წლის 20-22 ოქტომბერს, რომლებშიც მონაწილეობდა ქალაქის რამდენიმე ათასი მშრომელი.

მშრომელთა მძლავრი დემონსტრაციების საპასუხოდ მეფის მთავრობა აწყობდა პროვოკაციულ მანიფესტაციებს. 21—22 ოქტომბერს შავრაზმელებმა თბილისში მოაწყეს მანიფესტაციები ხატებითა და მეფის პორტრეტებით. მეფის მოხელის შირინკინის მიერ პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებაში ნათქვამია, რომ 22 ოქტომბერს შავრაზმელებმა ანგარიში გაუსწორეს თბილისის 1 ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეებს, რომლებმაც უარი თქვეს „პატრიოტულ" მანიფესტაციაში მონაწილეობაზეო. არასრული ცნობებით ამ დღეს მოკლეს 41 და დაჭრეს 66 კაცი.[1] ამ სისხლიანმა დანაშაულმა დიდი აღშფოთება გამოიწვია თბილისის მოსახლეობასა და მთელი ამიერკავკასიის მშრომელთა შორის.

22 ოქტომბერს ქუჩაში გამოვიდნენ რკინიგზის მუშები, რომელთაც მშრომელთა სხვა ფენებიც შეუერთდნენ. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა კაცმა.

მიტინგის მონაწილეებს გოლოვინის პროსპექტზე მეფის ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს. სროლის შედეგად მოკლეს 35,

---

[1] სსრ კავშირის ცსია, ფონ. 10, საქ. 1350, ნაწ. 69/1905, ფურ. 109—110, 113 — 115.

და დაკრეს 50 კაცი. 6 დაკრილი პირველსავე დღეს გარდაიცვალა.[1]

ამავე დღეს ნაძალადევში გაიმართა მუშათა მიტინგი, რომელზეც ბოლშევიკებმა სამარცხვინო ბოძზე გააკრეს თვითმპყრობელობა, როგორც ძმათა შორის სისხლისღვრისა და ხოცვა-ჟლეტის ორგანიზატორი. მიტინგის მონაწილეებმა ყველა ეროვნების მშრომელებს მოუწოდეს შეიარაღებული აჯანყებისაკენ. 4 ნოემბერს დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშების გაფიცვა. იმავე დღეს მემანქანეებიც გაიფიცნენ. რკინიგზაზე შეწყდა მოძრაობა. გაფიცულებმა წამოაყენეს 8-საათიანი საშუშაო დღის შემოღებისა და ხელფასის გადიდების მოთხოვნა. მუშებთან ერთად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში ჩაება ამიერკავკასიის გლეხობაც.

6 ნოემბერს დუშეთში პანაშვიდი გადაუხადეს შავრაზმელების ხელით 22 ოქტომბერს დაღუპულ მუშებს, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. ბოლშევიკი ორატორები თავიანთ გამოსვლებში მუშებს მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ხალხი ასეთ სიტყვებს ხვდებოდა აღტაცებითა და შეძახილებით: „გაუმარჯოს რევოლუციას!“ „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“.

15-18 ნოემბერს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთში, ჭიათურაში, ოზურგეთში, ახალციხეში, თელავში, თიანეთსა და სხვ. ჩატარდა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც თვეზე მეტხანს გაგრძელდა.

1905 წლის 21 ნოემბერს დაიწყო ალავერდის სპილენძის საბადოების ოთხი ათასი მუშის გაფიცვა. მუშებმა აირჩიეს საგაფიცვო კომიტეტი, რომელმაც ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად წამოაყენა პოლიტიკური მოთხოვნებიც. ამ დიდ გაფიცვას სხვა ბოლშევიკებთან ერთად ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის გამოჩენილი მოღვაწე, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრი სტ. შაუმიანი.

ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლა სულ უფრო და უფ-

[1] საქ. სსრ ცსია, ფ. 17, საქმე 5295—ა, ფურც. 8—11.

რო მწვავე ხასიათს ღებულობდა. მათ სათავეში ედგა ბრძოლებში გამობრძმედილი ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ზრდიდა მრავალეროვან მშრომელ მასებს.

1905 წლის რევოლუციის მსვლელობაში აღმოცენდა მუშათა დეპუტატების საბჭოები. ეს იყო მუშათა კლასის შემოქმედების დიდი ნაყოფი. ვ. ი. ლენინი მუშათა დეპუტატების საბჭოებს იხილავდა როგორც რევოლუციური მასების შემოქმედების ნაყოფს, რევოლუციური აჯანყების ორგანოს, მომავალი რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახს.[1]

ოქტომბრის გაფიცვის დღეებში პეტერბურგის საბჭომ გამოსცა მუშათა დეპუტატების საბჭოს ორგანო — „იზვესტია“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1905 წლის 19 ოქტომბერს. პეტერბურგის საბჭომ გამოსცა დეკრეტი ბეჭდვის თავისუფლების შესახებ და გააუქმა გაზეთებზე წინასწარი ცენზურა. 1905 წლის 22 ოქტომბერს პეტერბურგის ყველა გაზეთი გამოვიდა ისე, რომ ცენზურაში არ გაუვლია. 21 ოქტომბერს საბჭოს წევრების — ბოლშევიკი მუშების თაოსნობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ.

პეტერბურგის საბჭოს კვალდაკვალ, რომელიც წარმოიშვა 1905 წლის 13 ოქტომბერს, საბჭოები შეიქმნა რუსეთის სხვა ქალაქებშიც. განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა მუშათა დეპუტატების მოსკოვის საბჭო, რომლის სათავეში ბოლშევიკები იყვნენ.

1905 წლის 24 ოქტომბერს ბაქოს პროლეტარიატმა, პეტერბურგისა და მოსკოვის პროლეტარიატის მსგავსად, შექმნა მუშათა დეპუტატების საბჭო. მისი დადგენილებით გამოსვლა დაიწყო ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს ორგანომ „იზვესტიამ“. ბაქოს საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ ა. ჯაფარიძე, პ. მონტინი, ყაზი-მამედ აგასიევი და სხვანი.[2] შენდრიკოველები და დაშნაკები შეეცადნენ ბაქოს საბჭო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდ გადაექციათ, მაგრამ

---

[1] Курс лекций по истории КПСС, часть первая, М., 1961, стр. 149.
[2] Газ. «Каспий», 1905, № 242.

ბოლშევიკებმა, მასების შემოქმედებითი ინიციატივაზე დამყარებით, შეძლეს საბჭო ექციათ შეიარაღებული აჯანყების ორგანოდ.

ბაქოელი ბოლშევიკები, ხელმძღვანელობდნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებებითა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას, ამუშავებდნენ მის სამხედრო-ტექნიკურ დეტალებს. ბაქოსა და მთელი ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა დიდი მუშაობა გაწიეს მუშების შეიარაღებისა და მათ მიერ იარაღის ხმარების დაუფლებისათვის.

რევოლუციის უმაღლესი მწვერვალი

ვ. ი. ლენინი თვალყურს ადევნებდა ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების გმირულ ბრძოლას, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები.

ვ. ი. ლენინმა 1905 წლის ოქტომბერში დაწერა სტატია „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იენის ყრილობა". ეს წერილი დაწერილი იყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოს გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლისათვის".

ამ ყრილობის მაგალითზე (რომელიც შედგა ქალაქ იენში 1905 წლის 4—10 სექტემბერს) ვ. ი. ლენინმა უჩვენა, თუ რამდენად საჭირო იყო რუსეთის პროლეტარიატისათვის ცენტრალიზებული პარტია. ვ. ი. ლენინის ეს წერილი შემთხვევით როდი იყო გამიზნული ამიერკავკასიის ბოლშევიკების ორგანოსთვის. მენშევიკები გამოდიოდნენ ცენტრალიზებული, პარტიის შექმნის წინააღმდეგ და ამ მიზნით იყენებდნენ II ინტერნაციონალის ოპორტუნისტების გამოცდილებას.

კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა მენშევიკებს მისცა იარაღი 500 ბერდანის რაოდენობით ვითომდა სომეხ-თათართა ჟლეტის შესაწყვეტად. მენშევიკმა ი. რამიშვილმა, მიუხედავად ბოლშევიკების დაჟინებითი მოთხოვნისა, რომ იარაღი არ დაებრუნებიათ მთავრობისათვის, მაინც ჩააბარა 300 თოფი. როდესაც კავკასიის მეფისნაცვალი იარაღს

აძლევდა მენშევიკებს, ამ გზით იგი ფიქრობდა მუშები ჩამოეშორებინა აჯანყებისათვის. მან იცოდა, რომ ამ იარაღს ხელისუფლება მენშევიკების საშუალებით ისევ დაიბრუნებდა.[1]

ბოლშევიკები მარჯვედ იყენებდნენ სიტყვიერ და ბეჭდვით პროპაგანდის ყველა შესაძლებლობას, რათა ემხილებინათ ქართველი მენშევიკების ოპორტუნიზმი და სხვა ბურჟუაზიული პარტიების გამცემლური ბუნება.

1905 წლის 27 ნოემბერს ქუთაისში მოხდა კაზაკების შეტაკება მშრომელებთან. ქალაქის ქუჩებში გაჩნდა ბარიკადები. ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რომ კავკასიის მეფისნაცვალს ქუთაისში კვლავ შემოეღო სამხედრო წესები. მეფისნაცვალმა ჟანდარმერიის მთელ პირად შემადგენლობას ბრალი დასდო იმაში, რომ თავი ვერ გაართვა მზარდ რევოლუციურ მოძრაობას და გაიწვია ის ქუთაისიდან.

ქალაქს არც სოფელი ჩამორჩა. მასობრივად გამოდიოდნენ გლეხები მემამულეებისა და მეფის მთავრობის მოხელეების წინააღმდეგ ქუთაისის, თბილისის, თელავის, სენაკის, ზუგდიდის მაზრებსა და ბათუმის ოლქში.

ოზურგეთის მაზრაში გლეხების შეიარაღებული რაზმები 12 ოქტომბერს სუფსასა და ჯუმათს შორის თავს დაესხნენ სამხედრო მატარებელს და გათავისუფლეს 128 რევოლუციონერი; 15 ოქტომბერს ღამით, 200 შეიარაღებულ გლეხსა (რომლებიც ჰყრიდნენ რკინიგზის ლიანდაგს) და ტენეკინის პოლკის ჯარისკაცებს შორის მოხდა შეჯახება; 16 ოქტომბერს ჩოხატაურის გლეხების შეიარაღებულმა რაზმმა ალყა შემოარტყა პოლიციის საგუშაგოს, განაიარაღა პოლიციელები და ხელთ იგდო მთელი მათი იარაღი.

შორაპნის მაზრაში, სადგურ ყვირილას (ზესტაფონი) ახლოს, ოქტომბერში 4 ათასი შეიარაღებული გლეხი გამოვიდა. მათ მოჰქონდათ დროშები წარწერით „ძირს თვითმპყრობელობა!". „გაუმარჯოს თავისუფლებას!" და მოითხოვდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას.

გლეხთა რევოლუციური გამოსვლები მოხდა სენაკის, აგრე-

---

[1] Революція 1905 г. и самодержавие, М., 1928, გვ. 179.

თვე, შამშადინის, კოტაის, ეჩმიაძინისა და სომხეთის სხვა რაიონებშიც.

რსდმპ კავკასიის კავშირი კვლავინდებურად დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა არმიაში. მოწოდებაში ჯარისკაცებისადმი, რომელიც თბილისის კომიტეტმა გამოუშვა 1905 წლის ოქტომბერში, ნათქვამი იყო:

„ამხანაგო ჯარისკაცებო! რუსეთი მღელვარებს, რუსეთი ამჟამად აბობოქრებული ზღვაა. სახალხო მოძრაობის ტალღები სულ უფრო და უფრო მაღლა იწევენ. სულ უფრო ძლიერად ეხეთქებიან თვითმპყრობელობის მოოქროებულ ტახტს“.[1]

ვ. ი. ლენინი კონკრეტულ რჩევებს იძლეოდა, თუ როგორ უნდა შეექმნათ მებრძოლი რაზმები, რა გზითა და საშუალებებით უნდა შეიარაღებულიყვნენ ისინი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ლენინი ანიჭებდა ჯარისკაცების გადმობირებას აჯანყებული მუშებისა და გლეხების მხარეზე. „რაზმები თვითონ უნდა შეიარაღდნენ, ვისაც როგორ შეუძლია (თოფი, რევოლვერი, ყუმბარა, დანა, კასტეტი, ჯოხი, ნავთიანი ჩვარი ხანძრის გასაჩენად, თოკი ან თოკის კიბე, ნიჩაბი ბარიკადების ასაგებად, პიროქსილინის კოჭი, ეკლიანი მავთული, ლურსმანი (კავალერიის წინააღმდეგ და სხვ. და სხვ.). არავითარ შემთხვევაში სხვის დახმარებას — ზემოდან ან გარედან არ უნდა ელოდე, ყოველივე თვითონ უნდა იშოვო“.[2]

ნოემბერში ბაქოში შედგა კურინის (მტკვრის) პოლკის ჯარისკაცების მიტინგი, რომელზეც წამოყენებული იყო ბოლშევიკების მიერ მომზადებული რევოლუციური მოთხოვნები. ჯარისკაცების მიტინგები და გამოსვლები ხდებოდა თბილისშიც.

1905 წლის 20 ნოემბერს გამოვიდა გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ პირველი ნომერი. ეს გაზეთი იყო პირველი ბოლშევიკური ყოველდღიური ლეგალური ორგანო კავკასიაში რუსულ ენაზე. ამ გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი „თბილისი 1905 წლის 20 ნოემბერს“ რომელშიც

---

1 რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები (1903 — 1905 წწ.), 1955, გვ. 488.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 517.

ლაპარაკი იყო იმაზე, რომ რუსეთის პროლეტარიატი იმყოფება უდიდესი მოვლენების ზღურბლზე, რომ მის დიად ბრძოლას ოვითმპყრობელობის წინააღმდეგ მხარს უჭერდა გლეხობა.

გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი" გამოდიოდა 1905 წლის 14 (27) დეკემბრამდე. იგი დიდი გავლენით სარგებლობდა ამიერკავკასიის მშრომელთა შორის, ამიტომ იყო, რომ კავკასიის ადმინისტრაციის განკარგულებით გაზეთი 17 ნომრის გამოსვლის შემდეგ დახურეს.

ამიერკავკასიის ზოგიერთ ქალაქში შავრაზმელებმა მეფის ხელისუფლების წაქეზებითა და ხელშეწყობით 1905 წლის ნოემბერში კვლავ მოაწყვეს სომეხ-თათართა შორის ხოცვა-ყლეტა. 21—22 ნოემბერს თბილისის იმ უბნებში, რომლებიც დასახლებული იყვნენ სომხებითა და თათრებით, — თათრის მოედანში, ვორონცოვის ქუჩაზე, ხეიდაბადში და აელაბარში, — ამაზრზენი ამბები დატრიალდა. ამ ორი ეროვნების მოსახლეობა ერთმანეთს დაერია. დაიღვარა ათეულ ადამიანების უდანაშაულო სისხლი. მარტო პირველი სამი დღის განმავლობაში ოფიციალური ცნობებით მოკლეს 34 და დაჭრეს 55 კაცი.

თბილისის ბოლშევიკები მედგრად იბრძოდნენ ძმათა შორის სისხლისღვრის შესაწყვეტად, რითაც სიცოცხლე შეუნარჩუნეს თბილისში მცხოვრებ ბევრ სომეხსა და თათარს. პარტიულმა ორგანიზაციებმა შეძლეს მეფის ხელისუფლების ახალი სისხლიანი პროვოკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად მშრომელთა ფართო მასების დარაზმვა; ორგანიზებულ იქნა გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 20 ათას კაცზე მეტი. ამან აიძულა მეფის ხელისუფლება ხელი აეღო სომეხ-თათართა შორის ხოცვა-ყლეტის მოწყობის შემდგომ პროვოკაციებზე.

1905 წლის ნოემბრის ბოლოს თბილისში მოწვეულ იქნა რსდმპ ამიერკავკასიის IV ბოლშევიკური კონფერენცია, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. კონფერენციამ განიხილა შემდეგი საკითხები: რსდმპ IV ყრილობისათვის მზადების, რსდმპ კავკასიის კავშირის მუშაობის გაფართოების, შეიარაღებული აჯანყების მომზადების, გლეხებსა და ჯარისკაცებს შორის მუშაობის, აგრეთვე

ეროვნული, მუშათა დეპუტატების საბჭოებისა და პროფესიული მოძრაობის საკითხები.

ეროვნული საკითხის შესახებ კონფერენცია აღნიშნავდა რომ საჭირო იყო მთელი ძალების გაერთიანება რუსეთის პროლეტარიატთან ერთად გადამწყვეტი ბრძოლისათვის ცარიზმისა და გაბატონებული კლასების წინააღმდეგ. ამიერკავკასიის ბოლშევიკები ხაზგასმით მიუთითებდნენ, რომ ისინი მომავალში დაუნდობლად ამხელდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მოღალატეობას, განუხრელად დაიცავდნენ ინტერნაციონალიზმს და ფხიზლად იქნებოდნენ. ამიერკავკასიისა და რუსეთის ხალხთა შორის მეგობრობის სადარაჯოზე. კონფერენციამ დაადგინა ბაქოში გამოეცა ყოველკვირეული გაზეთი აზერბაიჯანულ ენაზე. კონფერენციამ აირჩია დელეგატები IV (გამაერთიანებელი) ყრილობაზე: თბილისის კომიტეტიდან ი. სტალინი, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტიდან გ. თელია, ბაქოს კომიტეტიდან პ. მონტინი.

მწვავე ბრძოლა გრძელდებოდა ბათუმშიც. მუშები აქტიურად ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის. 28-29 ნოემბერს შესდგა მიტინგები, რომლებზედაც ბოლშევიკები მუშებს მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ქალაქის მცხოვრებლებმა მოითხოვეს კაზაკების გაყვანა ქალაქიდან. 30 ნოემბერს ბათუმის ქუჩები ბარიკადებით დაიფარა. მოხდა შეიარაღებული შეტაკებები კაზაკებსა და მუშათა რაზმებს შორის; მუშათა რაზმმა 300 კაცის შემადგენლობით განაიარაღა რკინიგზის სადგური.

გენერალ-ლეიტენანტმა ბალამამ თბილისიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა სამხედრო მინისტრს: 30 ნოემბერს ბათუმში უეცრად იფეთქა სახალხო აჯანყებამ, გაჩნდა ბარიკადები, ესვრიან ჯარებს, თავს ესხმიან ყაზარმებს, ქუჩებში ისმის სროლის ხმა. საერთოდ მდგომარეობა ამიერკავკასიაში ძლიერ საგანგაშოაო [1].

ბათუმის გენერალ-გუბერნატორმა პარკაუმ განკარგულება

---

[1] საქ. ცსია, ფონდ. 521, ს. 17, ფურც. 14.

გასცა „წესრიგის დასამყარებლად“ კაზაკები გადმოეყვანაო ართვინიდან ბათუმში.

თუ რას ნიშნავდა „წესრიგის დამყარება“ ცარიზმის გენერლების ენაზე, ეს ნათლად ჩანს გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკიდან“, რომელშიც დაიბეჭდა ბათუმში მომხდარი ამბების ამსახველი სტატია. აი რას ვკითხულობთ მასში: „შეუძლებელია აღწერილი იქნას ის მხეცობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბათუმში. ადამიანებს კლავდნენ, სჭრიდნენ ხელებს, ათლიდნენ ყურებს, აუპატიურებდნენ ქალებს. ქალაქი კაზაკთა ხელშია. ხოლო განაპირა ადგილებში დგას ზარბაზნები, რომლებიც მზად არიან პირისაგან მიწისა აღგავონ ისინი, რომლებიც საცოდავი ქალაქის დასახმარებლად მოვლენ“.[1]

პოლიციის მოხსენებით ბარათში ნათქვამი იყო: რომ ბათუმის ამბები გავრცელდა კინტრიშის უბანში, ქობულეთში და ჩაქვში, სადაც მოეწყო მიტინგები, მოსახლეობა მთლიანად გადავიდა აჯანყებულთა მხარეზე და შექმნა შეიარაღებული რაზმებიო.[2] ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა მხარეებშიც. მაგალითად, 30 ნოემბერს სიღნაღის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს წერდა, სიღნაღის მაზრის სოფლებში ტარდება მიტინგები, რომლებზეც ყველა თანამდებობის პირი გადაყენებულად გამოაცხადეს, მოსახლეობა ირჩევს თავის რწმუნებულებს, რომლებიც სწყვეტენ ყველა საქმეს. წერილიდან ირკვევა, რომ მოსახლეობა ფიცს სდებდა საერთო საქმის ერთგულებაზე, უარს აცხადებდა სამხედრო ვალდებულებებზე და არ იხდიდა სახელმწიფო გადასახადს.[3]

მოსკოვის 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების შეიარაღებული გამოსვლები კიდევ უფრო გაძლიერდა.

შეიარაღებული აჯანყება ცარიზმის წინააღმდეგ დაიწყო მოსკოვის პროლეტარიატმა, ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით.

4 დეკემბერს პარტიის მოსკოვის კომიტეტის სხდომაზე

---

1 გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“, 1905, 6(19) დეკემბერი.

2 სსრ კავშირის ცსია, ფონდი პლ, 4, საქმე 1350, ნ. 70/1905.

3 საქ. სსრ ცსია, ფონდი 17, საქმე 5263, ფურც. 226.

რაიკომების ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ მოსკოვის მუშები და გარნიზონის რევოლუციური ნაწილები მზად არიან აჯანყებისათვისო. იმავე დღეს შეიარაღებული აჯანყების საკითხი მსჯელობის საგნად გახდა მოსკოვის საბჭოს პლენუმზე. მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგობის მიუხედავად, მუშათა დეპუტატების მოსკოვის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 7 დეკემბერს გამოაცხადოს საყოველთაო გაფიცვა და გადაიქციოს ის შეიარაღებულ აჯანყებად.

1905 წლის 7 (20) დეკემბერს გამოქვეყნებულ იქნა მიმართვა „ყველა მუშის, ჯარისკაცისა და მოქალაქისადმი", რომელშიც მუშათა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და რსდმპ მოსკოვის კომიტეტი მოუწოდებდნენ დღის 12 საათიდანვე დაეწყოთ საყოველთაო გაფიცვა იმ ვარაუდით, რომ იგი გადაზრდილიყო შეიარაღებულ აჯანყებაში.

მოსკოველი ბოლშევიკების კვალდაკვალ მუშათა დეპუტატების ბაქოს საბჭომაც ბოლშევიკების წინადადებით გადაწყვეტილება მიიღო სათავეში ჩასდგომოდა საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას, რათა შემდეგ გადაეზარდა იგი შეიარაღებულ აჯანყებაში.[1]

1905 წლის 5-7-8 დეკემბერს ბაქოში მიმდინარეობდა ამიერკავკასიის და შუა აზიის რკინიგზელების კონფერენცია. სრულიად რუსეთის რკინიგზელთა კავშირის ცენტრალურ ბიუროს მოწოდებით კონფერენციამ გამოიტანა დადგენილება, რომ 10 დეკემბერს ღამის 12 საათიდან შეერთებოდა საყოველთაო გაფიცვას. ამის საპასუხოდ გაიფიცა ამიერკავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რკინიგზელი. გაფიცვა გაგრძელდა 10 დღე. რკინიგზელებთან ერთად საყოველთაო გაფიცვაში ჩაებნენ ბაქოს ნავთობის სარეწთა მექანიკური ქარხნების მუშები, რომელთა გაფიცვა გაგრძელდა 22 დეკემბრამდე. მუშებს შეუერთდნენ ბენდერის პოლკის ჯარისკაცები და კასპიის სამხედრო ფლოტილიის მეზღვაურები. დიდ პოლიტიკურ აგიტაციას ელიზავეტპოლის გარნიზონში ჯარისკაცებს შორის

[1] Листовки Московских большевиков в период первой русской революции, М., 1958, გვ. 356—357.

ეწეოდა ჯარისკაცთა კავშირი, რომელიც ბოლშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მენშევიკები საჭიროდ არ სთვლიდნენ შეიარაღებული აჯანყების მოწყობას, რითაც ხელს უშლიდნენ ბაქოს პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობას. ამით ისარგებლა მეფის ხელისუფლებამ და ბაქოში თავი მოუყარა მეფის ერთგულ სამხედრო ნაწილებს. კლასობრივი ბრძოლის ამ დაძაბულ დღეებში შავრაზმელებმა 6 დეკემბერს მხეცურად მოკლეს კავკასიის პროლეტარიატის შესანიშნავი შვილი პეტრე მონტინი. ამან ბაქოს მუშათა მრისხანე მღელვარება ეამოიწვია. მისი დასაფლავების დღეს ბაქოს მუშებმა პროტესტის ნიშნად შეწყვიტეს მუშაობა. ბოლშევიკები მოუწოდებდნენ პ. მონტინის ხსოვნის აღსანიშნავად კიდევ უფრო შემჭიდროებულიყვნენ ბოლშევიკური ორგანიზაციების გარშემო, კიდევ უფრო მტკიცედ და ფართოდ გაეშალათ რევოლუციური ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ.

ცნობა მონტინის მოკვლის შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელს ამიერკავკასიაში. გადაწყდა პ. მონტინი დაემარხათ თბილისში. ბაქოს მუშების მრავალრიცხოვანი კოლონები მიჰყვებოდა მგზნებარე რევოლუციონერის კუბოს ბაილოვიდან რკინიგზის სადგურამდე. ეს სამგლოვიარო პროცესია გადაიქცა მძლავრ დემონსტრაციად. გრანდიოზული მიტინგი შედგა აგრეთვე თბილისის რკინიგზის სადგურთან, როდესაც პ. მონტინის კუბო იქ ჩაასვენეს.

პეტრე მონტინის დასაფლავების დღეს — 1905 წლის 13 (26) დეკემბერს ბოლშევიკურმა გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა“ დაბეჭდა მოწოდება, რომელშიც ნათქვამია:

„ამხანაგებო და მოქალაქენო! შეიკრიბენით ყველანი“ — ჩვენ ვასაფლავებთ გმირ მებრძოლს! შეიკრიბენით, პროლეტარებო, შეიკრიბეთ ყველანი, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება, ვისაც არ უყვარს დამონებული კაცობრიობა. ჩვენ უნდა მიწას მივაბაროთ სახელოვანი გმირი მებრძოლის პეტრე მონტინის უკვე გაცვეთილი გვამი“.[1]

---

[1] «Кавказский рабочий листок», № 15, 1905

1905 წლის 9 (22) დეკემბერს, როდესაც მოსკოვში პირველი ბარიკადები ეაჩნდა, თბილისის ბოლშევიკურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა მოწოდებას, რომ თბილისის პროლეტარიატი შეერთებოდა სრულიად რუსეთის პოლიტიკურ გაფიცვას იმ შემთხვევაშიც, თუ ის გადაიზრდებოდა შეირაღებულ აჯანყებაში.

თბილისის საგაფიცვო კომიტეტის (რომლის სათავეში იდგნენ ბოლშევიკები) ხელთ იყო ამიერკავკასიის რკინიგზების სამმართველო და ტელეგრაფი.

რკინიგზელების საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვაში მონაწილეობდნენ თბილისის, ბაქოს, ალექსანდროპოლის, ელიზავეტპოლის, ბათუმის, აქსტაფის, ყარსის, ქუთაისის, ბალაჯარის მუშები.

გაფიცულმა მუშებმა წამოაყენეს პოლიტიკური მოთხოვნები: გაუქმებულიყო სამხედრო წესები, დაეშალათ მთელ რუსეთში კაზაკების ჯარები, გამოცხადებულიყო სრული პოლიტიკური ამნისტია, მოწვეულიყო დამფუძნებელი კრება და სხვ.

კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი შექმნილი სიტუაციის შესახებ მოახსენებდა მეფეს: „რევოლუციური მოძრაობა ამიერკავკასიაში ყველგან ეამწვავდა. რკინიგზელთა გაფიცვამ საბოლოოდ მოსწყვიტა თბილისი მთელს მხარეს. რევოლუციონერებმა დაიკავეს რკინიგზა, მატარებლებს ამგზავრებენ მხოლოდ შერჩევით [1].

მეფის ხელისუფლებამ თბილისში, თბილისის მაზრასა და ამიერკავკასიის რკინიგზის მთელ ხაზზე სამხედრო წესები შემოიღო.

12 დეკემბერს თბილისში ჩატარდა მუშების გაფიცვა, რომელსაც შეუერთდნენ ფოსტა-ტელეგრაფის, ქალაქის თვითმმართველობის და სხვა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები. საგაფიცვო ცენტრალური ბიუროს მოწოდებით მუშათა რაზმებმა დაიწყეს შეიარაღებული ბრძოლა. 12 დეკემბერს პოლიციამ აკრძალა გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ შემდგომი გამოსვლა, მაგრამ მეორე დღეს გაზეთი ზაინც ეამოვიდა ახალი,

[1] სსრ კავშირის ცსია, ფონდ. პდ. გგ. ს. 2555, ტ. 8, 1905.

„ელიზავეტოპოლსკი ვესტნიკის“ სახელწოდებით, რომელიც მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ. თბილისის მუშათა რაიონში — ნაძალადევში (ახლა ლენინის რაიონი) 16 დეკემბერს შეიქმნა შეიარაღებული აჯანყების შტაბი. მთელი ეს რაიონი აჯანყებული პროლეტარიატის ხელთ იყო. სალდათის ბაზრისა და დიდუბის რაიონებში შეტაკება მოხდა მუშათა რაზმებსა და მეფის ჯარებს შორის. თბილისიდან მეფის ხელისუფლებამ პეტერბურგში დეპეშით აცნობა თბილისის მუშების აჯანყების შესახებ. საპასუხოდ მეფის ხელისუფლებამ თბილისში გადმოისროლა ჯარების დიდი შენაერთები.

22 დეკემბერს ჯარებმა ზარბაზნები დაუშინეს სომხების სასულიერო სემინარიას, სადაც გამაგრებული იყვნენ მუშათა რაზმები. ორსართულიანი შენობა დაანგრია ზარბაზნების ყუმბარებმა, გაჩნდა ხანძარი.

ნაძალადევში მომხდარ სისხლიან შეტაკებათა შემდეგ რაზმების საბრძოლო შტაბი დიდუბეში გადაიტანეს. მოჭარბებული ჯარის ძალების შედეგად მუშები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. გმირული ბრძოლების მიუხედავად თბილისში აჯანყება ჩაქრობილ იქნა, მაგრამ საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რაიონებში აჯანყება გრძელდებოდა. შეირაღებულმა მუშებმა პოლიტიკური პატიმრები გაათავისუფლეს გორში და ხაშურში.

დასავლეთ საქართველოს გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებას რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი ხელმძღვანელობდა. აჯანყებულებმა დაიკავეს ფოსტა-ტელეგრაფი და რკინიგზის მთელი ხაზი, სადგური მიხაილოვო (ხაშური), ბათუმი და ფოთი. აჯანყებულმა გლეხებმა ქუთაისის ეუბერნიის ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდისა და შორაპნის მაზრებში სავსებით გააუქმეს მეფის ხელისუფლების ადგილობრივი დაწესებულებანი და მათ მაგივრად შექმნეს დემოკრატიული ორგანოები. მიწა და ტყეები, რომლებიც მანამდე მემამულეებს და სამღვდელოებას (მონასტრებს) ეკუთვნოდა, მთლიანად გადავიდა გლეხების რევოლუციური კომიტეტების ხელში. წესრიგის დასამყარებლად სოფლებსა და ნაწილობრივ ქალაქებში კომიტეტებს ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენლები.

დეკემბრის შუა რიცხვებში ნატანები, სამტრედია, ყვირილა, შორაპანი, ჭიათურა, ბელაგორი (ხარაგაული), ძირულა და წიფა აჯანყებულთა ხელში იყო. ნატანებიდან ქობულეთამდე რკინიგზის ხაზი მთლიანად დანგრეული იყო. სადგურ წიფის მისასვლელთან გვირაბს დარაჯობდნენ ჭიათურისა და ხარაგაულის წითელრაზმელები, რომლებიც მთავრობას შესაძლებლობას არ აძლევდნენ სამხედრო ნაწილები თბილისიდან ქუთაისის გუბერნიაში გადაეყვანათ.

აფხაზეთში შეიარაღებულ აჯანყებას სათავეში ედგნენ ბოლშევიკები, რომელთაც ხელმძღვანელობდა გამობრძმედილი ლენინელი გ. კ. ორჯონიკიძე. გუდაუთა, ფაგრა, ბიჭვინთა აჯანყებული გლეხების ხელთ იყო. ისინი ერეკებოდნენ მემამულეებს და ადგილობრივ ხელისუფლებას სოფლებიდან, სპობდნენ საგადასახადო სიებს და სხვ.

გლეხთა მოძრაობა სოხუმის ოლქში ფართოდ გაიშალა. სოფლებში გლეხთა რევოლუციური კომიტეტები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ. კომიტეტებმა გაუქმეს ყოველგვარი გადასახადი და ვალდებულებანი. სოხუმის ოლქის მმართველი, თავადი ჯანდიერი ჩიოდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებზე. იგი კავკასიის მეფისნაცვლისაგან მოითხოვდა, რათა სოხუმის ოლქში დამატებით გაეგზავნა ჯარები.

1905 წლის 25 დეკემბერს სოფელ ბომბართან ახლოს, იარაღის ეადატვირთვის დროს ადმინისტრაციამ დააპატიმრა 5 კაცი, მათ შორის გ. კ. ორჯონიკიძე [1]. იგი ჩასვეს სოხუმის ციხეში, სადაც დაჰყო 1906 წლის აპრილამდე, ხოლო 1905 წლის შემოდგომაზე მოახერხა საზღვარგარეთ წასვლა.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში, ჩიტაში, ნოვოროსიისკში, ბაქოში, თბილისში და სხვა ცენტრებში, მუშების გმირობის მიუხედავად, ჩახშობილ იქნა.

მეფის მთავრობამ კიდევ მეტი სისასტიკით დაიწყო განაპირა მხარეების მშრომელთა მხეცური რბევა. 1906 წლის 5 იანვარს ქუთაისის გუბერნიაში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა. გადაყენებულ იქნა ქუთაისის გენერალ გუბერნატორი

---

[1] ჟურნ. «Красный архив», № 1 (86), 1938, გვ. 173.

სტაროსელსკი და მის მაგიერ დაინიშნა ხალხის ჯალათი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი, რომელმაც მიზნად დაისახა გუბერნიაში აჯანყების ჩაქრობა, რევოლუციონური ორგანიზაციების მოსპობა, მთავრობის ძალაუფლების აღდგენა და სხვ.[1] 16 იანვარს ვორონცოვ-დაშკოვი დეპეშით აცნობებდა მეფეს, რომ გენერალმა ალიხანოვ-ავარსკიმ შორაპნის მაზრაში, ყვირილასთან ახლოს, 8 ათას მცხოვრებს მოუყარა თავი და მათ უსიტყვოდ მიაღებინა შემდეგი ვალდებულებანი: შეწყდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები, აღდგენილი იქნებოდა მთავრობის ყველა დაწესებულება. გადაიხდიდნენ გადასახადებს, დაბრუნებდნენ მიტაცებულ იარაღს, ვაზნებს, ქონებასა და ფულს, სამხედრო სამსახურში გაგზავნიდნენ წვევამდელებს, მემამულეებს გადაუხდიდნენ მიწის გადასახადს. იმავე დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ პოლკოვნიკი კრილოვის ცნობით ოზურგეთის მოსახლეობის ნაწილი სხვა და სხვა ქალაქში გაიხიზნა, ხოლო მეორე ნაწილმა დაიწყო ხანძრის გაჩენა და იარაღის სროლა, განსაკუთრებით ყუმბარებისა.[2]

ლენინმა წერილში — „მოსკოვის აჯანყების გაკვეთილები" მოგვცა დეკემბრის აჯანყების სრულყოფილი შეფასება. პროლეტარიატის მესაჭემ შეაჯამა ამ აჯანყების შედეგები და მოგვცა ღრმა მეცნიერული დასკვნები. მაშინ, როცა მენშევიკები პლეხანოვის სახით ლაფში სვრიდნენ პროლეტარიატის რევოლუციურ გამოსვლებს და აცხადებდნენ, რომ იარაღისათვის პროლეტარიატს ხელი არ უნდა მოეკიდაო, ვ. ი. ლენინი ბოლშევიკებს მოუწოდებდა დეტალურად შეესწავლათ დეკემბრის აჯანყების გამოცდილება და მომზადებულიყვნენ ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის.

„გვახსოვდეს, რომ ახლოვდება დიადი მასობრივი ბრძოლა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ეს იქნება შეიარაღებული აჯანყება. იგი, შეძლებისამებრ, ერთდროული უნდა იყოს. მასებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი ებმებიან შეიარაღებულ, სისხლის-

---

[1] სსრ კავშირის ცსია, ფონდი 3დ., 4 საქ. 1350, ნ. 70/1905, ფურც. 70—75.

[2] სსრ კავშირის ცსია, ფონდი 3დ, საქ. 1350, ნ. 69/1905, ფურც. 130.

მღვრელ, თავგანწირულ ბრძოლაში. სიკვდილის არარად ჩაგდება უნდა გავრცელდეს მასებში და ამან უნდა უზრუნველყოს გამარჯვება. მტერზე შეტევა მეტად ენერგიული უნდა იყოს; არა თავდაცვა, არამედ თავდასხმა უნდა გახდეს მასების ლოზუნგად; მტრის ულმობელი განადგურება გადაიქცევა მათ ამოცანად; ბრძოლის ორგანიზაცია მოძრავი და მოქნილი შეიქმნება; ჯარის მერყევი ელემენტები ჩაბმული იქნებიან აქტიურ ბრძოლაში. შეგნებული პროლეტარიატის პარტიამ თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს ამ დიად ბრძოლაში.[1]

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ დაიწყო რევოლუციური ტალღის ერთგვარი უკუქცევა, მაგრამ რევოლუციის ხანძარი ჯერ კიდევ ბობოქრობდა, განსაკუთრებით სოფლად.

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციების მუშაობას შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეში. იგი სტატიაში „რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა პარტიის ტაქტიკა“ წერდა: „ამ მხრივ ჩვენ გაგვასწრეს კავკასიამაც, პოლონეთმაც და ბალტიის პირა მხარემაც. ე. ი. სწორედ ისეთმა ცენტრებმა, სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე ძლავრად და ნათლადაა გამოხატული“ [2].

მუშებისა და გლეხების დიდი გამოსვლები გრძელდებოდა 1905 წლის დეკემბრის შემდეგაც. ოფიციალური ცნობებით 1906 წელს გაფიცულთა რიცხვი შეადგენდა 1.108 ათასს. თუმცა ეს რაოდენობა ორჯერ ნაკლები იყო, ვიდრე 1905 წელს, მაგრამ ის მაინც მიუთითებდა რევოლუციის ჯერ კიდევ საკმაოდ დიდ გაქანებაზე. ამ ფაქტზე ვ. ი. ლენინი წერილში „რევოლუციის გაკვეთილები“ წერდა, რომ „1906 წელს მუშათა გაფიცვები, გლეხთა და ჯარისკაცთა მღელვარებანი გაცილებით

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 11, გვ. 198.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 127.

უფრო სუსტი იყო, ვიდრე 1905 წელს, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი იყო".[1]

1906 წლის 9 იანვარს რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად პეტერბურგის, მოსკოვისა და რუსეთის სხვა სამრეწველო ქალაქების მუშებთან ერთად გაიფიცნენ ბაქოს, თბილისისა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქების მუშები. რსდმპ კავკასიის კავშირის ბიუროსა და კავკასიის კავშირის აღმასრულებელი კომისიის პროკლამაციაში „თანამედროვე რეაქციის შესახებ" 1906 წლის აპრილში ნათქვამი იყო, რომ რეაქციის შემოტევამ კიდევ უფრო ნათლად დაამტკიცა, თუ რაოდენ დიდი უფსკრულია ხალხისა და იმ სამაზრო ხელისუფლებას შორის, რომელიც დაკმაყოფილდა 1905 წლის 17 ოქტომბრის ცრუ მანიფესტით. „ან ხალხი ან ყაჩაღური ბანდა, აი ცხოვრების მიერ წამოჭრილი საბედისწერო საკითხი, ნათქვამი იყო ამ პროკლამაციაში. მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მიპყრობილი იყოს ამ საკითხის გადაწყვეტისაკენ. რიგი ესლა ჩვენზეა. ჩვენ უნდა ვთქვათ რევოლუციის უკანასკნელი სიტყვა, ჩვენ უნდა შევიარაღდეთ. ჩვენ უნდა შევქმნათ სამხედრო ორგანიზაციები და საბრძოლველად სრულად მზადყოფნით გამოვიდეთ სამარცხვინო უღლის წინააღმდეგ".[2]

1906 წელს, საპირველმაისოდ ამიერკავკასიის პარტიულმა კომიტეტმა გამოუშვა ფურცლები მოწოდებით — აღნიშნული ყოფილიყო პროლეტარული სოლიდარობის საერთაშორისო დღე.

რსდმპ ბათუმის გაერთიანებული კომიტეტის მოწოდებაში ნათქვამი იყო: „თავისუფლება ჩვენთვის საჭიროა! უამისოდ ჩვენ ჩამოეხმებით და დავიღუპებით! წინ, ამხანაგებო! ჩვენს მხარეზეა თანაგრძნობა და დახმარება ყველა ქვეყნის მუშებისა, ჩვენს მხარეზეა გლეხობის ძალა".[3]

1906 წლის პირველი მაისი დიდი დემონსტრაციით აღნიშნეს ბაქოს მშრომელებმა. ამ დემონსტრაციაში ქალაქ ბაქოს

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 370.

2 Революция 1905—1907 гг. в Грузии. Сборник документов, Тбилиси, 1956, გვ. 571—573.

3 საქ. სსრ ცსია, ფონდი 1-ს, საქმე 221, ფურც. 6.

მთელ საწარმოთა პროლეტარიატის 75 პროცენტი მონაწილეობდა. ამ დღეს შეჩერებულ იქნა მუშაობა ნავთის სარეწებზე, ქარხნებსა და ქალაქის ბევრ სხვა წვრილ საწარმოში, დაკეტილი იყო ბევრი მაღაზია.

პირველი მაისი ერევანშიაც დემონსტრაციით ჩატარდა, სადაც ბოლშევიკები გამოდიოდნენ რევოლუციური მოხსენებებით. ასევე ჩატარდა საქართველოშიც. თბილისში გაიფიცნენ ქარხნებისა და საწარმოთა მუშები, ასევე რკინიგზის სახელოსნოები, დეპო და სხვ.

1906 წლის მაისსა და ივნისში ბაქოში ჩატარდა დიდი გაფიცვა, რომელმაც მოიცვა ათეულობით საწარმოები. გაიფიცნენ როტშილდის ნავთობის სარეწები და ქარხნები, „მოსკოვ-კავკასიის საზოგადოება", „აპშერონის მენავთობეთა საზოგადოება", მუხტაროვის, ფირმა „კავკაზ", შიბაევის, „ევროპის მენავთობეთა კომპანიის", „რუსეთის ამხანაგობა „ნავთი", ნობელის და სხვ. გაფიცვაში ნობელის სარეწებიდან და ბალახანის სახელოსნოებიდან მონაწილეობდა 2.000 მუშაზე მეტი. ბაქოს ბოლშევიკები ცდილობდნენ, რომ მუშათა გაფიცვებისათვის ორგანიზებული ხასიათი მიეცათ. გამომუშავებული იყო საერთო მოთხოვნილებანი, რომელიც შედგებოდა 43 მუხლისაგან.

გაფიცული მუშები თხოულობდნენ სამუშაო ხელფასის მომატებას, 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღებას, ჯარიმების გაუქმებას და სხვ. ამასთან ერთად აყენებდნენ პოლიტიკურ მოთხოვნებსაც: 1 მაისის დღესასწაულის ცნობას, პატიმარ პროლეტარიატა გათავისუფლებას, რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ ხელისუფლებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ გამოსვლის გამო და სხვ.[1] პეტერბურგის შემდეგ თბილისშიც შეიქმნა უმუშევართა საბჭო, რომლის სათავეში იდგნენ ბოლშევიკები სურენ სპანდარიანი და შალვა ელიავა.

ბოლშევიკები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პროფკავშირებში მუშაობას. სისტემატურად აშუქებდნენ პარტიული ორ-

---

[1] З. Ибрагимов. Революция 1905—1907 гг. в Азербайджане. Баку, 1955, გვ. 193—194.

განიზაციების ხელმძღვანელობის საკითხებს პროფესიული კავშირისადმი. თანმიმდევრულად ებრძოდნენ მენშევიკების პოლიტიკას პროფკავშირების „ნეიტრალობის“ შესახებ, რაც სინამდვილეში ხელს უწყობდა ბურჟუაზიული გავლენის შეჭრას პროლეტარიატის რიგებში. პროფკავშირებში ნერგავდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებას. გამოჩენილი ლენინელი ს. სპანდარიანი ბოლშევიკურ სომხურ გაზეთ „კაიწში“ (ნაპერწკალი) იცავდა დებულებას მუშათა კლასის ინტერნაციონალური ერთიანობისა და კლასობრივი პროფკავშირების შესახებ, რომლებსაც უნდა ემუშავათ პარტიის ხელმძღვანელობით. ერთ-ერთ წერილში სპანდარიანი ამხელდა დაშნაკების ცდას, მოეწყოთ ნაციონალური პროფესიული კავშირები.

ბოლშევიკების ლეგარული ორგანო „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“-ი ხშირად ბეჭდავდა სტატიებს მუშათა და პროფესიული მოძრაობის შესახებ. მასში დაიბეჭდა სტ. შაუმიანის წერილი „8-საათიანი სამუშაო დღე“ (№ 8), „კანონპროექტი გაფიცვების შესახებ“ (№ 2), „პროფესიული კავშირების შესახებ საკითხის გამო“ (№ 9), „ქარხნების დახურვისათვის (№ 4) და სხვ.

პროფესიულ მოძრაობას განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა ბოლშევიკური ქართული ლეგალური გაზეთი „ახალი დროება“, რომელშიც იყო სპეციალური განყოფილება „მუშათა მოძრაობა და პროფესიული კავშირები“.

1906 წლის ბოლოს ბაქოს ბოლშევიკებმა მეფის ხელისუფლებასთან და ნავთობის მეწარმეებთან შემდგარი ბრძოლის შემდეგ შეძლეს მოეწყოთ „ნავთობის საწარმოთა მუშების კავშირი“. კავშირის პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნა ვ. ჯაფარიძე.

„ნავთობის საწარმოთა მუშების კავშირმა“ მაშინვე დაიკავა ყველა კონფლიქტსა და გაფიცვაში აქტიური ჩარევის პოზიცია. კავშირმა შექმნა რაიონული განყოფილებები ბაილოვოში, ბიბი-ეიბათში, შავსა და თეთრ ქალაქში და სურუხანაში. „ნავთობის საწარმოთა მუშების კავშირის“ რაიონული განყო-

ფილებები წარმოადგენდნენ ბოლშევიკების ლეგალურ შტაბებს. საწარმოებში იყო მუშების მიერ არჩეული კომისიები, მაგრამ ბოლშევიკები ყოველთვის ვერ ახერხებდნენ ჩამორჩენილ განწყობილებათა წინააღმდეგ ბრძოლას.

განსაკუთრებით გამხრწნელად მოქმედებდა ჩამორჩენილ მუშებზე ე. წ. „დასაჩუქრების სისტემა". ნავთობის მეწარმენი თვლიდნენ, რომ მცირე საჩუქრებით ისინი მოიგებდნენ კლასობრივ შეგნებას მოკლებულ მუშების გულს. ე. წ. „საჩუქრებს" აძლევდნენ ნორმის ზევით გათხრილი ჭაბურღილისა და ამოღებული ნავთობისათვის, აგრეთვე ნამსახურ წლებზე გროშების წამატებით. „დასაჩუქრების" სისტემა ზოგჯერ აღწევდა მიზანს იმ მუშებს შორის, სადაც სუსტი იყო ბოლშევიკური აგიტაცია. რაკიდა ჩამორჩენილ მუშებს, კლასობრივ ბრძოლას ცვლიდა ლაქიური მათხოვრობით.

„ნავთობსაწარმოთა მუშების კავშირი" ბრძოლას ეწეოდა ასეთი „დასაჩუქრების" წინააღმდეგ და ეხმარეობდა მუშათა საწარმოო კომისიას გაეტარებინა შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის პროლეტარული ხაზი.

ბოლშევიკები შეგნებულ ბრძოლას ეწეოდნენ ნავთობის მრეწველობის ერთიანი საწარმოო პროფკავშირის არსებობისათვის, მენშევიკები კი მოითხოვდნენ შექმნილიყო ვიწრო ამქრული ხასიათის პროფესიული კავშირები, ე. ი. ცალკე კავშირები ნავთობის მოპოვების, ნავთობის გადამუშავების, მექანიკური ქარხნებისა და სახელოსნოების მიხედვით. ასეთი ანტიმუშური პოლიტიკით მენშევიკები ცდილობდნენ ეამებინათ ნავთობის მრეწველთათვის, არ დაეშვათ მუშების ერთიანობა, გაეთიშათ კვალიფიციური მუშები.

მენშევიკებმა აქა-იქ მიაღწიეს კიდეც თავიანთ საწადელს. მათ „ნავთობსარეწთა მუშების კავშირს" დაუპირისპირეს მექანიკური წარმოების მუშების ცალკე კავშირი, რომელიც მუშათა შორის ატარებდა არა კლასობრივ, არამედ ამქრულ პოლიტიკას და ღალატობდა ბაქოს მუშების საერთო ბრძოლას ნავთობის მეწარმეთა და მთავრობის წინააღმდეგ.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ჩახშობის შემდეგაც არმიის გარევოლუციონერების პროცესი გრძელდებოდა.

მღელვარებას ჰქონდა ადგილი მანჯურიის არმიის ნაწილებში, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ჯარისკაცების აჯანყებანი ხდებოდა რუსეთის რიგ სამხედრო ოლქებში.

1906 წლის 26 მარტს თბილისში მე-16 მინგრელსკის პოლკის მე-8 და მე-15 ასეულებმა მოითხოვეს დაპატიმრებული რევოლუციონერების განთავისუფლება. აჯანყებულთა და მათ წინააღმდეგ გამოწვეულ მე-14 ასეულს შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება.[1]

1906 წლის გაზაფხულზე მუშების გაფიცვების კვალდაკვალ ადგილი ჰქონდა გლეხთა სერიოზულ მღელვარებებს თბილისის მაზრის სოფლებში. საგარეჯოში, მანავში, ყანდაურაში, ჩაილურში, შიბლიანში, აგრეთვე სიღნაღის მაზრის რიგ სოფლებში.

სიღნაღის მაზრის უფროსი თავის მოხსენებაში 1905 წელს მომხდარი ამბების შესახებ 1906 წლის 31 მაისს იტყობინებოდა, რომ მოსახლეობამ ბოიკოტი გამოუცხადა ხელისუფლების როგორც სოფლის თანამდებობის პირთ, ისე სასამართლო დაწესებულებებს, ხოლო ზოგიერთ საზოგადოებაში გურიის მსგავსად აირჩიეს ასისთავები, ათასისთავები და მოსახლეობა მათ მიმართავდა საქმეების გასარჩევადო.[2]

გლეხობას ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია.

სიღნაღის საგაფიცვო ბიურომ 1906 წლის 3 ივლისს ასეთი შინაარსის მოწოდება გამოუშვა: „თქვენ მოკლებული ხართ ყოველგვარ ადამიანურ ცხოვრებას, ხოლო თქვენი „ხაზეინები", თქვენი წყალობით, თავისუფლად და უშრომლად მდიდრდებიან, ხარჯავენ თავიანთ გარყვნილ მიზნებისათვის იმ სიმდიდრეს, რომელსაც ისინი ღებულობენ თქვენი ფიზიკური ძალების ექსპლოატაციით...

ეხლა როდესაც სრულიად რუსეთის პროლეტარიატი მოითხოვს თავისუფლებას, მოითხოვს 8 საათიან სამუშაო დღეს და შრომის პირობების გაუმჯობესებას, თქვენც, როგორც ამ პროლეტარიატის ამხანაგები თქვენი მდგომარეობით, მხარი

[1] Второй период революции, ч. I, книга 2, докум. 287.
[2] საქ. სსრ ცსია, ფონდი 34-ს, საქ. 1224, ფურც. 40.

დაუჭირეთ მას, წარუდგინეთ მოთხოვნები „ხაზეინებს“ და თქვენ დაინახავთ, რომ ყველა ისინი დათანხმდებიან შეასრულონ თქვენი სამართლიანი მოთხოვნები. ასე, თქვენც გაიფიცეთ ამხანაგებო!

ძირს მუქთახორები და მატყუარა ხაზეინები!

გაუმარჯოს 8 საათიან სამუშაო დღეს!

გაუმარჯოს რუსეთის პროლეტარიატს და სიღნაღის მუშების გაფიცვას“.[1]

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მუშებსა და გლეხებს მოუწოდებდნენ ორგანიზებულად დაეხიათ უკან, შეენახათ იარაღი, რომელიც გამოადგებოდათ რევოლუციის ახალი აღმავლობისას.

* * *

რევოლუციური მოძრაობის გაშლისათვის, მასში პროლეტარიატის ჰეგემონიის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო ერთიანი სოციალ-დემოკრატიული მუშათა რევოლუციური პარტია. რევოლუციური პარტიის გარეშე მუშათა კლასი ვერ შეძლებდა ავანგარდული როლის შესრულებას დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციებში.

პარტია არის მუშათა კლასის ხელმძღვანელი, წარმმართველი ძალა, მისი აზრი და გონება. პარტია აორგანიზებს, მიმართულებას აძლევს და განსაზღვრავს პროლეტარიატის ზოგად კლასობრივ ამოცანებს, ზრდის პროლეტარიატს კომუნისტური სულისკვეთებით.

მაგრამ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მუშათა კლასი გათიშული იყო. მას ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ორი, ერთიმეორეს პრინციპულად მოწინააღმდეგე პარტია, რომლებსაც თავიანთი სტრატეგია და მოქმედების ხაზი გააჩნდათ.

რსდმპ III ყრილობის რეზოლუციაში „პარტიის გამოთიშული ნაწილის შესახებ“ ნათქვამი იყო ენერგიული იდეური ბრძოლის წარმოების აუცილებლობის შესახებ[2].

---

1 საქ. ცსია, ფონდი 1, საქმე 200, ფურც. 40.

2 სკკპ რეზოლუციებში, ნაწილი 1, თბილისი, 1954, გვ. 98.

მუშათა კლასის ინტერესებისათვის მენშევიკების წინააღმდეგ ყრილობა წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს დაშალოს ის კომიტეტები, რომლებიც არ დაემორჩილებოდნენ პარტიის III ყრილობის კანონიერ გადაწყვეტილებებს[1].

III ყრილობის მიერ არჩეული რსდმპ ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც ვ. ი. ლენინი მეთაურობდა, ხელმძღვანელობდა ყველა ბოლშევიკურ ორგანიზაციას რუსეთში, სათავეში ედგა მუშებისა და გლეხების რევოლუციურ ბრძოლას, პრაქტიკულად ამზადებდა ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებას, ბოლშევიკების ამ კურსის საწინააღმდეგოდ ჟენევის კონფერენციის მიერ არჩეული მენშევიკური საორგანიზაციო კომიტეტი ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ეძებდა შეთანხმების გზებს და სინამდვილეში უარს ამბობდა შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციაზე.

რევოლუციის აღმავლობის წლებში, რასაკვირველია, ყველა მუშას არ შეეძლო გარკვეულიყო ბოლშევიკური და მენშევიკური პლატფორმების არსში. ისინი მასობრივად შედიოდნენ პარტიაში, იცოდნენ რა, რომ რსდმპ ხელმძღვანელობდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ამიტომ ნაწილი მუშებისა ხედებოდა არა ბოლშევიკურ, არამედ მენშევიკურ ორგანიზაციაში.

1905 წლის დასაწყისში რუსეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციებში ირიცხებოდა 8.400 წევრი[2], ხოლო 1905 წლის შემოდგომაზე, როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, „იგი მილიონობით პროლეტარის პარტიად იქცა“.[3]

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო იწვევდნენ პარტიულ კრებებს, საქალაქო და საოლქო კონფერენციებს, რომლებზეც მოხსენებით გამოდიოდნენ რსდმპ III ყრილობის დელეგატები და ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები. პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობა ემხრობოდა რსდმპ III ბოლშევიკური

---

[1] სკკპ რეზოლუციებში, ნაწ. 1, თბილისი, 1954, გვ. 110.
[2] ჟურნ. „Партийная жизнь“, № 20, 1957, გვ. 80.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 172.

ყრილობის დადგენილებებს. მენშევიკები პარტიულ ორგანიზაციებში ატარებდნენ გამთიშველ მუშაობას. ვ. ი. ლენინი ა. ვ. ლუნაჩარსკისადმი მიწერილ წერილში განმარტავდა: „სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს. მე-3 ყრილობას იგი, რასაკვირველია, სულაც არ დაუმთავრებია, არამედ მხოლოდ გაახსნა მისი ახალი ფაზა“.[1]

სოციალ-დემოკრატ მუშებში ძლიერი იყო მისწრაფება ერთიანი პარტიის შექმნისაკენ, მაგრამ ეს ერთიანობა უნდა განხორციელებულიყო III ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ერთიანობა შეიძლება მიღწეული ყოფილიყო მხოლოდ პრინციპული ბრძოლით მენშევიკი ლიდერების ოპორტუნისტული საქმიანობის წინააღმდეგ. ამ სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი წერილი, რომელიც რსდმპ ბათუმის კომიტეტმა 1905 წლის 26 ივნისს გაუგზავნა პარტიის ტულის კომიტეტს ცავშირის დამყარების წინადადებით ბათუმსა და ტულას შორის.

ბათუმელი სოციალ-დემოკრატები თავიანთ ტულელ თანამოძმეთ მოუწოდებდნენ ბოლო მოეღოთ გათიშვისათვის და ყველა სოციალ-დემოკრატიული მუშა გაეერთიანებინათ ერთიან პარტიაში.[2]

რსდმპ ტულის კომიტეტი ბათუმელ ამხანაგებს უპასუხებდა, რომ პარტიული მუშაკების ერთიანობის საჭიროება შეადგენს რევოლუციური სოციალ-დემოკრატების საერთო აზრს. ყოველი პარტიული მუშაკისათვის ძვირფასია პარტიული ძალების ერთიანობა, მაგრამ იმისათვის, რომ ეს ერთიანობა ქმედითი აღმოჩნდეს, იგი უნდა გატარდეს ცენტრალური კომიტეტის მეშვეობითო. ტულელი ამხანაგები ურჩევდნენ ბათუმელებს თავიანთი წინადადებით მიემართათ ცენტრალური კომიტეტისათვის, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა მენშევიკების საორგანიზაციო კომიტეტთან შეთანხმების პირობების შესახებ[3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 34, გვ. 362.

[2] სკკპ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივი, ფონდი 20, ანაწ. 29, საქ. № 20142.

[3] Третий съезд РСДРП. Сборник документов и материалов, М., 1955, гв. 367.

რსდმპ ჩრდილო-დასავლეთის მხარის ორგანიზაციების პირველ საოლქო კონფერენციაზე 1905 წლის აგვისტოში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პარტიის გაერთიანების შესახებ. ასეთივე დადგენილებანი გამოჰქონდათ სხვა ორგანიზაციებსაც.

1905 წლის ნოემბრის ბოლოს შესდგა რსდმპ კავკასიის კავშირის IV კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ ბაქოს, იმერეთ-სამეგრელოს, თბილისისა და ბათუმის ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციამ აზრი გამოთქვა გაერთიანებული ორგანიზაციის შექმნის სასარგებლოდ, აგრეთვე პარტიული მუშაობის გარდაქმნის შესახებ დემოკრატიული ცენტრალიზმის საწყისებზე.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება ბოლშევიკური და მენშევიკური კომიტეტების გაერთიანების შესახებ. მაგრამ გაერთიანების შემდეგ ამიერკავკასიის გაერთიანებული საოლქო კომიტეტი, თბილისისა და ბაქოს კომიტეტი, სადაც უმრავლესობა მენშევიკები იყვნენ, კვლავ ატარებდნენ ოპორტუნისტულ ხაზს და გამოდიოდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის დაცვის დროშით.

ვ. ი. ლენინის წინადადებით 1905 წლის 10 ნოემბერს რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა პარტიულ ორგანიზაციებსა და ყველა სოციალ-დემოკრატ მუშას, მოწვეულიყო პარტიის მორიგი IV ყრილობა, მომწიფებული პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად, პირველ რიგში, პარტიის გაერთიანების შესახებ. ცენტრალური კომიტეტი საჭიროდ თვლიდა, რათა ერთდროულად ერთსა და იმავე ადგილას შეკრებილიყო რსდმპ ორივე ფრაქციის ყრილობები, და შეთანხმებულიყვნენ მუშაობის დღის წესრიგის შესახებ და შემდეგ გაერთიანებულიყვნენ ერთ ყრილობად იმ პირობით, რომ ორივე მხარეს ექნებოდა გადამწყვეტი ხმის თანაბარი რაოდენობა.

რსდმპ კავკასიის კავშირის IV ბოლშევიკური კონფერენცია (1905 წლის ნოემბერი) თავის რეზოლუციაში აღნიშნავდა, რომ გაერთიანების მნიშვნელოვანი პირობა უნდა ყოფილიყო წესდების 1 პარაგრაფის ლენინური ფორმულირება. კონფერენციის მონაწილეებმა, მოიწონეს ცენტრალური კომიტეტის გეგმა

პარალელური ყრილობების მოწვევის შესახებ, მაგრამ მენშევიკებმა უარი თქვეს მიეღოთ ბოლშევიკების წინადადება პარტიის ორივე ნაწილის ყრილობის მოწვევის შესახებ ერთდროულად და ერთ ადგილას.

1905 წლის დეკემბერში, ტამერფორსში (ფინეთი) ბოლშევიკებმა მოიწვიეს ყრილობა, რომელსაც სხვა საკითხებთან ერთად უნდა გადაეწყვიტა პარტიის გაერთიანების საკითხიც, მაგრამ რკინიგზელების გაფიცვისა და შეიარაღებული აჯანყების დაწყების გამო ყველა დელეგატმა ვერ მოახერხა ტამერფორსში ჩასვლა ყრილობაზე. ამიტომ ყრილობის მაგივრად გაიხსნა რსდმპ პირველი კონფერენცია, რომელიც ცნობილია ტამერფორსის კონფერენციის სახელწოდებით. კონფერენცია მუშაობდა 12—17 (25—30) დეკემბერს.

კონფერენციას ესწრებოდა 41 დელეგატი.

მოხსენებები ადგილებიდან, რომლებიც გააკეთეს კონფერენციის დელეგატებმა, მოწმობდნენ იმას, რომ მზარდმა რეოლუციურმა მოძრაობამ ქვეყანა მიიყვანა შეიარაღებული აჯანყების ზღურბლზე. კონფერენციამ დაადასტურა ბოლშევიკების იმ პოლიტიკური ხაზის სისწორე, რომელიც დასახული იყო რსდმპ III ყრილობის მიერ, აგრეთვე ვ. ი. ლენინის შრომებში.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის რსდმპ ერთიანობის საკითხს. აი რატომ დაუთმო კონფერენციამ დიდი ადგილი პარტიის ერთიანობის აღდგენის საკითხს.

სპეციალური რეზოლუციით „ცენტრების შეერთების შესახებ“, კონფერენცია წინადადებას იძლეოდა გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევამდე გატარებულიყო დაუყოვნებლივი და ერთდროული გაერთიანება პრაქტიკული ცენტრების და „ლიტერატურულ ცენტრალური ორგანოებისა თანასწორობის საფუძველზე“.[1]

სპეციალურ რეზოლუციაში პარტიის რეორგანიზაციის შესახებ კონფერენცია რეკომენდაციას იძლეოდა ცხოვრებაში გა-

[1] სკკპ რეზოლუციებში, თბილისი, 1954, ნაწ. 1, გვ. 120.

ტარებულიყო არჩევითობის პრინციპი, არჩეული ცენტრებისთვის იდეური და პრაქტიკული ხელმძღვანელობის სრულუფლებიანობის მიცემით.

კონფერენცია მიუთითებდა, რომ არჩევნების ჩატარებისას პარტიულ ორგანიზაციებს გამოეჩინათ სიფრთხილე და სიფხიზლე პარტიის კონსპირაციული ბირთვის დაცვის საქმეში. ამასთან კონფერენცია განმარტავდა, რომ „არ უნდა ვცდილობდეთ ახლავე მივაღწიოთ არჩევითი დაწესებულებების ყველა სისტემის სრულ ერთგვაროვნებას, მაგრამ სრული დემოკრატიზმისაგან გადახვევა (ორსაფეხურიანი არჩევნები და სხვ.) დასაშვებია მხოლოდ გადაულახავ პრაქტიკულ დაბრკოლებათა გამო".[1]

ტამერფორსის კონფერენციის მუშაობის პერიოდში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. ვ. ი. ლენინის წინადადებით კონფერენციამ საჩქაროდ დაამთავრა მუშაობა და წინადადება მისცა დელეგატებს დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვნენ ადგილებზე და სათავეში ჩასდგომოდნენ შეიარაღებულ აჯანყებას.

1906 წელს რსდმპ ამიერკავკასიის გაერთიანებული საოლქო კომიტეტის გარდა მუშაობდა ბოლშევიკური ცენტრი — „ბოლშევიკური ლიტერატურული ბიურო" მ. დავითაშვილის, ფ. მახარაძის, ი. სტალინის, ს. შაუმიანის, მ. ცხაკაიას, ა. ჯაფარიძისა და სხვათა შემადგენლობით. ბოლშევიკები განაგრძობდნენ დამოუკიდებელ ორგანიზაციად ყოფნას თავიანთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ხაზით და იბრძოდნენ ვ. ი. ლენინის დირექტივების ცხოვრებაში გატარებისათვის.

1906 წლის 20 ივნისს გამოვიდა ქართული ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „ახალი ცხოვრება", ხოლო შემდეგში გაზეთები: „ახალი დროება", „ჩვენი ცხოვრება" და „დრო". ამ გაზეთებმა დიდი როლი შეასრულეს ლენინური იდეების პროპაგანდისა და მასების ბოლშევიკურად აღზრდის საქმეში.

მიმდინარეობდა მზადება რსდმპ-ის IV გამაერთიანებელი

---

[1] სკკპ რეზოლუციებში, 1954, ნაწ. 1, გვ. 122.

ყრილობის მოწვევისათვის. ამ პერიოდში ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ბოლშევიკური პლატფორმა რევოლუციის ძირითადი საკითხების შესახებ. მომზადდა ყრილობის რეზოლუციების პროექტები, რომლებშიც რევოლუციის ყველა ძირითადი საკითხი ფორმირებულ იქნა ბოლშევიკურად.

ბოლშევიკების ტაქტიკური პლატფორმა რსდმპ IV გამაერთიანებელი ყრილობისათვის განიხილეს რუსეთის პარტიულ ორგანიზაციებში. მენშევიკებმაც თავის მხრივ შეიმუშავეს რეზოლუციების პროექტები, რომლებიც დაუგზავნეს პარტიულ ორგანიზაციებს.

ყრილობისათვის დელეგატების ასარჩევად მენშევიკებს უფრო ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ, ვიდრე ბოლშევიკებს. შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ რეაქციის მიერ ყველაზე მეტად დაზიანდა ბოლშევიკური ორგანიზაციები, რის გამოც ვერ შეძლეს ფართოდ განეხილათ თავიანთი პლატფორმა და ვერც დელეგატების საჭირო რაოდენობა გაგზავნეს ყრილობაზე. სულ სხვა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მენშევიკები. მათ ორგანიზაციებს არ განუცდიათ ისეთი დევნა, როგორიც განიცადეს ბოლშევიკებმა. ამიტომ მენშევიკებმა თითქმის დაუბრკოლებლად შეძლეს თავიანთი წარმომადგენლები გაეგზავნათ რსდმპ გამაერთიანებელ ყრილობაზე.

მენშევიკებმა თავიანთ რიგებში ჩარიცხეს წვრილ-ბურჟუაზიის ბევრი წარმომადგენელი. მაგალითად, თბილისიდან, რომელიც არ შეიძლება ჩათვლილიყო სამრეწველო ცენტრად, ყრილობაზე გაგზავნილ იქნა 4-ჯერ მეტი დელეგატი, ვიდრე სამრეწველო ბაქოდან.

თბილისის ბოლშევიკებმა ყრილობას აცნობეს, რომ მენშევიკები პარტიის წევრთა სიების შედგენის დროს არ იცავდნენ პარტიის წესდების მოთხოვნებს. სიებში მათ შეჰყავდათ შემთხვევითი პირები, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონდათ პარტიასთან. ამას ისინი სჩადიოდნენ იმიტომ, რომ მეტი წარმომადგენელი ჰყოლოდათ ყრილობაზე.

ყველაფერმა ამან საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ძალთა შეფარ-

დება ყრილობაზე არ გამოხატავდა ნამდვილ მდგომარეობას პარტიაში.

გამაერთიანებელ IV ყრილობაზე, რომელიც შეიკრიბა 1906 წლის აპრილში, გადამწყვეტი ხმით სულ წარმოდგენილი იყო 111 დელეგატი, თითო დელეგატი პარტიის 300 წევრზე. 34 სათათბირო ხმით, მათ შორის 12 ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან. ყრილობაზე იყო 62 მენშევიკი და 46 ბოლშევიკი.

დელეგატებად ყრილობაზე ბაქოს ორგანიზაციიდან იყო 2 ბოლშევიკი და 1 მენშევიკი, ბათუმის ორგანიზაციიდან 1 მენშევიკი, გურიიდან—3 მენშევიკი, ფოთიდან—1 მენშევიკი, თბილისიდან—10 მენშევიკი და 1 ბოლშევიკი.

ყრილობაზე გამოაშკარავდა უთანხმოება ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის რევოლუციური პროგრამისა და ტაქტიკის ყველა ძირითად საკითხში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხი იყო ბოლშევიკებისა და მენშევიკების დამოკიდებულების საკითხი სახელმწიფო სათათბიროსადმი.

ბოლშევიკები ამხელდნენ ყოველგვარ ლაყბობას იმის შესახებ, თითქოს ცარიზმის პირობებში შესაძლებელი იყო რაიმე სახის სრულუფლებიანი პარლამენტი.

პირველ ბოლშევიკურ კონფერენციაზე ტამერფორსში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პირველ სახელმწიფო სათათბიროსადმი აქტიური ბოიკოტის შესახებ. არ შეიძლებოდა შეიარაღებული აჯანყების მსვლელობის დროს მასების სიფხიზლის მოდუნება ისეთ რეაქციულ დაწესებულებათა არჩევნებში მონაწილეობით, როგორიც იყო პირველი სახელმწიფო სათათბირო.

სათათბიროს არჩევნების აქტიური ბოიკოტი უპირველეს ყოვლისა ნიშნავდა ბრძოლის წარმოებას კონსტიტუციური ილუზიების წინააღმდეგ, ლიბერალური ბურჟუაზიის მხილებას, რომელიც ცარიზმთან შეთანხმებაზე მიდიოდა.

მენშევიკები დაადგნენ სათათბიროს მიმართ ნახევრად ბოიკოტურ ტაქტიკას, რომელსაც პროლეტარიატსა და მის მოკავშირეთა რიგებში არევ-დარევა შეჰქონდა და ხელს უშლიდა მასების მობილიზაციას ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლვე-

ლად. მენშევიკური ტაქტიკა ხელს უწყობდა კონსტიტუციური ილუზიების გავრცელებას.

1906 წლის იანვარში რუსეთის პარტორგანიზაციებში დაიწყო სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ მენშევიკების პლატფორმების განხილვა. დისკუსიამ პეტერბურგში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. მასში უშუალო მონაწილეობას იღებდა ვ. ი. ლენინი. პოლიციურ დაბრკოლებათა მიუხედავად მაინც მოხერხდა 120 კრების ჩატარება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო პარტიის 2 ათასზე მეტმა წევრმა. 1068 ხმის უმეტესობით 926 ხმის წინააღმდეგ კრებების მონაწილეებმა გამოთქვეს აზრი სათათბიროსადმი სრული ბოიკოტის შესახებ. ასეთივე დადგენილებანი გამოიტანეს რუსეთის სხვა პარტიულმა ორგანიზაციებმა, მათ შორის ამიერკავკასიის ორგანიზაციებმა.

რსდმპ ალექსანდროპოლის არმიის პარტიული ორგანიზაციის პროკლამაციაში ნათქვამია, რომ მეფის ბაშიბუზუკები ცეცხლითა და მახვილით თრგუნავდნენ ხალხის აჯანყებას. ზარბაზნების გრიალი, თოფების ბათქიბუთქი, ტკივილები და კვნესა ისმის ე. წ. წმინდა რუსეთის ყველა მხარეში. და ასეთი სამარცხვინო მდგომარეობისა და სიბნელის პირობებში უნდა მოიწვიონ მღვდლების, პოლიციელებისა და მდიდარ მემამულეთა სახელმწიფო სათათბირო იმ მიზნით, რომ მათ მიაღწიონ შეთანხმებას, თუ როგორ შეჩერდეს რევოლუცია...

თქვენც, მოქალაქენო, მხარი დაუჭირეთ მუშათა მასების რევოლუციურ მოძრაობას, გამოუცხადეთ ბოიკოტი მეფის სათათბიროს და ნუ წახვალთ არჩევნებზე.[1]

რსდმპ ერევნის ორგანიზაციამ მშრომელთა შორის გაავრცელა აგრეთვე რიგი პროკლამაციებისა, რომლებშიც მშრომელებს მოუწოდებდა ბოიკოტი გამოეცხადებინათ სათათბიროს არჩევნებისათვის.

თბილისში ჯარისკაცების კავშირის რევოლუციური ორგანიზაცია განუმარტავდა ყველა ჯარისკაცს, რომ პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები და მისი შემადგენლობა

[1] Революционное движение в Армении 1905—1907 гг. Сборник документов и материалов, Ереван, 1956, გვ. 171—173.

არ გამოხატავდნენ ხალხის ნება-სურვილს, რომ ამ სათათბიროს არ შეეძლო მშრომელებისათვის მიეცა სიტყვის, ბეჭდვის და კრებების თავისუფლება, აგრეთვე პიროვნების ხელუხლებლობა, მუშებისათვის 8-საათიანი სამუშაო დღე, გლეხებისათვის მიწა და სამოქალაქო უფლებანი. ეს მიმართავა მოუწოდებდა ჯარისკაცებს მუშებთან და გლეხებთან ერთად მზად ყოფილიყვნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის.

იმ პირობებში, როცა რევოლუცია აღარ განიცდიდა აღმავლობას, აქტიური ბოიკოტი სახელმწიფო სათათბიროს მიმართ აღარ შეეფერებოდა საქმის ნამდვილ ვითარებას. ბოლშევიკების ასეთი ტაქტიკა, როგორც ვ. ი. ლენინი გვიან წერდა, შეცდომა იყო, თუმცა არც თუ ისე დიდი და ადვილად შეიძლებოდა მისი გამოსწორება.

რაც შეეხება მენშევიკების ნახევრად ბოიკოტურ ტაქტიკას, მან, როგორც ამას წინასწარმეტყველებდნენ ბოლშევიკები, სრული მარცხი განიცადა. მისი განხორციელება შეუძლებელი შეიქნა. მენშევიკები უარყოფდნენ ბოიკოტს, მონაწილეობას ღებულობდნენ სათათბიროს დეპუტატების არჩევნებში და ყველა საკითხში თანამშრომლობდნენ კადეტებთან, ე. ი. კონსტიტუციურ დემოკრატებთან. მათ განხეთქილება შეჰქონდათ მუშათა კლასში, ასუსტებდნენ მის რევოლუციურ სიფხიზლეს, ხელს უწყობდნენ კონსტიტუციური ილუზიების გავრცელებას და გლეხობას ერეკებოდნენ ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიასთან კავშირისაკენ.

რსდმპ IV გამაერთიანებელ ყრილობაზე 1906 წელს ვ. ი. ლენინი ამხელდა მენშევიკებს, რომლებიც სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კომპანიის დროს კუდში მისჩანჩალებდნენ კადეტებს და მათთან ერთად ქადაგებდნენ კონსტიტუციურ ილუზიებს.

ყრილობის მუშაობაში დიდი ადგილი ეკავა პარტიის აგრარული პროგრამის საკითხს. ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა პროგრამის ბოლშევიკური პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მემამულეთა საეკლესიო-სამონასტრო და სხვა მიწების კონფისკაციას, საერთოდ ყველა მიწების ნაციონალიზაციას. ბოლშევიკების აგრარული პროგრამა უპასუხებდა რუსეთში გაშლილ

რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის მოთხოვნებს. აგრეთვე საგლეხო მოძრაობის გაქანებას და სიღრმეს. ეს პროგრამა გამოდიოდა დემოკრატიული რევოლუციის სრული გამარჯვებისა და სოციალისტურ რევოლუციაში მისი გადაზრდის პერსპექტივიდან.

ლენინური აგრარული პროგრამის მოთხოვნები ეანამტკიცებდა მუშათა კლასის კავშირს გლეხობასთან და პროლეტარიატს უადვილებდა გლეხობის ღარიბ ფენებთან კავშირში სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლას.

ბოლშევიკების აგრარული პროგრამის პროექტს მენშევიკებმა დაუპირისპირეს ბურჟუაზიულ-რეფორმისტული პროგრამა მიწების მუნიციპალიზაციის შესახებ, რომლის მიხედვით მემამულეების მიწები უნდა გადასულიყო ადგილობრივი თვითმმართველობისა და მუნიციპალური საბჭოების განკარგულებაში, გლეხობას კი უნდა აეღო ეს მიწები იჯარით, ვისაც რამდენი შეეძლო. მუშათა კლასის გლეხობასთან რევოლუციური კავშირის მაგივრად მენშევიკები წინადადებას იძლეოდნენ გაეტარებიათ გლეხების მემამულეებთან შეთანხმების პოლიტიკა ანდა ხელი შეეწყოთ კადეტებთან შეთანხმებისათვის.

რადგან მენშევიკები მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და ნაციონალიზაციის წინააღმდეგი იყვნენ, ამით ისინი გამოდიოდნენ უმნიშვნელოვანესი ტაქტიკური ლოზუნგის—რევოლუციური საგლეხო კომიტეტების ორგანიზაციის წინააღმდეგ. ისინი წინადადებას იძლეოდნენ მიწის საკითხი გადაწყვეტილიყო არა გლეხების მიერ მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებით, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დადგენილებით.

ამგვარად, მენშევიკების მოთხოვნა მიწების მუნიციპალიზაციის შესახებ გლეხთა მასებს აშორებდა მიწის საკითხის გადაწყვეტას, ხელს უშლიდა, ამუხრუჭებდა გლეხების რევოლუციურ გამოსვლებს მემამულეების წინააღმდეგ და გარუსაზღვრელი ვადით შორს გადაჰქონდა მემამულეთა მიწათმფლობელობის სრული ლიკვიდაციის საკითხი.

ბოლშევიკების დელეგატების ნაწილი იცავდა მემამულეთა მიწების გაყოფას და გადაცემას გლეხებზე საკუთრებად.

ამ დელეგატების შეცდომა ის იყო, რომ ისინი ვარაუდობდნენ ხანგრძლივ დროს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალისტურ რევოლუციებს შორის, არ ითვალისწინებდნენ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციის დაუყოვნებლივ გადაზრდას სოციალისტურში.

ვ. ი. ლენინი, აანალიზებდა რა მიწების გაყოფის მოთხოვნას, სთვლიდა, რომ ეს პოზიცია მცდარი იყო, თუმცა არა დიდად საზიანო, რადგან გულისხმობდა მიწათმფლობელობის ძველი ფეოდალური ფორმების სრულ გაუქმებას. ამიტომ, როდესაც გამოირკვა ყრილობის მიერ ნაციონალიზაციის პროექტის მიღების უიმედობა, ვ. ი. ლენინმა მენშევიკების წინააღმდეგ ხმების დაქსაქსვის თავიდან ასაცილებლად ხმა მისცა მიწების დაყოფის მომხრე ბოლშევიკებს.

IV გამაერთიანებელმა ყრილობამ მიიღო წესდების პირველი პარაგრაფის ლენინური ფორმულირება პარტიის წევრობის შესახებ.

ყრილობის დიდ იდეურ საქმედ პროლეტარების ბელადს მიაჩნდა, ცხადი და გარკვეული გამიჯვნა რუსულ სოციალ-დემოკრატიულ მემარჯვენე ოპორტუნისტულ და მემარცხენე რევოლუციურ მიმდინარეობათა შორის.

ბოლშევიკები, ლენინელები თუმცა მაშინ მენშევიკებთან ერთად იმყოფებოდნენ ერთ გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, მაგრამ ინარჩუნებდნენ თავიანთ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას, როგორც პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებში, ისე ადგილობრივ ორგანიზაციებშიც.

პირველ სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში 18 დეპუტატი შედიოდა. მენშევიკები სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს ურჩევდა სათათბიროში შეეკრათ ბლოკი ლიბერალურ მონარქიული ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან, კადეტებთან.

ბოლშევიკებს დაუშვებლად მიაჩნდათ კავშირი ლიბერალურ ბურჟუაზიასთან და წინადადებას იძლეოდნენ სოციალ-დემოკრატიულ დეპუტატებს პოლიტიკური ბლოკი შეეკრათ გლეხობის წარმომადგენლებთან, რომელნიც 95 კაცის რაოდე-

ნობით სახელმწიფო სათათბიროში შეადგენდნენ პარლამენ-ტურ ჯგუფს.

1906 წლის 11-12 ივნისს ტერიოკში, ფინეთში შედგა რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის რაიონთაშორისო კონფე-რენცია, რომელმაც ვ. ი. ლენინის წინადადებით განიხილა ტაქტიკისა და სხვა საკითხები. მოხსენებით „სახელმწიფო სა-თათბიროს მიმართ პარტიის ტაქტიკის შესახებ“ და „პარტიის ერთიანობის შესახებ“ გამოვიდა ვ. ი. ლენინი. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებდა ცენტრალური კო-მიტეტის მოქმედებას. ამ გადაწყვეტილებას სახელმძღვანელო მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ყველა ბოლშევიკურ ორგანი-ზაციებისათვის.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა მხარი დაუჭირეს ლენინურ რეზოლუციას.

1906 წლის 20 ივნისს მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ის არ დაუშვებდა მემამულური საკუთრების ხელყოფას, ამავე წლის 8 ივლისს მთავრობამ გარეკა პირველი სახელმ-წიფო სათათბირო.

რევოლუციის დროებით შენელებასთან დაკავშირებით ბოლშევიკები საჭიროდ ცნობდნენ გამოეყენებინათ მეორე სა-ხელმწიფო სათათბირო და აქტიური მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში, რათა რაც შეიძლება მეტი ბოლშევიკი დეპუტატე-ბი გაეყვანათ სათათბიროში, ხალხის წინაშე გამოსულიყვნენ დამოუკიდებელი პოლიტიკური პროგრამით. საარჩევნო კომ-პანიის უფრო მაღალ სტადიაზე, უშუალოდ დეპუტატების არ-ჩევის დროს, ბოლშევიკები მიზანშეწონილად თვლიდნენ ბლო-კი შეეკრათ იმ დემოკრატიულ ჯგუფებთან და ორგანიზაციებ-თან, რომლებიც გამოხატავდნენ გლეხობის და სხვა ნახევრად პროლეტარული ფენების ინტერესებს. ბოლშევიკების ეს ტაქ-ტიკა იყო მუშათა კლასის გლეხობასთან კავშირის ტაქტიკა, ამ კავშირში მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელო-ბის ტაქტიკა, სახელმწიფო სათათბიროს როგორც ტრიბუნის გამოყენების ტაქტიკა ლეგალური მუშაობისათვის, მასებთან კავშირის განსამტკიცებლად. პრინციპულად სხვა იყო მენშე-

ვიკების ტაქტიკა. ისინი წინააღმდეგი იყვნენ პროლეტარიატის ჰეგემონიისა.

რევოლუციაში, უარყოფდნენ მუშათა კლასის კავშირს გლეხობასთან და წინადადებას იძლეოდნენ ბლოკი შეეკრათ კადეტებთან როგორც საარჩევნო კამპანიის ყველა საფეხურზე, ისე თვით სათათბიროშიც. ეს იყო კადეტებზე ორიენტაციისა და პროლეტარიატის ინტერესების ბურჟუაზიის ინტერესებისადმი დამორჩილების მოღალატური ტაქტიკა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები მტკიცედ იცავდნენ ლენინურ ტაქტიკას სათათბიროების მიმართ, დაუნდობლად ამხელდნენ რუსეთისა და ამიერკავკასიის მენშევიკების ტაქტიკას, რომელიც განამტკიცებდა ბურჟუაზიის პოზიციებს, ხელს უწყობდა მუშათა კლასზე მისი გავლენის გაძლიერებას. რსდმპ თბილისის კომიტეტის პროკლამაციაში სათაურით „გლეხების მიმართ“ მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებთან დაკავშირებით ნათქვამი იყო:

„გლეხებო, მიწისა და თავისუფლებისათვის მებრძოლო გლეხებო! ახლოვდება საათი, როდესაც თქვენ უნდა აირჩიოთ დეპუტატები სათათბიროში. თქვენ ხედავთ, როგორ იბრძვის თქვენი მტერი მეფის მართებლობა. გააათკეცეთ თქვენი ძალები დიადი ბრძოლის რწმენით მიწისა და თავისუფლებისათვის. მტკიცედ და შემჭიდროებული რიგებით ჩადექით არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატების დროშის ქვეშ. არც ერთი ხმა მთავრობის მომხრეებს. აირჩიეთ მხოლოდ სოციალ-დემოკრატები, რადგან მხოლოდ სოციალ-დემოკრატიის დროშით თქვენ შესძლებთ მოიპოვოთ მთელი მიწა და მთელი თავისუფლება“[1]. ამიერკავკასიის ბოლშევიკების მოწოდება ცოცხალ გამოხმაურებას პოულობდა ამიერკავკასიის მუშებსა და გლეხებში.

1907 წლის 20 თებერვალს შეიკრიბა მეორე სახელმწიფო სათათბირო, რომლის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია შედგებოდა 65 დეპუტატისაგან. მათ შორის იყო მტკიცედ შემჭიდროებული ჯგუფი, 15 ბოლშევიკისა და რამდენიმე თანამგრძნობისაგან შემდგარი. მენშევიკები გავიდნენ სათათბიროში უმთავ-

---

[1] Революционное движение в Армении 1905—1907 гг. Сборник документов и материалов, Ереван, 1955, стр. 289—291.

რესად იმ რაიონებიდან, სადაც დიდი იყო წვრილ-ბურჟუაზიული გავლენა. სათათბიროში არჩეული იყვნენ აგრეთვე „ტრუდოვიკები", ესერები (სოციალ-რევოლუციონერები) 37, სახალხო სოციალისტები 16. საერთოდ მემარცხენე ჯგუფები სათათბიროში შედგებოდნენ 222 დეპუტატისაგან (43 პროც.) და ბევრად უფრო ძლიერნი იყვნენ, ვიდრე პირველ სათათბიროში.

რადგან მენშევიკებმა ფეხქვეშ გათელეს IV ყრილობის გადაწყვეტილებანი და განაგრძობდნენ ანტიპროლეტარულ პოლიტიკას, მომწიფებული საკითხების გადასაჭრელად აუცილებელი შეიქნა რსდმპ V ყრილობის მოწვევა.

1907 წლის დასაწყისში დაიწყო მზადება პარტიის V ყრილობის მოსაწვევად. ვ. ი. ლენინმა ამ ყრილობისათვის შეიმუშავა ბოლშევიკების რეზოლუციების პროექტები, რომლებიც შემდეგ განხილული იქნა პეტერბურგისა და მოსკოვის კომიტეტების, მოსკოვის საოლქო კომიტეტის, ცენტრალური სამრეწველო რაიონის საოლქო ცენტრის სხდომებზე და კრებებზე. პროექტები მოწონებულ და მიღებულ იქნა სადისკუსიოდ.

ქართულ ბოლშევიკურ გაზეთში — „ჩვენი ცხოვრება" გადმობეჭდილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ რსდმპ V ყრილობისათვის დაწერილი რეზოლუციის პროექტი სოციალ-დემოკრატების ტაქტიკის შესახებ სახელმწიფო სათათბიროში. ეს პროექტი ბოლშევიკებმა საფუძვლად დაუდვეს ბრძოლას რუსეთისა და ამიერკავკასიის მენშევიკების წინააღმდეგ. გაზეთ „ახალ ცხოვრებაში" და სომხურ ბოლშევიკურ გაზეთში „კაიწ" („ნაპერწკალი") იბეჭდებოდა ი. სტალინის, ს. სპანდარიანის, ს. შაუმიანის, პ. ჯაფარიძის და სხვა ბოლშევიკების სტატიები, რომლებიც ეწეოდნენ ლენინური ტაქტიკური ხაზის პოპულარიზაციას და თანმიმდევრულად ამხელდნენ მენშევიკების ოპორტუნიზმს.

რსდმპ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტში უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ, მაგრამ ამიერკავკასიის შეგნებული მუშები სულ უფრო და უფრო ემხრობოდნენ და მხარს უჭერდნენ ბოლშევიკებს. აღსანიშნავია ის, რომ მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა მარცხს განიცდიდა მუშათა

მასებში. მშრომელები თანდათანობით რწმუნდებოდნენ, რომ მენშევიკების პოლიტიკა ასუსტებდა მუშათა კლასისა და მისი სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციებს.

1907 წლის 13 მაისს (1 ივნისს) ლონდონში მოწვეულ იქნა რსდმპ V ყრილობა.

ლონდონის ყრილობის დელეგატების შემადგენლობა კი მოხატავდა ბოლშევიკების და მენშევიკების ძალთა თანაფარდობას პარტიულ ორგანიზაციებში. სამრეწველო რაიონების პარტიული ორგანიზაციები აგზავნიდნენ დელეგატ ბოლშევიკებს. ამიერკავკასიის ორგანიზაციებმა V ყრილობის დელეგატებად უმეტესად მენშევიკები გაგზავნეს. ბაქოდან—3 მენშევიკი და ერთი ბოლშევიკი—ვ. ეფიმოვი. გურიის ორგანიზაციიდან—9 მენშევიკი, თბილისიდან 10 მენშევიკი. საქართველოს მენშევიკებმა დელეგატებად შინ გაზრდილ მენშევიკებთან ერთად რუსეთის მენშევიზმის ბობოლებიც კი გაგზავნეს—პ. აქსელროდი, გ. პლეხანოვი, ა. პოტრესოვი და სხვ. ბოლშევიკები გაგზავნეს ბორჩალოს ორგანიზაციიდან—სტ. შაუმიანი და ა. კახოიანი, სათათბირო ხმით ამიერკავკასიიდან იყო 2 დელეგატი ბოლშევიკი—ი. სტალინი თბილისის ორგანიზაციიდან და მ. ცხაკაია — ბორჩალოს ორგანიზაციიდან.

ყრილობაზე სათათბირო ხმით მონაწილეობდნენ ა. მ. გორკი, ნ. ჟორდანია და სხვები. კავკასიის საოლქო მენშევიკური ცენტრი ცდილობდა არ დაეშვა ბორჩალოს ორგანიზაციიდან გამოგზავნილი ბოლშევიკი დეპუტატების დამტკიცება, მაგრამ მათი ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ს. შაუმიანი რსდმპ V ლონდონის ყრილობაზე ამხელდა ამიერკავკასიის მენშევიკების ოინებს, რომლებიც პარტიის როგორც IV, ისე V ყრილობაზე ცდილობდნენ ამიერკავკასიიდან ბოლშევიკური წარმომადგენლობის ჩაშლას. თავის გამოსვლაში იგი მოუწოდებდა ყრილობის დელეგატებს დაფიქრებულიყვნენ, ვიდრე ხმას მისცემდნენ ამა თუ იმ რეზოლუციას, მოეგონებინათ მისი გამოსვლა კავკასიის ბოლშევიკური შანდატების ბედის შესახებ, მოეგონებინათ ყოველივე ის, რაც მათ იცოდნენ კავკასიელი მენშევიკების შესახებ საერთოდ.[1]

---

[1] Пятый съезд РСДРП. Партиздат, 1933, გვ. 236—238.

ყრილობის სამანდატო კომისიამ დაამტკიცა რსდმპ ამიერკავკასიის ორგანიზაციის ბოლშევიკური მანდატები.

ყრილობაზე დიდი კამათი გამოიწვია სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციის ანგარიშის განხილვამ. ბოლშევიკები ფიქრობდნენ, რომ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოქმედება უნდა დამორჩილებოდა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის საერთო ამოცანას. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, ამბობდნენ ბოლშევიკები, უნდა ამხილოს არა მარტო მთავრობა და შავრაზმული პარტიები, არამედ კადეტების გამცემლური როლიც.

სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკის შესახებ ყრილობამ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სოციალ-დემოკრატიის მოქმედება სათათბიროში ექვემდებარება სათათბიროს გარეთ წარმოებულ ბრძოლას, რომ სათათბირო რსდმ პარტიისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა როგორც ტრიბუნა მეფის თვითმპყრობელობის, აგრეთვე ბურჟუაზიის გამცემლური პარტიების პოლიტიკის გამოსააშკარავებლად, პარტიის რევოლუციური პროგრამის ფართო მასებისათვის გასაცნობად და მისი პროპაგანდისათვის.

ყრილობაზე ამიერკავკასიის ბოლშევიკმა დელეგატებმა დაწერეს განცხადება, რომელიც ამხელდა ამიერკავკასიის მენშევიკებს. განცხადებაში ისინი გმობდნენ თბილისელი მენშევიკების ლიბერალურ ლოზუნგებს, რომელიც მათ ჩამოაყალიბეს გაზეთში „წინ". სათათბირო უნდა შენარჩუნებულ იქნას ყოველი საშუალებით, ძირს სათათბიროს გარეშე გამოსვლა, გაუმარჯოს სათათბიროს და სხვა.[1] ასეთი იყო მათი პლატფორმა.

ყრილობის ძირითად საკითხებზე—არაპროლეტარულ პარტიებისადმი დამოკიდებულების, „მუშათა ყრილობის" შესახებ და სხვ. მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუციები.

რსდმპ-ის V ყრილობის გადაწყვეტილებანი წარმოადგენდნენ ბოლშევიკური რევოლუციური ხაზის გამარჯვებას და პარტიის შემზადებას რევოლუციური მარქსიზმის პრინცი-

[1] Пятый съезд РСДРП. Партиздат, 1933, ეგ. 367.

პებზე. მენშევიზმი, როგორც ოპორტუნისტული წვრილ-ბურჟუაზიული მიმდინარეობა, დაგმობილ იქნა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები მთლიანად შეუერთდნენ რსდმპ მეხუთე ყრილობის ყველა დადგენილებას და მიიღეს ისინი განუხრელ სახელმძღვანელოდ.

რსდმპ V ყრილობის შემდეგ მოხდა 1907 წლის 3 ივლისის სახელმწიფო გადატრიალება.

მეორე სახელმწიფო სათათბირო გარეკილ იქნა და გამოვიდა ბრძანებულება III სათათბიროს არჩევნების შესახებ, რომელშიც ახალი საარჩევნო კანონის თანახმად გადამწყვეტი უმრავლესობა ეყოლებოდათ მონარქისტებს და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის წარმომადგენლებს.

მეორე სახელმწიფო სათათბიროს გარეკვასთან დაკავშირებით, რუსეთისა და ამიერკავკასიის ბოლშევიკები განმარტავდნენ კონტრრევოლუციური გადატრიალების არსს და მოუწოდებდნენ მუშებს და გლეხებს რევოლუციური ბრძოლის გაგრძელებისაკენ.

ამ მიზანს ისახავდა რსდმპ ბორჩალოს კომიტეტის პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მთავრობის ყველა ხულიგნურ მოქმედებასთან საბრძოლველად საჭირო იყო მშრომელთა შეკავშირება, რევოლუციური რიგების ორგანიზება და შემჭიდროება, რომ მხოლოდ რევოლუციის გზით შეძლებდა მუშათა კლასი თავის მოთხოვნათა განხორციელებას. პროკლამაცია მოუწოდებდა მუშებს შეკავშირებისაკენ [1].

რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში პირველი რევოლუციის დამარცხებით ახალი ხანა დაიწყო, ხანა შავი რეაქციისა, ხანა რევოლუციური ორგანიზაციების დარბევისა. ცარიზმი ზეიმობდა, მაგრამ მისი მესვეურები არ უფიქრდებოდნენ, რომ ეს ზეიმი ხანმოკლე იყო, რომ მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მოიკრებდნენ ძალებს და სულ მალე შურს იძიებდნენ ცარიზმზე.

ბოლშევიკური ორგანიზაციები მძიმე რეაქციის წლებში არ

---

[1] Революционное движение в Армении. 1905—1907 гг. Сборник документов и материалов, Ереван, 1955, ss. 224—225.

კარგავდნენ იმედს, ახდენდნენ თავიანთი რიგების გადაჯგუფებას, აძლიერებდნენ იატაკქვეშ მუშაობას და იყენებდნენ ყველა შესაძლებელ ლეგალურ და ნახევრადლეგალურ საშუალებებს მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური აღზრდისა და ორგანიზებისთვის, მეფის თვითმპყრობელობაზე ახალი იერიშის მოსამზადებლად.

———

დასკვნა

იმპერიალიზმის ეპოქის 1905—1907 წლების პირველმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მარცხი განიცადა. რევოლუციაში ბოლშევიკების ტაქტიკის სისწორის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „ამ პირველი კამპანიის შედეგად რევოლუციის დამარცხებამ გამოააშკარავა არა ამოცანების უსწორობა, არა უახლოესი ამოცანების „უტოპიურობა", არა საშუალებათა და ხერხთა მცდარობა, არამედ ძალთა არასაკმაო მომზადება, რევოლუციური კრიზისის არასაკმაო სიღრმე და სიფართოე".[1]

რევოლუციის დროებითი მარცხის მიზეზები უნდა ვეძიოთ იმაში, რომ რუსეთში ჯერ კიდევ არ არსებობდა ყველა რევოლუციურ ძალთა მტკიცე ერთიანობა, რომელიც რევოლუციის წარმატების აუცილებელი პირობაა. იმის გამო, რომ პირველი რევოლუციის პერიოდში რსდმპ გათიშული აღმოჩნდა, მუშათა კლასის ძალებიც დაქსაქსული იყო. მართალია, მენშევიკების ტაქტიკური ხაზი თავიდან ბოლომდე მცდარი იყო, მაგრამ იმ პირობებში ყველა მუშას როდი შეეძლო გარკვეულიყო ამ მცდარი ტაქტიკის არსში. ბუნებრივია, რომ მუშათა კლასის ნაწილი მიჰყვებოდა მენშევიკებს.

მართალია, გლეხობა, პროლეტარიატის კვალდაკვალ, მასობრივად გამოდიოდა მემამულეების, ბატონყმური ნაშთების წინააღმდეგ, რაც ხშირად შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზრდებოდა ხოლმე, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა გლეხობასა და მუშათა კლასს შორის მჭიდრო, ურღვევი კავშირის დამყარება, გლეხთა რევოლუციური გამოსვლების დაკავშირება

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, გვ. 425.

მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლასთან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. გარდა ამისა, გლეხობის ნაწილს ჯერ კიდევ სჯეროდა მეფის, მისი თვითმმართველობის, სახელმწიფო სათათბიროსი; მას გულწრფელად სჯეროდა, რომ მეფე მოიწვევდა დამფუძნებელ კრებას და ეს უკანასკნელი რეალურად განახორციელებდა გლეხობის საუკუნეობრივ ოცნებას მიწების შესახებ.

მუშებსა და გლეხებს შორის მტკიცე კავშირის უქონლობამ გავლენა მოახდინა ჯარისკაცებზე. მართალია, ბევრი სამხედრო ნაწილი უკმაყოფილო იყო თვითმპყრობელობით, გამოდიოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, აწყობდა აჯანყებას, მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ როგორც იტყვიან, წვეთი იყო ზღვაში. მეფის მთავრობა გაუგონარი სისასტიკით ახრჩობდა სისხლში მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს, არ ერიდებოდა ამ მიზნით უცხო ქვეყნების ჯარების მოწვევასაც.

რუსეთის რევოლუციის ჩასახშობად და ცარიზმის დასახმარებლად გერმანია და ავსტრია-უნგრეთი ამზადებდნენ სამხედრო ინტერვენციას. „რუსეთის მთავრობა,—წერდა ვ. ი. ლენინი, — რუსი ხალხის წინააღმდეგ უცხოეთის ჯარებს მოუხმობს დასახმარებლად“.[1]

რევოლუციის წარმატებით დაგვირგვინებას იმანაც შეუშალა ხელი, რომ, მართალია, რევოლუციურმა ბრძოლამ თითქმის მთელი რუსეთის იმპერია მოიცვა, მაგრამ მან ჯერ კიდევ მაინც ვერ მიიღო ისეთი ფართო ხასიათი, ისეთი გაქანება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ძველი წყობილების დამსხვრევას.

მშრომელთა მასების დიდი ნაწილი ვერ განთავისუფლდა ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების გავლენისაგან. მაგრამ 1905—1907 წწ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას ჰქონდა დიდი საშინაო და საერთაშორისო მნიშვნელობა. რევოლუციის გაკვეთილებმა დიდი სარგებლობა მოუტანა მუშათა კლასსა და გლეხობას განმათა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 11, გვ. 110.

ეისუფლებელ ბრძოლაში ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

რევოლუციამ შეარყია მეფის თვითმპყრობელობა, მზის სინათლეზე გამოიტანა მისი სიდამპლე, გამოაღვიძა მრავალეროვანი რუსეთის მუშები და გლეხები, ჩააბა ისინი პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში, გამოაწრთო თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რევოლუციამ პრაქტიკულად დაარწმუნა მშრომელი მასები, რომ მხოლოდ ბოლშევიკები წარმოადგენდნენ იმ რევოლუციურ ძალას, რომელიც თანმიმდევრულად იბრძვის პროლეტარიატისა და ყველა მშრომელი კლასის ინტერესებისათვის, ყველა ერის მუშებისა და მშრომელების ინტერნაციონალური აღზრდისათვის. დიდი გამოცდილება, რომელიც 1905 წლის რევოლუციის შედეგად მიიღო, მუშათა კლასმა წარმატებით გამოიყენა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროს.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები რუსეთის ერთიანი ბოლშევიკური პარტიის მებრძოლ რაზმს წარმოადგენდნენ. ისინი თანმიმდევრულად იბრძოდნენ ლენინური ტაქტიკის გატარებისათვის ცარიზმის, ბურჟუაზიისა და მათი დამქაშების — ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ. ამიერკავკასიის მშრომელ ხალხთა ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების რევოლუციური მოღვაწეობის ორგანულ ნაწილს შეადგენდა.

1905—1907 წლების რევოლუციას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მან გავლენა მოახდინა ევროპის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისა და აზიის ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ გაშლაზე.

„ასეული მილიონობით დაბეჩავებულმა, შუასაუკუნეობრივი ჩამორჩენილობით გაველურებულმა მოსახლეობამ გამოიღვიძა ახალი ცხოვრებისათვის და ადამიანის საანბანო უფლებათათვის, დემოკრატიისათვის საბრძოლველად“.[1]

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 19, გვ. 80.

1906 წლის ივნისში თეირანში ჩატარდა საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც მხარი დაუჭირეს სხვა ქალაქების მუშებმა, აგრეთვე გლეხებმა და წვრილმა ბურჟუაზიამ. რევოლუციური მოძრაობის მთავარი მოთხოვნა იყო მეჯლისის (პარლამენტის) მოწვევა.

ჩრდილოეთ ირანში 1905 წელს შეიქმნა არალეგალური რევოლუციურ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებული იყო აზერბაიჯანის მუშების ბოლშევიკურ ორგანიზაცია „გუმეთთან“.

1906 წელს თავრიზში შეიქმნა ირანის პირველი ენჟუმენი, რომელიც მოგვაგონებდა რუსეთის მუშათა დეპუტატების საბჭოებს. ენჟუმენები, როგორც ხალხის რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები, იქმნებოდა ირანის სხვა ქალაქებშიც. ირანის რევოლუციის შეიარაღებულ რაზმებს ხელმძღვანელობდა ფედცევი, რომელიც შედგებოდა მუშებისა და გლეხებისაგან. ამ რაზმებს ბევრი საერთო ჰქონდათ რუსეთისა და ამიერკავკასიის მებრძოლ რაზმებთან.

1908 წელს ირანის რეაქციამ მოახდინა კონტრრევოლუციური გადატრიალება, გარეკეს მეჯლისი და ენჯუმენები. მაგრამ რევოლუცია გრძელდებოდა. მის ცენტრად იქცა ირანის აზერბაიჯანი. ამიერკავკასიის ბოლშევიკები ენერგიულად ეხმარებოდნენ ირანელ რევოლუციონერებს, უგზავნიდნენ ფულს, იარაღს და მოხალისეებს.

თავრიზში ამიერკავკასიის რევოლუციონერები მონაწილეობას ღებულობდნენ ფედცევის რაზმების ორგანიზაციასა და სწავლებაში, ჰქმნიდნენ იარაღის სახელოსნოებს, უშვებდნენ პროკლამაციებს. გ. კ. ორჯონიკიძე 1909—1910 წლების დამლევს იმყოფებოდა ქალაქ რეშტაში, სადაც შექმნა ინტერნაციონალური კლუბი, გამოდიოდა მუშებისა და გლეხების წინაშე ლექციებითა და საუბრებით რუსეთის რევოლუციის შესახებ. გ. კ. ორჯონიკიძემ დახმარება აღმოუჩინა ირანელ მარქსისტებს ირანულ ენაზე „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ თარგმნის საქმეში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა თავიანთი ინტერნაციონალური ვალი მოიხადეს ირანელი მშრომელების წინაშე, გაუ-

წიეს რა მატერიალური და მორალური დახმარება ირანის რევოლუციურ მოძრაობას.

იმპერიალისტური ინგლისისა და მეფის რუსეთის მთავრობებმა ირანში მოაწყეს სამხედრო ინტერვენცია და 1911 წლის დეკემბერში ჩაახშეს რევოლუცია.

რუსეთის 1905 წლის რევოლუციამ სერიოზული დარტყმა აგემა იმპერიალიზმს მსოფლიოს ყველა კუთხეში. „მუშათა მოძრაობის ძალით შეშინებული ევროპის ბურჟუაზია,— წერდა ვ. ი. ლენინი, — რეაქციის, სამხედრო წრის, ხუცობისა და ბნელეთის მოციქულობის კალთას შეეფარა. მაგრამ ამ ცოცხლად დამპალი ბურჟუაზიის შემცვლელად მოდის ევროპის ქვეყნების პროლეტარიატი და ახალგაზრდა, თავისი ძალების რწმენითა და მასებისადმი ნდობით ალსავსე აზიური ქვეყნების დემოკრატია.

აზიის გამოღვიძება და ევროპის მოწინავე პროლეტარიატის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლის დაწყება მომასწავებელია მსოფლიოს ისტორიის ახალი ხანის დადგომისა მეოცე საუკუნის დამდეგს“.[1]

აღსრულდა პროლეტარიატის დიდი ბელადის სიტყვები. დღეს აზიისა და აფრიკის თავისუფალი სახელმწიფოები დიდ როლს ასრულებენ საერთაშორისო ურთიერთობაში, ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის კეთილშობილურ საქმეში.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 80-81.

შინაარსი

შესავალი	3
სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება 1905 — 1907 წლების რევოლუციის წინა პერიოდში . . .	5
სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ამიერკავკასიაში. რსდმ პარტიის კავკასიის კავშირი	17
რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის წლები	25
ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ	46
ამიერკავკასიის ბოლშევიკების მოღვაწეობა რსდმპ III ყრილობის დადგენილებათა განხორციელებისათვის	49
რევოლუციის უმაღლესი მწვერვალი	80
დასკვნა	117

რედაქტორი ე. ვაშაკიძე

მხატვარი ო. ვარვარიძე

მხატვრული რედაქტორი კ. ოსკანოვი

ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი

კორექტორი ბ. ღელეყვა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/VI-65 წ.
ქაღალდის ზომა 84×108 1/32 ნაბეჭდი თაბახი 6,35.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 5,25.

უე 02600 ტირაჟი 2.000. შეკვ. № 1381.

ფასი 16 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი,
ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина 14.